

# ჩვენი ქვეყნის აქტიურობა

## მასწავლებლის წიგნი

ტოლერანტობის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი

პროგრამა IV ან V კლასისთვის

ტოლერანტობის საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროგრამა მომზადებულია ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ.



**Save the Children**



ეროვნული სასწავლო გეგმების  
და შეფასების ცენტრი  
National Curriculum  
& Assessment Centre

სახელმძღვანელო შექმნილია ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო. სახელმძღვანელოში მოცემული შეხედულებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს თვალსაზრისს.



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

**Swiss Agency for Development  
and Cooperation SDC**

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	4
მასწავლებელთა საყურადღებოდ .....	22
ტოლერანტობის საბანძოანათლებლო პროგრამის სასწავლო მიზნები .....	27
ტოლერანტობის საბანძოანათლებლო პროგრამის შინაარსი .....	28
თემა № 1: ტოლერანტობა .....	29
I გაკვეთილი .....	32
II გაკვეთილი .....	37
თემა № 2: ეფექტური კომუნიკაცია .....	40
I გაკვეთილი .....	42
II გაკვეთილი .....	44
თემა № 3: მონაწილეობა .....	48
I გაკვეთილი .....	48
II გაკვეთილი .....	51
თემა № 4: თანამშრომლობა .....	53
I გაკვეთილი .....	54
II გაკვეთილი .....	56
თემა № 5: გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება .....	58
I გაკვეთილი .....	61
II გაკვეთილი .....	64
თემა № 6: შეთანხმება, ანუ პრობლემის ერთობლივად მოგვარება .....	66
I გაკვეთილი .....	67
II გაკვეთილი .....	71
თემა № 7: მოლაპარაკება .....	75
I გაკვეთილი .....	77
II გაკვეთილი .....	80
თემა № 8: შუამავლობა (მედიაცია) .....	83
I გაკვეთილი .....	85
II გაკვეთილი .....	87

თემა № 9: შერიგება .....	89
I გაკვეთილი .....	91
II გაკვეთილი .....	94
თემა № 10: ბავშვის უფლებები .....	98
I გაკვეთილი .....	99
II გაკვეთილი .....	102
თემა № 11: თაობათა შორის ურთიერთობა .....	105
I გაკვეთილი .....	107
II გაკვეთილი .....	110
თემა № 12: გოგონები და ბიჭები (ბენდარი) .....	112
I გაკვეთილი .....	113
II გაკვეთილი .....	115
თემა № 13: ცრუ შეხედულებები, სტერეოტიპები და სტიგმა .....	119
I გაკვეთილი .....	121
II გაკვეთილი .....	124
თემა № 14: ბარემოს დაცვა .....	126
I გაკვეთილი .....	127
II გაკვეთილი .....	130
თემა № 15: მოქალაქეობრივი შეგნება .....	132
I გაკვეთილი .....	134
II გაკვეთილი .....	137
თემა № 16: ჯანსაღი ცხოვრების წესი .....	140
I გაკვეთილი .....	141
თემა № 17: განსხვავებულ კულტურებთან ურთიერთობა .....	143
I გაკვეთილი .....	145
II გაკვეთილი .....	148
თემა № 18: თანასწორობა .....	152
I გაკვეთილი .....	153
II გაკვეთილი .....	156
გამოყენებული ლიტერატურა .....	158

## შესავალი

2004 წელს ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) დაიწყო ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. პროგრამა მიზნად ისახავს ბავშვებში ტოლერანტობის, თანადგომის, თანამშრომლობისა და კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევების განვითარებას, ასევე ისეთი ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორც არის ადამიანთა პატივისცემა და სწრაფვა მშვიდობისა და დემოკრატიისაკენ.

ამ მიზნით, პროგრამის განხორციელების მანძილზე შემუშავებულ იქნა ტოლერანტობის სასწავლო პროგრამა, სამივე ქვეყნის სცენარისტების მიერ დაიწერა სცენარები და შეიქმნა სატელევიზიო თოჯინური ფილმები. ასევე ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დახმარებით შემუშავდა „ტოლერანტობის პედაგოგიკის“ ტრენინგ-მოდულები და ჩატარდა მასწავლებელთა ტრენინგები.

2007 წლიდან ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროგრამა ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვებისა“ და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება. პროგრამისა და სასწავლო მასალების წარმატებული გამოცდა (პილოტირება) 2007-2008 სასწავლო წელს განხორციელდა საქართველოს 22 სკოლაში, IV-V კლასების 2000-ზე მეტ მოსწავლესთან.

პროგრამა განკუთვნილია 9-10 წლის ბავშვების (IV-V კლასელები), მათი პედაგოგების, მშობლებისა და აღმზრდელებისთვის. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროგრამა ეხმაურება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომლის მიხედვით, მოსწავლე უნდა ჩამოყალიბდეს ტოლერანტ მოქალაქედ. მას უნდა გააჩნდეს ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებების დაცვისა და ურთიერთგაგების ჩვევები.

წინამდებარე პროგრამა რეკომენდებულია, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი:

- ან ფაკულტატიური სასწავლო კურსის სახით, სულ მცირე, 36 აკადემიური საათის ხანგრძლივობით (1სთ/კვირა);
- ან დანყებითი კლასების სადამრიგებლო პროგრამის სახით.

იგი მოიცავს როგორც გაკვეთილის პროცესს, ისე კლასგარეშე აქტივობების რეკომენდაციებს. პროგრამის კომპლექსურად განხორციელება ხელს შეუწყობს დასახული სასწავლო-აღმზრდელობითი მიზნების წარმატებით მიღწევას.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო ითვალისწინებს ბავშვებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი უნარების განვითარებას, როგორცაა კრიტიკული აზროვნების მეშვეობით პრობლემის გადაჭრა, სხვადასხვა კულტურათა მიმღებლობა, სხვათა მოსმენის უნარი, მოლაპარაკების წარმართვა, თანამშრომლობა, კონფლიქტის წარმომქმნელი მიზეზების აღმოფხვრა, ტოლერანტული ქცევის ჩამოყალიბება.

მოთხრობებში აღწერილი ისტორიები და სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოები მოსწავლეებს დაეხმარება გაიაზრონ, როგორ უნდა შეაფასონ კრიტიკულად საკუთარი შეხედულებები, როგორ აიცილონ და მოაგვარონ კონფლიქტები, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა და რას ნიშნავს აქტიური მოქალაქეობა. მოსწავლეები გაიაზრებენ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, გააცნობიერებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს და გაეცნობიან ბავშვის უფლებათა კონვენციას. ყოველივე ეს მოსწავლეებს დაეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, გააუმჯობესებს მათ შორის ურთიერთობას. დაანახებს მათ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებთან თავაზიანი მოპყრობა და მთლიანად საზოგადოებასთან ტოლერანტული დამოკიდებულება.

გასათვალისწინებელია, რომ ტოლერანტი ადამიანის აღზრდის მთავარი საშუალებებია: ინტერაქტიური სწავლება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

იმისათვის, რომ „ჩვენი ეზოს ამბების“ საშუალებით მოსწავლეებს ტოლერანტი ადამიანისთვის საჭირო ქცევები განუფიქროთ, უნდა გავიაზროთ რა არის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება და რა გზით განუფიქროთ ჩვენს აღსაზრდელებს ამგვარი აზროვნება.

## **რა არის კრიტიკული აზროვნება?**

**კრიტიკული აზროვნება** წარმოადგენს საკუთარი და სხვათა შეხედულებისა და სუბიექტური მოსაზრების გადასინჯვისა და კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების უნარს. ეს უნარი ყალიბდება პრობლემის გაანალიზების დროს, ასევე, არსებული პრობლემის მიმართ საბოლოო მოსაზრების ჩამოყალიბების შედეგად.

კრიტიკული აზროვნება გულისხმობს ინფორმაციის ყურადღებით გაცნობას, სადავო პრობლემის ან კონფლიქტის სხვადასხვა კუთხით (თვალსაზრისით) განხილვას. ამავე დროს, კრიტიკული აზროვნება პიროვნებას ეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებასა და რაციონალური და ფაქტებზე დაფუძნებული დასკვნის გამოტანაში.

კრიტიკული აზროვნების პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. კრიტიკული აზროვნების დროს ადამიანი გადასინჯავს საკუთარ შეხედულებებს და ნაკლებ სუბიექტივიზმს ავლენს. თანაგრძნობასა და პატივისცემასთან ერთად კრიტიკული აზროვნება უზრუნველყოფს ტოლერანტობის საფუძველს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს ბავშვებში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლებიც მათ კონფლიქტის წარმატებულად და ერთობლივად გადაჭრაში დაეხ-

მარება. კრიტიკული აზროვნება აუცილებელია აღნიშნული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. კრიტიკული აზროვნების გარეშე არ ხდება სუბიექტივიზმთან შებრძოლება, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია შედეგად არატოლერანტული ქცევა მივიღოთ.

ამრიგად, **კრიტიკული აზროვნება** არის მრავალმხრივი მიზნებით განპირობებული აზროვნება, რომლის დახმარებითაც ხდება არსებული ფაქტების, მსჯელობათა და წარმოდგენების ხელახალი გააზრება, რომლის შედეგადაც შესაძლებელია დასაბუთებული და ყოველმხრივ ანონ-დანონილი დასკვნის გამოტანა.

ხშირად ადამიანები ეყრდნობიან სუბიექტურ შეხედულებებსა და წარმოდგენებს, ურთიერთობისას უპირატესობას ანიჭებენ მხოლოდ საკუთარ მოსაზრებას, არ ითვალისწინებენ ალტერნატიულ შეხედულებებს. ყოველივე ეს კი არატოლერანტული ქცევის საწინდარია. გამოსავალი ასეთი ქცევიდან მხოლოდ არსებული სიტუაციის კრიტიკულ გადაფასებაშია.

აღსანიშნავია, რომ პედაგოგები სწავლება-სწავლის პროცესში ძირითადად **ლოგიკურ აზროვნებას** იყენებენ. უმჯობესია, სასწავლო პროცესში ლოგიკურ აზროვნებასთან ერთად კრიტიკული აზროვნებაც გამოვიყენოთ. ვცადოთ გავი-აზროთ, რა განსხვავებაა მათ შორის:

ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში პრობლემა წინასწარ არის ცნობილი, ხოლო კრიტიკული აზროვნების დროს პრობლემა გამოსამჟღავნებელი და დასადგენია.

ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში დასკვნა ორი წინამძღვრისგან კეთდება. სწორი დასკვნა შეიძლება ერთადერთი იყოს, ხოლო კრიტიკული აზროვნების დროს შესაძლებელია პრობლემის გადაჭრის რამდენიმე სწორი გზის პოვნა.

მასწავლებელმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ტოლერანტი პიროვნების აღზრდას ხელს უშლის **ირაციონალური აზროვნება**. იგი **კრიტიკული აზროვნების სრულიად საპირისპირო აზროვნების ფორმაა**. ირაციონალური აზროვნების შემთხვევაში ადამიანები უგულვებელყოფენ საღ აზრს და მხოლოდ საკუთარ ემოციებსა და წარმოდგენებს ენდობიან. ამგვარი აზროვნების შედეგად წარმოიქმნება ცრურწმენები. აზროვნების ეს ფორმა მოწყვეტილია რეალობას და ამიტომ მას ირაციონალურ აზროვნებას უწოდებენ.

განვაზოგადოთ ყოველივე ზემოთ თქმული და დავახასიათოთ კრიტიკული აზროვნება. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი დევიდ ქლუსტერი სტატიაში - „რა არის კრიტიკული აზროვნება?“ (2002 – 2004), ჩამოთვლის კრიტიკული აზროვნების ხუთ ძირითად ნიშანს:

1. პირველ ყოვლისა, **კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებელი აზროვნებაა**, რაც იმას ნიშნავს, რომ კრიტიკულად მოაზროვნე ინდივიდუალურად, სხვებისაგან დამოუკიდებლად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებსა და შეფასებებს.

2. ცნობილია, რომ ზოგადად აზროვნებისათვის თეორიისა და ფაქტების ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ **კრიტიკული აზროვნებისათვის ინფორმაციის მოპოვება არის საწყისი წერტილი და არა საბოლოო მიზანი**. აღსანიშნავია, რომ ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების გარეშე შეუძლებელია კრიტიკულად აზროვნება. ცოდნა, ინფორმაცია და გამოცდილება კრიტიკული აზროვნების მთავარი რესურსებია. ნებისმიერი ასაკის ადამიანს, პირველკლასელსაც კი, დაგროვილი აქვს საკმარის ცხოვრებისეული გამოცდილება და ცოდნა. ჩვენ მრავალი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია იმის დასტურად, რომ პატარებსაც აქვთ კრიტიკული აზროვნების უნარი. მაგალითად, ოთხი წლის ბავშვს ვერაფრით დავარწმუნებთ, რომ ის თვალებით ისმენს და ყურებით ხედავს. ის მაშინვე კრიტიკულად შეაფასებს საეჭვო მტკიცებულებებს, არ დაგვეთანხმება და შეცდომას გაგვისწორებს.

**სწავლების პროცესში უნდა გავითვალისწინოთ**, რომ ბავშვების სააზროვნო შესაძლებლობები თანდათან ვითარდება და იხვეწება. მასწავლებლის ვალია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ამ ბუნებრივ პროცესს და დაუფიქრებელი აკრძალვითა და დასჯით ხელი არ შეუშალოს მას.

3. **გასათვალისწინებელია, რომ კრიტიკული აზროვნება იწყება პრობლემის დასმიდან და მისი გაცნობიერებიდან**; ყველა დაგვეთანხმება, რომ ნამდვილი აზროვნებითი პროცესი იწყება მაშინ, როცა ჩნდება პრობლემის გადაჭრის სურვილი. მაგრამ რატომ წამოჭრის ადამიანი პრობლემებს? ამის მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა. სწორედ ცნობისმოყვარეობა უდევს საფუძვლად ჩვენს კითხვებს: რატომ? როგორ? საიდან? ეს კითხვები კონკრეტულ პასუხებს მოითხოვს. ცნობისმოყვარეობით განსაკუთრებით ბავშვები გამოირჩევიან, ამიტომ ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ და ადრეული ასაკიდანვე უნდა ვეცადოთ, რომ მათ კრიტიკული აზროვნება განვუვითაროთ. ხშირად ამ პროცესს ხელს უშლის ტრადიციული სწავლება-სწავლის პროცესი, როდესაც მოსწავლეებს მზა ცოდნას ვანვდიოთ და მათგან მხოლოდ მის დასწავლას მოვითხოვთ. ხშირად ამ დროს ხდება ცნობისმოყვარეობისა და პრობლემების ხედვის ბუნებრივი უნარის შესუსტება. ფილოსოფოსი ჯონ დიუი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას განვითარება სჭირდება. მისი აზრით, „ბავშვი მხოლოდ მაშინ იწყებს ფიქრს, როდესაც ჩვენ მას საშუალებას ვაძლევთ შეებრძოლოს კონკრეტულ პრობლემებს და მას თავად უხდება რთული სიტუაციებიდან გამოსავლის ძიება“ (დევიდ ქლუსტერი, 2002 - 2004).

4. ასევე **კრიტიკული აზროვნება გულისხმობს სწრაფვას დამაჯერებელი არგუმენტაციისაკენ**; გაიხსენეთ, რას აკეთებთ, როდესაც გინდათ,

რომ თქვენი შეხედულება ან მოსაზრება სხვებმა გაიზიარონ? თქვენ საკუთარ მოსაზრებებს განამტკიცებთ არგუმენტებით. არგუმენტების ჩამოყალიბებას გარკვეული წესების დაცვა სჭირდება. ესენია: მტკიცება ანუ თეზისი, საბუთი და მტკიცებულება. მაგალითად: თქვენ ამბობთ, რომ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი. ეს ნაწილი არის თქვენი არგუმენტაციის მტკიცება, ანუ თეზისი. მაგრამ თქვენ არ ჩერდებით თეზისზე და მოგყავთ საბუთი – ადამიანს აქვს თავისუფალი არჩევნის უფლება. ამ საბუთს თქვენ განამტკიცებთ სათანადო მტკიცებულებით, რომელსაც კონსტიტუციის სათანადო მუხლიდან მოიყვანთ, თქვენს შემთხვევაში ეს იქნება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მუხლი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უამრავ არგუმენტს მოეძებნება კონტრარგუმენტი, ამიტომ არგუმენტაციის პროცესის დროს სერიოზული დაფიქრება გმართებთ.

5. დაბოლოს, **კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა**. ჩვენ ვერასდროს შევძლებდით პრობლემების სწორად გადაჭრას, რომ არ გვექონოდა სხვა ადამიანებთან კამათის, აზრის გაცვლის საშუალება, ამიტომ, როდესაც მასწავლებლები სკოლაში კრიტიკული აზროვნების განსავითარებელ მეთოდებს იყენებენ, ისინი ცდილობენ, გამოუმუშაონ ბავშვებს საკუთარ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობის გრძნობა, სხვათა მოსმენისა და შემწყნარებლობის უნარი.

ამრიგად, **კრიტიკული აზროვნების ხუთი ძირითადი ნიშანია:**

1. კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებელი აზროვნებაა;
2. ინფორმაციის მიღება კრიტიკული აზროვნების საწყისი ეტაპია და არა საბოლოო შედეგი;
3. კრიტიკული აზროვნება იწყება პრობლემის დასმიდან და მისი გაცნობიერებიდან;
4. კრიტიკული აზროვნება მოითხოვს დამაჯერებელ არგუმენტაციას;
5. კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა.

თუ დავსვამთ კითხვას, შესაძლებელია თუ არა კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება, პედაგოგებისგან და ფსიქოლოგებისგან დადებით პასუხს მივიღებთ. ისინი გვთავაზობენ **რამდენიმე რჩევას კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად:**

1. გავარჩიოთ ლოგიკაზე დაფუძნებული მსჯელობა ემოციებზე დაფუძნებული მსჯელობისაგან;
2. ყოველგვარ ინფორმაციაში დავინახოთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები; გავითვალისწინოთ ყველა პლუსი და მინუსი,



ყველა მომხრე და მოწინააღმდეგე ხმა;

3. ვისწავლოთ შეუსაბამობების შემჩნევა მოსმენილსა და დანახულს შორის; ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას, თუ არ ვფლობთ საამისოდ საკმარის ინფორმაციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტოლერანტი პიროვნების აღსაზრდელად ასევე მნიშვნელოვანია შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. გავაცნობიეროთ, რა არის შემოქმედებითი აზროვნება და როგორ განვუვითაროთ იგი ბავშვებს.

**შემოქმედებითი აზროვნება** არის მოვლენათა ახლებურად ხედვისა და პრობლემათა გადაჭრის ორიგინალური, მანამდე არარსებული გზის პოვნის უნარი. შემოქმედებითი აზროვნების განმასხვავებელ ნიშნად ითვლება იდეათა ახლებური კავშირებისა და შესაბამისობების პოვნა.

პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრა ხშირად გვეხმარება ყველაზე რთულ სიტუაციებში. შემოქმედებითი აზროვნება ადამიანის გონების ისეთი შესაძლებლობაა, რაც წარმოუდგენელია ინფორმაციული ტექნოლოგიისთვის. იგი მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი.

შემოქმედებით ადამიანებს ახასიათებენ, როგორც საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ ადამიანებს, რომლებიც ხშირად იცვლიან გუნება-განწყობილებას. მაგრამ ხშირ შემთხვევაში შემოქმედებითი ადამიანები არ იზიარებენ ცრურწმენას და არ აზროვნებენ შაბლონურად. ამიტომ შემოქმედებითი ბუნების ადამიანები ტოლერანტები არიან.

გარშემო მყოფთა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების გაჩენა მჭიდროდაა დაკავშირებული კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარის ჩამოყალიბებასთან. მშობლებმა, სკოლამ და მასწავლებლებმა თანაბრად უნდა იზრუნონ ბავშვების ტოლერანტული სულისკვეთებით აღზრდაზე. ამისათვის კი საჭიროა შესაფერისი სასწავლო გარემოსა და სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდების შერჩევა, რომლებიც მოსწავლეებს თავისუფლად მსჯელობისა და პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის საშუალებას მისცემს. ყოველივე ამის მიღწევა კი ინტერაქტიური სწავლება-სწავლის გამოყენებითაა შესაძლებელი.

თანამედროვე პედაგოგიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწავლების პროცესში შემოქმედებითი გარემოს შექმნას. გთავაზობთ რჩევებს კლასში შემოქმედებითი გარემოს შესაქმნელად:

**მოიხსნას შემოქმედებითობის გამოვლენის ხელშემშლელი შინაგანი წინააღმდეგობები.**

კლასში მოსწავლეებს ხშირად ეშინიათ, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის დროს შეცდომას დაუშვებენ და მასწავლებლისგან შენიშვნას დაიმსახურებენ,

ამიტომ ისინი თავს იკავებენ აზრის გამოთქმისაგან. დავეხმაროთ მათ, რომ დარწმუნდნენ საკუთარ შემოქმედებით ძალაში.

### **მასწავლებელმა თავი უნდა შეიკავოს ნაადრევი შეფასებებისაგან.**

მასწავლებლისგან გამოთქმული ნაადრევი შეფასება ხშირად ხდება მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნების შეწყვეტის მიზეზი. ჯობს, მასწავლებელმა მეტი დრო მისცეს ბავშვებს პრობლემის გარშემო თავისუფალი დისკუსიისა და აზროვნებისათვის.

### **მივცეთ ბავშვებს დრო და საშუალება გონებრივი მოთელვისათვის.**

სასწავლო პროცესის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ითვლება ჯგუფური მუშაობის მეშვეობით პრობლემის გადაჭრის გზის ძიება, მაგრამ თავდაპირველად მუშაობის ეს ფორმა ბავშვებისათვის უჩვეულოა და დაბნეულობას იწვევს. ბავშვებს უნდა მივცეთ დრო და საშუალება, რომ შეეჩვიონ მუშაობის ახალ ფორმას; მივცეთ მათ დასაწყისისათვის მარტივი დავალებები.

### **მხარი დავუჭიროთ წარმოსახვის სიცხადეს, ფანტაზიას.**

აუცილებელია, რომ სწავლების პროცესში ჩავრთოთ მოსწავლეების წარმოსახვა. ეს განსაკუთრებით მომგებიანია დაწყებით კლასებში, რადგან ამ ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელია ძლიერი წარმოსახვა.

### **მოვახდინოთ წარმოსახვის „დისციპლინირება“ და გავაკონტროლოთ იგი.**

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ფანტაზიის თავისუფლების მიუხედავად, მას შემდეგ, რაც იდეა მომნიჭდება, ყველა მოსაზრება კრიტიკულად გადაფასდება და ფანტაზიის ნაწილი აუცილებლად უკუგდებული იქნება.

### **განვუვითაროთ ბავშვებს მოვლენათა და ფაქტების აღქმის სიღრმე და მრავალმხრივობა.**

ეს ამოცანა იოლად შესასრულებელია კონკრეტული სასწავლო მასალის გამოყენებით, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურისა და ნახატების მეშვეობით.

დავეხმაროთ მოსწავლეებს შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობისა და დანიშნულების გააზრებაში, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა სხვა უნარის განვითარება ფუჭი იქნება.

**შეიძლება თუ არა მოსწავლეებს სპეციალურად ვასწავლოთ შემოქმედებითად აზროვნება?**

საამისოდ არსებობს მთელი რიგი რეკომენდაციები. ფსიქოლოგები გვთავაზობენ:

- დავასახელოთ ყველა შესაფერის სიტუაციაში რაც შეიძლება მეტი იდეს.
- ჩავინეროთ ის აზრები, რაც მოგვაფიქრდება ანდა ხმამაღლა წარმოვთქვათ.
- არ დავინანოთ დრო შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

შემოგთავაზებთ შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელ კიდევ რამდენიმე რეკომენდაციას:

- ეცადეთ, მოსწავლეებმა ჩამოთვალონ რაც შეიძლება მეტი ორიგინალური და ახალი იდეა;
- იდეების ჩამოთვლისას მოსწავლეებმა არ უნდა მიაქციონ ყურადღება იმას, თუ როგორ შეაფასებენ მათ შეხედულებებს;
- ხელი უნდა შევუწყოთ მოსწავლეებს, რომ მრავალმხრივად იაზროვნონ;
- მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თამამად მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში;
- ხშირად მოაძებნინეთ მოსწავლეებს ჩვეულებრივი ნივთების არაჩვეულებრივად გამოყენების გზები;
- დიდი რაოდენობით იდეების ჩამოყალიბებისათვის მიმართეთ „გონებრივი იერიშის“ მეთოდს;
- გამოუმუშავეთ მოსწავლეებს საკუთარი იდეის ობიექტურად შეფასების უნარი.

მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალება ინტერაქტიური სწავლება-სწავლაა. ამჯერად გავიაზროთ, თუ რა არის ინტერაქტიური სწავლება.

### **რა არის ინტერაქტიური სწავლება?**

**ინტერაქტიური სწავლება** არის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და საჭიროებებს. ინტერაქტიურ სწავლებას შემოაქვს პედაგოგობაში სწავლებისა და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები. აქედან გამომდინარე, იცვლება

სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

მოსწავლე ინტერაქტიური სწავლების სუბიექტია, მისი აქტიური მონაწილე. სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის პირადი გამოცდილება, მისი თვისებები და ცოდნა.

სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიმდინარეობას - **კონსტრუქტივიზმს**. კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა არის ის, რომ ვასწავლოთ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შეჯერების მეშვეობით ახალი ინფორმაციის მოპოვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება - შენება.

ასხვაგვარად ცოდნის ორ სახეს: ერთი მხრივ, აქტიური სწავლება-სწავლის პროცესში კონსტრუირებულ, კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ ცოდნას და, მეორე მხრივ, ფაქტობრივ, პასიურად შექმნილ ცოდნას. როდესაც სწავლება-სწავლის პროცესი მოსწავლის კვლევითი ინტერესებისაკენ არის მიმართული, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ინფორმაციის მოპოვების, პრობლემათა გადაჭრის და კომუნიკაციური უნარები.

თანამედროვე პედაგოგიკაში ძირითადად სწავლის შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- **კონკრეტული დავალების დასწავლა („ტექნოლოგიურად“ აგებული გაკვეთილი);**
- **სასწავლო-კვლევითი საქმიანობა (ახალი ცოდნის ძიება; ახალი გამოცდილების, უნარ-ჩვევების ათვისება);**
- **თამაშის ორგანიზება (სიტუაციური მოდელირება, როლური თამაშები);**
- **დისკუსია (დიალოგი, კომუნიკაცია).**

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

### **ტექნოლოგიური სწავლების მეთოდები**

XX საუკუნეში მსოფლიო პედაგოგიკა ცდილობდა სასწავლო პროცესის ტექნოლოგიზაციას, რაც გულისხმობდა სასწავლო პროცესის ტექნიკური საშუალებებით ორგანიზებას.

ამჟამად ტექნოლოგიური სწავლების მეთოდები არ გულისხმობს სასწავლო პროცესში მხოლოდ ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, იგი მოიცავს სას-

წავლო პროცესის კონსტრუირებას, რაც ნიშნავს:

- შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული სასწავლო მიზნების დასახვას;
- დასახული მიზნების შესაბამისად სასწავლო მასალების მომზადებას;
- სასწავლო პროცესში მიმდინარე შედეგების შეფასებას;
- საჭიროებისამებრ სასწავლო პროცესის კორექციას;
- საბოლოო შედეგების შეფასებას.

### **კვლევითი სწავლების მეთოდები**

სწავლების პროცესის კვლევითი მიმართულება გულისხმობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას, რაც აუცილებლად მოსწავლეთა უშუალო გამოცდილებაზე დაყრდნობით ხორციელდება.

ეს მიდგომა დაკავშირებულია ევროპაში გავრცელებულ „თანამედროვე აღზრდის“ მიმართულებასთან და ამერიკულ „პროგრესულ აღზრდასთან“. ორივე მიმართულება სწავლების პროცესს ბავშვების გამოცდილებაზე აგებს.

ასეთი სწავლების მოდელის მიზანია არა მხოლოდ ახალი ცოდნის შექმნა, არამედ უკვე არსებული ცოდნის გადამუშავებაც. მასწავლებელმა დიალოგის, წარმოსახვის, ანალოგიების, მეტაფორისა და სხვა ხერხების გამოყენებით უნდა წაახალისოს მოსწავლეები და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ამგვარი პედაგოგიური გარემო ხელს უწყობს მოსწავლეს, დამოუკიდებლად ჩასწვდეს შესასწავლი მოვლენისა თუ ცნების არსს და გადაჭრას არსებული პრობლემა. მოსწავლე, უპირველეს ყოვლისა, გამოყოფს პრობლემას, შემდეგ დასახვას მისი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, არსებული ინფორმაციის საფუძველზე იკვლევს მათ, აკეთებს არჩევანს და გამოაქვს დასკვნები. ბოლოს კი ავლებს პარალელს მიღებულ დასკვნებსა და ახალ მონაცემებს შორის.

კვლევითი, ძიებითი მიმართულება სასწავლო პროცესში დაკავშირებულია კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასთან. ამისათვის მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას შემოქმედებითი სასწავლო გარემო.

### **სწავლება თამაშის მეშვეობით**

თამაში რთული სოციალურ-კულტურული ფენომენია. მას მრავალი მეცნიერება შეისწავლის, მათ შორის პედაგოგიკაც.

პედაგოგიურ გამოკვლევათა დიდი ნაწილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თამაშის გამოყენებას სასწავლო მიზნებისათვის. გამოყოფენ სასწავლო

პროცესში გამოყენებული თამაშის რამდენიმე სახეს: მოდელირებას, იმიტაციას და შეჯიბრს.

დიდაქტიკური თამაშებით წარმართულ სწავლების პროცესში ოთხი ეტაპი გამოიყოფა:

1. **ორიენტაცია** – მასწავლებელი წარადგენს შესასწავლ თემას, უხსნის თამაშის წესებს, მიმოიხილავს თამაშის მიმდინარეობას ზოგადად;
2. **მომზადება** – მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სცენარს, თამაშის ამოცანებს, წესებს, როლებს, სხვა პროცედურებს;
3. **თამაშის ჩატარების პროცესი**;
4. **თამაშის განხილვა** – მოსწავლეები მსჯელობენ თამაშზე, მის სირთულესა და წარმატებაზე. ხდება იმიტაციის შედარება რეალურ ცხოვრებასთან.

### **დისკუსიის საშუალებით სწავლება**

თანამედროვე დიდაქტიკურ მეთოდებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სასწავლო დისკუსიას. იგი თავისი არსით დიალოგს წარმოადგენს. დისკუსიის მეთოდი მოსწავლეებს უვითარებს კომუნიკაციის, მსჯელობის კულტურას. დისკუსიის მეშვეობით შესაძლებელია ჭეშმარიტების დადგენა იდეების, შეხედულებებისა და მტკიცებულებების გაცვლის საფუძველზე. დისკუსიის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია მისი ორგანიზება და რეგულირება, დისკუსიის მონაწილენი უნდა იცავდნენ წესებს, რომლებსაც მასწავლებელთან ერთად თავად ჩამოაყალიბებენ. წესების ჩამონათვალი შეიძლება ამგვარი იყოს:

- როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ;
- აინიეთ ხელი, როცა რაიმეს თქმა გსურთ;
- არ გაანწყვეტინოთ სხვას სიტყვა;
- კამათში ყველა მონაწილეობს;
- და სხვა წესები (რასაც მოსწავლეები შემოგვთავაზებენ).

დისკუსიის მსვლელობა:

- დისკუსია იწყება განსაზღვრული საკითხის ან გადასაჭრელი პრობლემის დასმით;
- შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს: რა? როგორ? რატომ? რა მოხდება, რომ ... ? რამ იქონია გავლენა? არსებობს თუ არა სხვა შეხედულება?
- იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ ხმაური და ქაოსი გაკვეთილზე, თითოეულ მონაწილეს შეუძლია გამოსვლა წამყვანის/მასწავლებლის ან კლასის მიერ არჩეული ლიდერის ნებართვით;

- დაუშვებელია მონაწილეთა შორის დაპირისპირება;
- თითოეულ მონაწილეს უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება;
- გამომსვლელმა უნდა დაიცვას რეგლამენტი;
- დისკუსიის მონაწილენი უნდა შეეცადონ, რომ გამოთქმული აზრი იყოს დასაბუთებული და ფაქტებით განმტკიცებული;
- თითოეული გამონათქვამი ყურადღებით უნდა იქნეს განხილული;
- განხილვისას უნდა დავიცვათ კორექტულობა, დაუშვებელია დაცინვა, აბუჩად აგდება.

დისკუსიის წარმართვის რამდენიმე ფორმა არსებობს. დანყებით კლასებში უმჯობესია გამოვიყენოთ „მიკროფონი“ და „აკვარიუმი“.

**სავარჯიშო „მიკროფონი“** მასწავლებელს ეხმარება დისკუსიის ორგანიზებულად მართვაში. მხოლოდ იმ მოსწავლეს შეუძლია საუბარი, რომელსაც მიკროფონს გადასცემენ. მიკროფონი შესაძლებელია იყოს კალამი, ფანქარი და ა.შ.

**სავარჯიშო „აკვარიუმის“** დროს დისკუსიის მონაწილენი აზრს გამოთქვამენ თანმიმდევრულად ისე, როგორც სხედან, წრიულად ან მერხებთან. ყოველმა გამომსვლელმა უნდა დაიცვას 2-3 წუთიანი რეგლამენტი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისკუსია თავისი არსით დიალოგის ხასიათს ატარებს. დიალოგი ურთიერთობის საუკეთესო ფორმაა, რომლის საშუალებითაც პიროვნებებს შორის პრობლემის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სწორი გადაწყვეტილების პოვნა ისე, რომ არც ერთი მხარე არ დაზარალდეს.

- დიალოგი არის თანამშრომლობა, რომლის მიზანია შეთანხმება; დიალოგის დროს ერთი მხარე უსმენს მეორეს, რათა მხარეები გაერკვნენ და აღმოაჩინონ განსხვავება პოზიციებს შორის;
- დიალოგი მოითხოვს ადამიანებისა და მათი იდეების პატივისცემას;
- დიალოგი იძლევა შესაძლებლობას ღია კომუნიკაციისათვის, მაშინ, როდესაც მოსწავლეები განიხილავენ პრობლემურ საკითხებს.

ეს მეთოდი 2000 წლისაა. იგი წარმოიშვა ბერძნულ ფილოსოფიაში. მისი თანამედროვე სახელწოდებაა „კრიტიკული აზროვნება“.

იმისათვის, რომ დიალოგი წარმატებით და შედეგიანად წარიმართოს, აუცილებელია ვიცოდეთ შემდეგი:

1. პატივი ეცით იმ ადამიანს, რომელიც გიზიარებთ საკუთარ აზრს (თქვენ შეგიძლიათ არ დაეთანხმოდით მას, მაგრამ არა გაქვთ უფლება შეაწყვეტინოთ საუბარი);
2. გამოსატყუარებლად თქვენი მოსაზრება ისე, რომ სხვა არ შეურაცხყოთ;
3. მაქსიმალურად ეცადეთ სიმართლე დაასაბუთოთ (ამოიცანით და შეასწორეთ დეზინფორმაცია);
4. გამოსატყუარებლად თქვენი მოსაზრება გასაგები ვნით.

მასწავლებლის მოვალეობაა არა რომელიმე კონკრეტული პოზიციის დაკავება, არამედ, დისკუსიის წარმართვა ისე, რომ დიალოგში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული აზრი გამოიკვეთოს.

დისკუსიის ჩატარებაში დაგვეხმარება სწორად დასმული შეკითხვები, რომელიც სწორ მიმართულებას მისცემს მოსწავლეთა აზროვნებას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეიძლება რამდენიმე საკლასო საათი დაგვჭირდეს, ვიდრე დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობა თავს კომფორტულად იგრძნობს და შეძლებს თავისი აზრის თავისუფლად გადმოცემას.

გაკვეთილზე წარმოებულ დიალოგს საკმაოდ დიდი დატვირთვა აქვს. მის ჩასატარებლად აუცილებელია მოსწავლეებმა იცოდნენ დიალოგის წარმართვის წესები. მათ უნდა იცოდნენ, რომ საკამათო საკითხები, შესაძლოა ვერ გადაიჭრას დიალოგით, მაგრამ ეს პროცესი დაეხმარება მათ იფიქრონ პრობლემაზე, ერთმანეთს გაუზიარონ შეხედულებები, აზრები, ჩაებან დებატებში და ხელი შეუწყონ თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას. თუ დიალოგი დაიძაბა, მაშინ დისკუსია უნდა წარიმართოს სამოქალაქო ფასეულობებზე დაყრდნობით. მაგალითად, თუ მოსწავლეები მსჯელობენ ჩაცმის კულტურაზე, კერძოდ, სკოლაში გამომწვევი ჩაცმულობის აკრძალვაზე, კარგი იქნება ჯერ გავარკვიოთ მიიჩნევენ თუ არა ისინი, რომ სკოლამ უნდა გაითვალისწინოს ამა თუ იმ საკითხზე მოსწავლის შეხედულება.

ყველა მოსწავლეს აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი აზრი. დისკუსიის დროს ყურადღება გაამახვილეთ სამოქალაქო ფასეულობებზე, აღნიშნეთ ვის აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება.

### **მუშაობის ფორმები**

არსებობს მუშაობის შემდეგი ფორმები: **ინდივიდუალური, წყვილში და ჯგუფური.**

მასწავლებელმა თავიდანვე უნდა განუმარტოს მოსწავლეებს მუშაობის ფორმების არსი. ასეთ შემთხვევაში თავიდან ავიცილებთ წყვილში და ჯგუფური მუშაობის დროს ხმაურსა და ქაოსს.

მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ:

ინდივიდუალურად მუშაობის პროცესში მოსწავლე საკუთარ თავზეა პასუხისმგებელი, წყვილში და ჯგუფური მუშაობისას ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი მენეჯერის, ასევე გუნდის წევრის მიმართ.

გთავაზობთ წესებს ჯგუფური მუშაობისთვის:

- კლასი იყოფა 4-5 კაციან ჯგუფებად (გუნდებად);
- კლასს ეძლევა საერთო დავალება;



- დავალება სრულდება ჯგუფებში;
- ჯგუფი უნდა მუშაობდეს შეთანხმებულად, არ უნდა მოხდეს კონფლიქტი, არ უნდა ითრგუნებოდეს არც ერთი მოსწავლე;
- ჯგუფის ყოველი წევრი უნდა ჩაერთოს საქმიანობაში;
- სამუშაო სრულდება ერთობლივად და ზოგიერთ შემთხვევაში ერთ ფურცელზე;
- დავალება სრულდება მასწავლებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროში (10-15 წთ.);
- ჯგუფი მუშაობს ერთ მაგიდასთან;
- ჯგუფი, რომლის წევრებიც შეთანხმებულად ვერ მოქმედებენ, მუშაობას წყვეტს.

ჯგუფის შერჩევა სხვადასხვაგვარად ხდება. მაგ. შესაძლებელია შემთხვევითი პრინციპით შერჩევა, მოსწავლეები გაითვლიან 1-დან 5-მდე და თითოეულ ჯგუფში გაერთიანდებიან ერთიანები, ორიანები, სამიანები და ა.შ. შემთხვევითი შერჩევა საჭიროა იმისათვის, რომ მოსწავლეები მიეჩვიონ უცხო გარემოში ნებისმიერ პარტნიორთან ურთიერთობას. ჯგუფებად დანაწილება უნდა მოხდეს ოპერატიულად (2-3 წთ.).

ჯგუფში როლების, მაგ., ტექსტის მკითხველის, ჩანაწერების გამკეთებლის, მხატვრის, პრეზენტატორისა და სხვათა გადანაწილება უნდა მოხდეს წინასწარ მასწავლებლის ან თავად მოსწავლეების მიერ.

ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელი ნაკლებად აქტიურია. იგი გეზის მიმცემისა და მეთვალყურის როლს ასრულებს და ბოლომდე ნეიტრალურ წამყვანად რჩება. სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს.

### **შემონმების ტექნიკა და ინსტრუქციები**

სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით სასურველია შეფასების თანამედროვე ხერხების გამოყენება. მათი მეშვეობით იზომება არა მხოლოდ ცოდნა, არამედ შეძენილი უნარ-ჩვევები და აზროვნება.

გთავაზობთ შემონმების ზოგიერთ ხერხს, რომელიც ინტერაქტიური სწავლება-სწავლის პროცესში გამოიყენება:

1. **საქალაქი/პორტფოლიო** – შემონმების ამ ხერხის საშუალებით ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების შეგროვება. საქალაქიში ხვდება ყველანაირი ნამუშევარი – საწყისი ვერსია, ცვლილებები და სრულყოფილი ვარიანტი. საწყისი და საბოლოო ვარიანტების შედარების საფუძველზე ვადგენთ მოსწავლის წინსვლის ხარისხს;

2. **წარმოდგენა, პრეზენტაცია** – წარმოდგენა არის განსახილველ საკითხთან დაკავშირებული სიტუაციის შექმნა (სიმულაცია), ხოლო პრეზენტაცია – შესწავლილი მასალის წარდგენა აუდიტორიის წინაშე.
3. **რუბრიკები** – თემასთან დაკავშირებული ინდიკატორების სისტემა, რომელსაც მასწავლებელი წინასწარ ადგენს და აცნობს მოსწავლეებს. რუბრიკებში მოცემულია მიღწევის დონეები (მაგ., დაბალი, საშუალო, მაღალი).
4. **თვითშეფასება და შეფასება წყვილებში** – მოსწავლეები თვითონ ამონებენ და ადგენენ, თუ რა სჭირდებათ მათ შემდგომი განვითარებისათვის. მოსწავლეები ამონებენ და აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს. შემდეგ, ისინი, მასწავლებელთან ერთად ცდილობენ დაადგინონ, კიდევ რა საკითხი უნდა დაემატოს შესწავლილ თემას სრულყოფისათვის.
5. **შემომნებისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ სპეციალურად შედგენილი კითხვარები.**

### **გაკვეთილის სამფაზიანი მოდელი**

სამფაზიანი გაკვეთილი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- I – გამონვევა;
- II – სიღრმისეული წვდომა;
- III – გააზრება, რეფლექსია.

გაკვეთილის სამფაზიანი მოდელის პირველი ეტაპი – **გამონვევა** გულისხმობს მოცემულ საკითხზე, საგანზე ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურებას. მოსწავლეები იხსენებენ იმას, რაც იციან შესასწავლი საკითხის შესახებ. იწყებენ ახალ თემაზე ფიქრს. ხდება მოსწავლეთა გააქტიურება, ინტერესის გაზრდა, რაც საკითხის კვლევის პროვოცირებას უწყობს ხელს.

**სიღრმისეული წვდომა** – სწავლის პროცესის გააზრების მეორე ფაზაა. იგი შესასწავლი საკითხის შინაარსის გაგებასა და აღქმას უწყობს ხელს. მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას ტექსტის წაკითხვის, აუდიო და ვიდეო მასალის გაცნობის, ცდების ჩატარების საშუალებით. ამ ეტაპზე ხდება არსებული ცოდნისა და ახალი ინფორმაციის შეჯერება.

სიღრმისეული წვდომის უპირველესი ამოცანაა „გამონვევის ფაზაზე“ გაღვივებული ინტერესის შენარჩუნება და განმტკიცება.

**გააზრების** ეტაპზე მოსწავლეები ამთლიანებენ არსებულ და ახლად მიღებულ ცოდნას, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა.

## **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**

ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება: „მოზაიკა“, აქტიური ლექცია, ეფექტური კითხვა „შნსეკა“ ნიშანთა სისტემის გამოყენებით და ა.შ.

**„მოზაიკა“** წარმოადგენს ერთობლივი სწავლება-სწავლის მეთოდს, როდესაც ურთიერთსწავლების საშუალებით ხდება „დანანევრებული“ ინფორმაციის გაშლიანება. თავიდან მასწავლებელი ყოფს ტექსტს ნაწილებად. შემდეგ ქმნის იმდენ ჯგუფს, რამდენ ნაწილადაც არის დაყოფილი ტექსტი. ძირითადი ჯგუფების გარდა იქმნება ე.წ. ექსპერტთა ჯგუფებიც. ძირითადი ჯგუფის ყოველი წევრი სწავლობს სტატიის ყველა მონაკვეთის შინაარსს. მათ უნდა ჩაინიშნონ ტექსტთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი კითხვა და მიმართონ ამ კითხვებით შესაბამის მონაკვეთზე პასუხისმგებელ ექსპერტს. ეს პროცესი უნდა აკონტროლოს მასწავლებელმა. მან თვალყური უნდა ადევნოს ინფორმაციის დასწავლისა და კარგად გადაცემის პროცესს. თუ ექსპერტთა ჯგუფი ვერ გასცემს პასუხს წამოჭრილ კითხვებს, მაშინ მასწავლებელი თავად უპასუხებს.

**აქტიური ლექცია** შესასწავლ საკითხზე ზოგადი შთაბეჭდილების შექმნის ეფექტური საშუალებაა. იმისათვის, რომ ლექციის დროს გაააქტიუროს მსმენელები, პედაგოგმა მათში ჯერ სათანადო ინტერესი უნდა აღძვრას, ამის მისაღწევად რამდენიმე გზა არსებობს. საჭიროა ლექციის ეტაპებად დაყოფა.

- I. მოსამზადებელი ეტაპი – ამ ეტაპზე ხდება მსმენელთა პროვოცირება, ინტერესის გამოწვევა. ამის მიღწევა სხვადასხვა ხერხით არის შესაძლებელი: კითხვების დასმით, მცირე წერიტი სამუშაოს შესრულებით, საკვანძო სიტყვებზე აზრის გამოთქმით, თვალსაჩინოების გამოყენებით.
- II. საკუთრივ ლექციის ეტაპი – სასურველია, რომ ლექცია არ გრძელდებოდეს 10-15 წუთზე მეტხანს, რადგან უფრო ხანგრძლივი ლექციის დროს მსმენელთა ყურადღება იკლებს და შედეგი უარესდება.
- III. გააზრების ეტაპი – გააზრებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ დისკუსია, თავისუფალი თემის დანერა, საკუთარი ნააზრევის შედარება ლექციაზე მოსმენილ ინფორმაციასთან.

## **მართული კითხვის მეთოდი „შნსეკა“**

„შნსეკა“ ნიშნავს: „შენყობილ ნიშანთა სისტემას ეფექტური კითხვისა და აზროვნებისათვის“. ეს მეთოდი გამოიყენება ნაკითხულის უკეთ აღსაქმელად და დასამუშავებლად. ამ მეთოდის გამოყენების დროს მკითხველი ტექსტის კიდებზე აკეთებს გარკვეულ აღნიშვნებს:

- „V “ – ასეთი ნიშნით აღინიშნება მკითხველისათვის უკვე ნაცნობი ინფორმაცია;
- „ + “ – ამ ნიშნით აღინიშნება მკითხველისათვის ახალი ინფორმაცია;
- „ — “ – ასეთი ნიშანი დაისმის, თუ მკითხველის მიერ ახლად ამოკითხული ინფორმაცია საპირისპიროა იმისა, რაც უკვე იცის ან ჰგონია, რომ იცის;
- „ ? “ – ამ ნიშნით აღინიშნება გაუგებარი ინფორმაცია; ეს ნიშანი იმ შემთხვევაშიც გამოიყენება, როცა მკითხველს მეტის გაგება სურს საკითხთან დაკავშირებით.

ამ მეთოდის გამოყენების დროს არ არის აუცილებელი, მოხდეს ყოველი სტრიქონის აღნიშვნა. მთავარია, ამ აღნიშვნებმა გამოავლინონ მკითხველის დამოკიდებულება ნაკითხული ინფორმაციისადმი.

### **როლური თამაში (წარმოდგენა როლების გათამაშებით)**

როლური თამაში მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ შექმნილი პატარა იმპროვიზირებული წარმოდგენაა, რომლის მიზანია კონკრეტული სიტუაციის გაცოცხლება. იგი საშუალებას იძლევა უკეთ წარმოვიდგინოთ, გავიაზროთ და გავაანალიზოთ მოცემული ამოცანა.

სავარჯიშოსათვის მასწავლებელი შეარჩევს რეალური ცხოვრებიდან აღებულ ამბავს ან ტექსტს (სცენას) ლიტერატურული მასალიდან. შესაძლებელია, მასწავლებელმა ან მოსწავლეებმა თავად მოიფიქრონ ისტორია საჭირო თემაზე და გაითამაშონ იგი.

მასწავლებელი ანაწილებს როლებს. მოსწავლეები შემოქმედებითად უნდა მიუდგნენ თავიანთ როლებს, რაც იმის გარანტიაა, რომ ისინი კრიტიკულად განეწყობიან როგორც საკუთარი პერსონაჟის, ისე სხვა მოქმედი გმირების მიმართ.

### **შეკითხვათა სახეები**

ტოლერანტი პიროვნება ცნობისმოყვარეა. იგი მრავალ შეკითხვას სვამს. განსაკუთრებით ბევრ შეკითხვას სვამენ ბავშვები. ისინი ცდილობენ შეკითხვების საშუალებით პასუხი მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებზე, კავშირი დაამყარონ უცნობ სამყაროსთან, რომელიც ერთდროულად იზიდავს და აფრთხობს კიდევ მათ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მასწავლებელმა სხვა უნარ-ჩვევებთან ერთად მოსწავლეებს გამოუმუშაოს შეკითხვის დასმის უნარი.

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ შეკითხვები შეიძლება იყოს ღია და დახურული.

**დახურული კითხვა** მოითხოვს მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ პასუხს.

ამგვარი კითხვა უკვე შეიცავს პასუხს. მაგალითად: „პაკო ცელქი ბიჭია თუ არა?“

დახურული კითხვა გამოიყენება ძირითადად ცოდნის შესამოწმებლად და ფაქტის კონსტატაციისთვის.

**ღია შეკითხვა** არ მოითხოვს ერთ კონკრეტულ პასუხს, არამედ მისი მეშვეობით შესაძლებელია აზრთა სხვადასხვაობის გამოვლენა, კამათის წარმართვა, ისეთი საკითხების განხილვა, რომელზედაც არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტების ერთობლივი ძიება და კვლევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შედეგი, მაგ., რა აზრის ხართ პაკოზე? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

შეკითხვების დასმის უნარის განვითარებაში დაგვეხმარება ბლუმის ტაქსონომია (ჯინი ლ. სთილი, ქერთის ს. მერედითი, ჩარლზ თემფლი).

**ბლუმის ტაქსონომია** არის პედაგოგიური მიზნებისათვის შექმნილი კოგნიტური (შემეცნებითი) იერარქიული სისტემა. მისი ავტორია ამერიკელი პედაგოგი და ფსიქოლოგი ბენჯამენ ბლუმი. ტაქსონომია ხელს უწყობს აზროვნების განვითარებას. იგი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დიფერენცირებას რიგისა და კანონის მიხედვით. ტაქსონომია ბიოლოგიურ ტერმინთა ნუსხიდანაა ნასესხები და აღნიშნავს იმგვარ კლასიფიკაციას, რომელიც ობიექტს ახასიათებს მარტივიდან რთულ კატეგორიამდე. ამრიგად, ბლუმის ტაქსონომია აზროვნების განმავითარებელი ექვსსაფეხურიანი მოდელია.

სასურველია, მასწავლებელმა სამუშაო პრინციპად აქციოს აზროვნების სხვადასხვა დონის განმავითარებელი შეკითხვების თანმიმდევრული გამოყენება.

შემოგთავაზებთ სააზროვნო უნარ-ჩვევებს და ზმნებს, რომლებიც გაგიოლდებთ კითხვის დასმას სხვადასხვა საფეხურზე უმარტივესიდან (ინფორმაციული ცოდნის აღსადგენად საჭირო კითხვებიდან) ურთულესამდე (შეფასების ჩასატარებლად საჭირო კითხვებამდე).

გაეცანით ბლუმის ტაქსონომიის აზროვნების საფეხურებს და აზროვნების განსაზღვრულ დონეზე შეკითხვების დასასმელად საჭირო ზმნების ჩამონათვალს:

1. **ცოდნა** – ამ ეტაპზე (საწყისი საფეხური) მოსწავლემ გონებაში უნდა აღიდგინოს ინფორმაცია, რომელიც რაიმე ნიშნით უკავშირდება საგაკვეთილო თემას... (შესასწავლი მასალის გახსენება);

*შეკითხვის დასმისთვის გამოსაყენებელი ზმნები:* გაიმეორეთ, ჩამოთვალეთ, დაასახელეთ, გაიხსენეთ, მიუსადაგეთ, მოიყვანეთ ციტატა;

2. **გაგება** – მოსწავლე კომუნიკაციის გზით შეიმეცნებს ახალ მასალას და იძენს ცოდნას მასალის არსში ჩასაწვდომად;

*შეკითხვის დასმისთვის გამოსაყენებელი ზმნები:* ამოირჩიეთ, აღწერეთ, შეაჯამეთ, ახსენით, დაახასიათეთ, ივარაუდეთ;

- 3. გამოყენება** – მოსწავლე იყენებს მიღებულ ცოდნას. მოსწავლეს ამ ეტაპზე უვითარდება შესწავლილი მასალის (ნაწარმოების, წესების, კანონების, მეთოდების, თეორიების) ახალ და კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების უნარი;

*შეკითხვის დასმისთვის გამოსაყენებელი ზმნები:* მოამზადეთ, დააკავშირეთ, შექმენით სქემა, რუკა, მოახდინეთ კლასიფიცირება;

- 4. ანალიზი** – მოსწავლე ნაწილებად შლის მიღებულ ცოდნას;

*შეკითხვის დასმისთვის გამოსაყენებელი ზმნები:* შეადარეთ, განასხვავეთ, გამოარჩიეთ შემადგენელი ნაწილები, გამოიკვლიეთ, დაანაწევრეთ, დაყავით კატეგორიებად, გაანალიზეთ;

- 5. სინთეზი** – მოსწავლე ამთლიანებს (თხზავს, ქმნის) შესწავლილ მასალას.

*შეკითხვის დასმისთვის გამოსაყენებელი ზმნები:* შექმენით, ააწყვეთ, მიუსადაგეთ, შეათავსეთ, დაგეგმეთ, განაზოგადეთ, თეორიულად ჩამოაყალიბეთ, ფორმულირება მოახდინეთ, წარმოიდგინეთ;

- 6. შეფასება** – მოსწავლე აფასებს მასალას, მეთოდებს, რომლებიც დასახული იქნა მიზნის მისაღწევად.

*შეკითხვის დასმისთვის გამოსაყენებელი ზმნები:* იმსჯელეთ, განსაჯეთ, გამოიტანეთ დასკვნა, გააკრიტიკეთ, აწონ-დაწონეთ, შეაჯამეთ, გაითვალისწინეთ, გაამართლეთ/გაამტყუნეთ.

### **მასწავლებელთა საყურადღებოდ:**

1. გაკვეთილზე თქვენ ხართ თავისუფალი. შესაძლებელია გაკვეთილის სცენარი საჭიროებისამებრ შეცვალოთ. მთავარია, მიაღწიოთ დასახულ მიზანს და მიიღოთ შედეგი. არ არის სავალდებულო მასწავლებლის სახელმძღვანელოში მოცემული ყველა სავარჯიშოს ჩატარება, თუ აღნიშნული სავარჯიშოების შესრულება ვერ ესწრება ერთ გაკვეთილზე.
2. სასურველია, მოსწავლეებს გააცნოთ ყოველი თემის მიზნები და დაუკონკრეტოთ, რა უნარ-ჩვევები უნდა განუვითარდეთ მათ შესასწავლ მასალასთან მიმართებით. გაკვეთილის მიზნები მოსწავლეებს უნდა მიანოდოთ მათთვის გასაგები ენით. მასწავლებლის წიგნში არის ძირითადი

- ცნებების ნაწილი, რომელიც მხოლოდ პედაგოგებისათვის არის განკუთვნილი. ეს ტექსტი არ გამოდგება ბავშვებისთვის, ხოლო მოსწავლის წიგნში მოცემული მიმოხილვა თემაზე დაგეხმარებათ ბავშვებთან სამეცნიერო ენის შერჩევაში.
3. მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოიხილოთ წინა თემა ყოველ ახალ თემაზე გადასვლამდე. წაახალისეთ ბავშვები საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ ამა თუ იმ ცნების განსაზღვრება, ამით თავიდან აიცილებთ „გაზეპირების“ პრობლემას.
  4. მნიშვნელოვანია მოთხრობებში მოცემული პრობლემის განხილვისას ყურადღება გამახვილდეს სიტუაციის გააზრებაზე, ანალიზზე და არა მხოლოდ შინაარსის დამახსოვრებაზე; პედაგოგის მიერ სწორი ლექსიკის გამოყენებისა და შეკითხვების დასმის შემდეგ მოსწავლეები ფიქრს იწყებენ, მათ აღარ სჭირდებათ წინასწარ განსაზღვრული პასუხი, ისინი ეჩვენებიან საკუთარი აზრის დასაბუთებას, სხვისი აზრის გათვალისწინებას და საბოლოოდ უყალიბდებათ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები.
  5. ეცადეთ საგაკვეთილო პროცესში ჩართოთ არა მარტო აქტიური ბავშვები, რომლებიც პასუხობენ ყოველ შეკითხვას, არამედ პასიურებიც. შეგიძლიათ მათ დაუსვათ შეკითხვები; დაავალოთ რომელიმე აქტივობის კონტროლი: მაგ. ჯგუფური მუშაობის მეთვალყურეობა, რეგლამენტის დაცვა და ა.შ.
  6. ისეთ შემთხვევებში, როცა დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ ბავშვებმა ბოლომდე ვერ გადმოგცეს სათქმელი დროის სიმცირის გამო, შესაძლებელია დაავალოთ მათ, შინ დაასრულონ სავარჯიშო.
  7. შეეცადეთ გაკვეთილის პროცესი ბოლომდე გააკონტროლოთ. ეს თავიდან აგაცილებთ გაკვეთილის სტიქიურად განვითარებას. ზოგიერთი ხმაურიანი აქტივობის დასრულების შემდეგ აუცილებელია ჯგუფი დაანყნაროთ და მხოლოდ შემდეგ გააგრძელოთ გაკვეთილი; შეგიძლიათ ეს არავერბალურად (სიტყვიერად) ანიშნოთ ბავშვებს, შეგიძლიათ ხმადაბლა განუმარტოთ სათქმელი.
  8. აუცილებელია ჩატარებული აქტივობების შეჯამება მასწავლებლის მიერ, ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ზეპირად, ზოგ შემთხვევაში კი შეჯამება დააფიქსირეთ დაფაზე.
  9. მაქსიმალურად გამოიყენეთ ვიზუალური მასალა. კედლებზე გააკარით მოსწავლეების ნამუშევრები, მნიშვნელოვანი ტერმინები, განმარტებები და სხვ.
  10. გახსოვდეთ, რომ ყოველი აქტივობის ან განხილული თემის დამთავრების

შემდეგ კარგი იქნება უკუკავშირის ჩატარება, რაც ითვალისწინებს შესრულებული საქმიანობის მიმოხილვას სამუშაოს დასრულების შემდეგ. ძირითადად ეს პროცესი ხორციელდება გაკვეთილის ბოლო, მესამე, გააზრების ეტაპზე. ხშირად პედაგოგიურ ლიტერატურაში უკუკავშირის სინონიმად შესაძლებელია შეგვხვდეს ტერმინები: დებრიფინგი, რეფლექსია, დისკუსია.

ამრიგად, უკუკავშირი არის გაკვეთილის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი. უკუკავშირის დროს მოსწავლეები ხელახლა გაიაზრებენ მთელ გაკვეთილს ან მის გარკვეულ ნაწილს. აფასებენ ჩატარებულ სამუშაოს.

უკუკავშირს აქვს რამდენიმე ფუნქცია:

- აჯამებს სხვადასხვა მოსწავლის შეხედულებებს გაკვეთილზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით;
- ხელს უწყობს მოსწავლეებს, შეაფასონ სირთულე და გამოავლინონ სიახლე;
- ხელს უწყობს მოსწავლეებს, გაიაზრონ ზოგადად გაკვეთილის ან განხილული საკითხის ყველა დეტალი;
- ქმნის შესასწავლი საკითხების ათვისების გაუმჯობესების შესაძლებლობას ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე;
- ხელს უწყობს მასწავლებელს ჩატარებული გაკვეთილების ხარვეზების აღმოფხვრასა და მომავალი გაკვეთილების უკეთ დაგეგმვაში.

გაკვეთილზე, სწავლების მეთოდების განხილვისას, უკუკავშირის დროს ხდება როგორც მეთოდების, ისე სამუშაო ფორმების – ინდივიდუალურის, წყვილებში ან ჯგუფურის გააზრება-ანალიზი.

უკუკავშირის მთავარი პრინციპია ჯგუფის ყველა წევრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება, რაც ხორციელდება:

- მოსწავლეთა ინდივიდუალობისა და მათი ძლიერი თვისებების წარმოჩენით;
- გაუგებარ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა განმარტებების შეთავაზებით;
- მასწავლებლის ინტერესით იმის მიმართ, თუ როგორ გამოიყენებს მოსწავლე მომავალში გაკვეთილზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

11. ტრადიციული მეთოდებით წერისა და კითხვის სწავლებისა და მასწავლებლის მიერ წარმართული საუბრის გარდა, კარგი იქნება თუ გამოიყენებთ



არატრადიციულ ხერხებსაც – კლასგარეშე მუშაობას, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებაში.

ამგვარი სწავლების პროცესი თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს. უპირველესად მოსწავლეებს უნდა განუვითაროთ ინფორმაციის მოპოვების უნარ-ჩვევა. მაგ., შესაძლებელია მოსწავლეებმა თავად შეისწავლონ საკუთარი თემის, რაიონის, სოფლის, ქალაქის ცხოვრება. წარმართონ ჟურნალისტური საქმიანობა – შეაგროვონ ახალი ამბები, გამოკითხონ მოქალაქეები, შეკრიბონ ინფორმაცია ცხოვრების პირობებზე, ადამიანთა ურთიერთობებზე, ჰაერის დაბინძურებაზე და სხვ. მათ შეუძლიათ დაწერონ იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომლებმაც გავლენა იქონიეს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ასეთი კვლევის შედეგები შესაძლებელია, დაიბეჭდოს გაზეთებში, გაშუქდეს რადიოგადაცემებში, სპეციალურ პუბლიკაციებში.

12. ახალი ეროვნული გეგმის ერთ-ერთ ძირითად მიზანს სწორედ ცოდნის გამოყენება წარმოადგენს სხვადასხვა კონტექსტში, როგორც კლასში, ისე კლასგარეშე სამუშაოს შესრულების დროს.
13. ასევე დასახული მიზნების მისაღწევად, ძალზე მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლის განვითარების მახასიათებლები. **გთავაზობთ 6-დან 11 წლამდე ბავშვის განვითარების მახასიათებლებს:** (გრეის კრაიგი, 2002)
  - ბავშვის ენერგია მიმართულია ახალი უნარ-ჩვევების ათვისებისაკენ;
  - ამ ასაკის ბავშვის აზროვნება შედარებით უფრო ლოგიკურ სახეს იღებს, მაგრამ მას სააზროვნო ოპერაციების ჩატარება მხოლოდ რეალურ, კონკრეტულ ობიექტებთან მიმართებით შეუძლია;
  - ბავშვი მასალას სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით იმას-სოვრებს;
  - ამავე პერიოდში ვითარდება ბავშვის მეტაშემეცნება, ანუ საკუთარ უნარებზე, ცოდნაზე, მეხსიერებაზე, მიზნის მიღწევასა და საზოგადოდ, ქცევაზე კონტროლი;
  - ამ ასაკში იწყება ნებისყოფის (ნებელობის) განვითარება;
  - ამ ასაკისათვის უმნიშვნელოვანესია ბალანსის პოვნა თანატოლებთან ურთიერთობისას თანამშრომლობასა და კონკურენციას შორის, ხოლო უფროსებთან ურთიერთობისას მორჩილებასა და დამოუკიდებლობას შორის;

- ამ ასაკში ხდება ბავშვის თვითშეფასებისა და „მე“-ს ხატის შემდგომი ჩამოყალიბება, სოციალური გარემოს ზემოქმედებით;
- ბავშვი აგრძელებს ქცევის ნორმების ათვისებას, თანატოლების, მშობლების და სხვა უფროსების „როლური მოდელების“ მაგალითზე;
- ამ ასაკისათვის საკმაოდ ღირებულია მორალური ნორმები, მაგრამ აგრეთვე, მაღალია სიცრუის დონე.

14. კარგი იქნება, თუ შეძლებთ ტოლერანტობასთან დაკავშირებული ღირებულებების **სხვადასხვა საგნებში ინტეგრირებას**. ამისთვის პროგრამის ფარგლებში შესასწავლი თემები უნდა გააცნოთ დაწყებითი კლასების სხვადასხვა საგნის პედაგოგს და ერთად დაგეგმოთ, თუ როგორ გამოიყენებენ მოცემულ მასალას ცალკეულ დისციპლინაში. უნდა გახსოვდეთ, რომ ტოლერანტი პიროვნების აღზრდა სამოქალაქო განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. სამოქალაქო განათლება ინტერდისციპლინური საგანია, ანუ შესაძლებელია მისი ინტეგრაცია სხვა საგნებთან: ბუნებასთან, ისტორიასთან, ლიტერატურასთან და სხვ. მაგ., ბუნებასთან შესაძლებელია ეკოლოგიისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ინტეგრირება. ლიტერატურის გაკვეთილებზე შესაძლებელია ტოლერანტი ადამიანის დამახასიათებელი თვისებების გამოკვეთა შესასწავლ პერსონაჟთან მიმართებით. მაგ., მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, ვინ არის ნაწარმოების გმირი (გმირები)? როგორ არის ნაწარმოებში მოცემული კონფლიქტების არსი, როგორია ეს კონფლიქტები – მატერიალური, ინტელექტუალური, მორალური, თუ ემოციური. ადვილად იმიჯნება თუ არა თხზულებაში ერთმანეთისგან სიკეთე და ბოროტება და სხვ. ისტორიულ ქრილში შევასწავლოთ მოსწავლეებს ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები, მათი ტოლერანტული საქციელი, რა გავლენას ახდენენ ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

**ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროგრამის  
სასწავლო მიზნები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ მოსწავლე:

- მსჯელობს ადამიანების მრავალფეროვნების, მათი განმასხვავებელი და საერთო ნიშან-თვისებების შესახებ;
- ავლენს დამოუკიდებლად გადანყვეტილების მიღების უნარს;
- ავლენს თანამშრომლობის უნარს, იყენებს გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს;
- ამოიცნობს კონფლიქტის ძირითად მიზეზებს;
- განასხვავებს ცრუ წარმოდგენებს არგუმენტებისაგან;
- მსჯელობს განსხვავებული ადამიანების თანასწორობის საფუძვლების შესახებ;
- აკავშირებს ადამიანების მრავალფეროვნებას მათ უფლებებსა და თანასწორობის საფუძვლებთან;
- გამოყოფს განსხვავებული ადამიანების საერთო ნიშან-თვისებებსა და ინტერესებს;
- ავლენს საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების პატივისცემას;
- ავლენს მზრუნველობას ბუნებრივი გარემოს მიმართ;
- პრობლემის გადასაჭრელად იყენებს კრიტიკული აზროვნებისთვის დამახასიათებელ მიდგომებს.

**ტოლერანტობის საგანმანათლებლო  
პროგრამის შინაარსი:**

1. ტოლერანტობა
2. ეფექტური კომუნიკაცია
3. მონაწილეობა
4. თანამშრომლობა
5. გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება
6. შეთანხმება ანუ პრობლემის ერთობლივად მოგვარება
7. მოლაპარაკება
8. შუამავლობა (მედიაცია)
9. შერიგება
10. ბავშვის უფლებები
11. თაობათა შორის ურთიერთობა
12. გოგონები და ბიჭები (გენდერი)
13. ცრუ შეხედულებები, სტერეოტიპები და სტიგმა
14. ბარემოს დაცვა
15. მოქალაქეობრივი შეგნება
16. ჯანსაღი ცხოვრების წესი
17. განსხვავებულ კულტურებთან ურთიერთობა
18. თანანდობლობა

**მოთხრობები:** „მეტოქეები“ და „ღრუბელი.“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

ტოლერანტობა არის ნება/განწყობა იყო სამართლიანი, მომთმენი სხვა ადამიანების მრწამსის, ინტერესების, ღირებულებებისა და მოსაზრებების მიმართ და მიიღო შენგან განსხვავებული ადამიანი, პატივი სცე მის ინდივიდუალობას.

ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ტოლერანტობის, თანამშრომლობისა და ურთიერთთანაგრძნობის განვითარებას. ამ კონცეფციების ილუსტრაციით, კრიტიკული აზროვნების და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარის განვითარებით პროგრამა ცდილობს, ხელი შეუწყოს იმ ღირებულებების განვითარებას, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია მშვიდობისა და სტაბილურობისათვის.

იმისათვის, რომ შევძლოთ ტოლერანტი პიროვნების აღზრდა, უნდა გავაცნობიეროთ რას გულისხმობს ტოლერანტობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტოლერანტობის სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს. ზოგის აზრით, ტოლერანტობა ის ნავია, სადაც სხვადასხვა მრწამსის ადამიანები თავისუფლად თავსდებიან, სხვებისთვის – ეს კომპრომისის (დათმობის გზით მიღწეული შეთანხმების) ხელოვნებაა, ზოგს კი მიაჩნია, რომ მისგან განსხვავებული ადამიანი, სულაც არ არის მისი მტერი.

ტოლერანტობა არ უნდა გავაიგივოთ ინდიფერენტულობასთან, კონფორმიზმთან ან საკუთარი ინტერესების დათმობასთან. უპირველესად, ეს არის აქტიური პოზიცია, რომელიც მოიაზრებს ურთიერთობას ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის. ტოლერანტობა პიროვნების ცხოვრებისეული პოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც სულაც არ გულისხმობს მხოლოდ სხვისი პოზიციის გაზიარებას, შესაძლებელია, საკუთარ პოზიციაზე დარჩე, ოღონდ არ უნდა შელახო სხვისი ღირსება და მიიღო სხვა ადამიანი ისეთად, როგორც ის არის და თანხმობის საფუძველზე ააგო მასთან ურთიერთობა. ამდენად, **ტოლერანტობა გამორიცხავს ძალადობისა და აგრესიის ყველანაირ გამოვლინებას.**

ტოლერანტობის ცნების არსის უკეთ გასაგებად გავეცნოთ, თუ როგორ არის ახსნილი ეს ტერმინი სხვადასხვა კულტურაში:

- ინგლისურ ენაში, ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ტოლერანტობა არის მზაობა და უნარი, უპროტესტოდ მიიღო ადამიანი და მოვლენა;
- ფრანგულ ენაში ტოლერანტობა სხვა ადამიანის პატივისცემას გულისხმობს;
- ჩინურში ტოლერანტობა სხვებისთვის უფლებების მინიჭებას ნიშნავს;
- არაბულში ტოლერანტობა არის პატიება, თანაგრძნობა, მოთმინება და კეთილგანწყობა სხვათა მიმართ;
- სპარსულად ტოლერანტობა მოთმინებასა და შერიგებას ნიშნავს.

ბოლო ათწლეულში, იუნესკოს ძალისხმევით, ტოლერანტობის ცნებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

UNESCO-ს ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაცია, რომელიც 1995 წელს 185 წევრმა სახელმწიფომ მიიღო, შემდეგნაირად განსაზღვრავს ტოლერანტობის როლსა და მნიშვნელობას:

**ტოლერანტობა არის მსოფლიოს მრავალფეროვანი კულტურების, ამ კულტურებში არსებული სხვადასხვა ღირებულებების გამოხატვის ფორმების, განსხვავებული ადამიანების პატივისცემისა და ცნობის აღიარება. ტოლერანტი ადამიანის აღზრდას ხელს უწყობს განათლება, კომუნიკაცია, აზრის თავისუფლება, შეგნება და რწმენა. ტოლერანტობა არის განსხვავებათა ჰარმონია. იგი არ არის მხოლოდ მორალური მოვალეობა, იგი პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაცაა. ტოლერანტობა არის მაღალი ზნეობრივი მოვალეობა, რომელიც ღირსებას უტოლდება. იგი ხელს უწყობს მშვიდობას და შესაძლებელს ხდის ომის კულტურის მშვიდობის კულტურით ჩანაცვლებას.**

ტოლერანტობა ღირებულებათა ერთობლიობაა, რომელიც ადამიანის უნივერსალური უფლებებისა და ძირეული თავისუფლებების აღიარების საფუძველზე ყალიბდება. იგი ხელს უწყობს პლურალიზმის, დემოკრატიისა და კანონიერების დამკვიდრებას.

**ტოლერანტობის გამოხატვა ეხმარება ადამიანის უფლებების პატივისცემას, მაგრამ არ ნიშნავს იმას, რომ შემწყნარებელი ვიყოთ სოციალური უსამართლობის მიმართ, უარი ვთქვათ საკუთარ მრწამსზე ან დავთმოთ საკუთარი შეხედულებები სხვის სასარგებლოდ. ყველა ადამიანს აქვს საკუთარი შეხედულებები და იგი ასევე უნდა აღიარებდეს სხვისი შეხედულებების არსებობის უფლებას.**

ხშირად გვსმენია, რომ ერთი ადამიანის უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორის უფლებები. ზომიერების დასაცავად უნდა ვაკონტროლოთ ჩვენი ქცევა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენი

უფლებები და მოვალეობები. განსაკუთრებით აუცილებელია იმის შეგნება, რომ ჩვენი უფლებების დაცვისას არ შეიძლება სხვისი უფლებების შელახვა ან იგნორირება.

ტოლერანტი პიროვნების აღსაზრდელად, აუცილებელია თავად გავიაზროთ და მოსწავლეებსაც გავაცნობიერებინოთ ტოლერანტობის საპირისპირო ცნების, არატოლერანტობის არსი.

არატოლერანტობა, ისევე როგორც ტოლერანტობა, შეძენილი თვისება და ორიენტაციაა, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს პიროვნების აზრებზე, რომელიც შემდეგ აისახება ქცევაში. არატოლერანტულ ქცევას, მნიშვნელოვანწილად, ხელს უწყობს სტერეოტიპები. სტერეოტიპი არის ადამიანების უცვლელი, მყარი წარმოდგენა ერთმანეთის მიმართ. უარყოფითი სტერეოტიპი ხშირად ხდება კონფლიქტის ესკალაციის საფუძველი.

კრიტიკული აზროვნების საშუალებით შესაძლებელია ხელი შევუწყოთ მოსწავლეებში ახალი ჩვევების განვითარებას.

განათლება ტოლერანტობის შესახებ მიზნად ისახავს წინააღმდეგობა გაუწიოს ისეთ ქმედებებს, რომელიც იწვევს შიშს გარკვეული (განსხვავებული) ადამიანების მიმართ და მათ გარიყვას, აგრეთვე შეუძლია დაეხმაროს ახალგაზრდებს, გამოიმუშაონ დამოუკიდებელი მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და ეთიკური დასაბუთების უნარი.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები მიიღებენ ცოდნას ტოლერანტობის, მისი მნიშვნელობისა და როლის შესახებ საკუთარ და სხვათა ცხოვრებაში;
- მოსწავლეები გამოიმუშავენ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს, რაც მათში ტოლერანტობის შესაძლებლობებს გააძლიერებს;
- მოსწავლეები მეტად დააფასებენ კულტურულ მრავალფეროვნებას;
- მოსწავლეები შეძლებენ ტოლერანტობის შესახებ დიალოგის წარმართვას. ასევე არატოლერანტული საქციელის, მიკერძოებულობისა და ცრუ შეხედულებების ამოცნობას;
- მოსწავლეებს გაუადვილდებათ და კონფლიქტის გარეშე შეძლებენ განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობას;
- მოსწავლეები შეიძენენ უნარს ამოიცნონ და წინააღმდეგობა გაუწიონ სუბიექტივიზმს, სტერეოტიპებს და ცრუ შეხედულებებს;
- მოსწავლეები შეძლებენ მორალური და ემოციური მხარდაჭერა გაუწიონ არატოლერანტობის მსხვერპლთ.

## I გაკვეთილი

მოთხრობა: „მეტოქეები.“



### გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები მიიღებენ ცოდნას ტოლერანტობის, მისი მნიშვნელობისა და როლის შესახებ საკუთარ და სხვათა ცხოვრებაში;
- მოსწავლეები შეიძენენ უნარს, ამოიცნონ არატოლერანტული საქციელი, მიკერძოებულობა და ცრუ შეხედულებები;
- მოსწავლეები მეტად დააფასებენ მათგან განსხვავებულ ადამიანებს;
- მოსწავლეები შეძლებენ მორალური და ემოციური მხარდაჭერა გაუწიონ არატოლერანტობის მსხვერპლთ;
- მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გარეგნულად და აზროვნებით. საჭიროა ინდივიდის მიღება ისეთად, როგორც ის არის;



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები** - კალმისტრები, ფანქრები, რვეულები, დაფა, ცარცი.



### აქტივობები:

- აქტივობა № 1 ასისტენტის/დამხმარის არჩევა;
- აქტივობა № 2 სავარჯიშო – „მიხარია, მწყინს“;
- აქტივობა № 3 სავარჯიშო – „რით ვგავართ ერთმანეთს?“
- აქტივობა № 4 მოთხრობა „მეტოქეების“ კითხვა პაუზებით;
- აქტივობა № 5 ცოდნის შეფასების სავარჯიშოები.

## გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა №1 – დამხმარის არჩევა (5 წთ.).

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე აირჩევს დამხმარეს/ასისტენტს (შესაძლებელია სხვადასხვა აქტივობისთვის სხვადასხვა დამხმარე შეირჩეს). მასწავლებელი აცნობს კლასს დამხმარის მოვალეობებს გაკვეთილის საჭიროების მიხედვით: ჩანაწერების გაკეთება, მასალის დარიგება და სხვ.

ამის შემდეგ მსურველები კენჭს იყრიან. მოსწავლეებს უნდა განემარტოთ



კენჭისყრის მნიშვნელობა. კენჭისყრა არჩევის დემოკრატიული პროცესია.

ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია მასწავლებელმა თვითონ დაასახელოს თავისი დამხმარე. მასწავლებელი უნდა ეცადოს სასწავლო წლის განმავლობაში ყველა მოსწავლე გახდეს დამხმარე.

**აქტივობა № 2 - სავარჯიშო „მიხარია, მწყინს“ (10 წთ.).**

**მიზანი:** ვაჩვენოთ მოსწავლეებს, რა გავლენას ახდენს სხვა ადამიანის საქციელი მათზე; როგორ მოქმედებენ და რა გრძნობებს იწვევენ პოზიტიური და ნეგატიური ქმედებები.

**ჩატარების პროცედურა:**

მასწავლებელი კლასს სთავაზობს პოზიტიური გრძნობების გამომწვევ სიტუაციას, მაგალითად, მოსწავლეებმა საკუთარი ინიციატივით დაასუფთავეს სკოლის ეზო, რის გამოც მათ მასწავლებლებისა და მშობლებისაგან მადლობა დაიმსახურეს.

შემდეგ მასწავლებელი იხსენებს საპირისპირო შემთხვევას, როდესაც მოსწავლემ დამცირებულად, უხერხულად, გარიყულად იგრძნო თავი: ნიკამ ლიზას წერილი გაუგზავნა, გაკვეთილების შემდეგ კინოთეატრში ეპატიჟებოდა. წერილი ბექამ ჩაიგდო ხელში და მთელი კლასის წინაშე ხმამაღლა წაიკითხა. ნიკას კლასელებმა დასცინეს. თვალცრემლიანი ნიკა საკლასო ოთახიდან აცრემლებული გავარდა...

მასწავლებელი დაფას ყოფს ორ ნაწილად. მარცხენა მხარეს მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით ჩამოწერს სიხარულით გამოწვეული გრძნობების გამომხატველ სიტყვებს: სიამაყე, ბედნიერება და სხვ. მარჯვნივ, გულისტკენით გამოწვეულს: გაბრაზება, შეურაცხყოფა, დამცირება და სხვ.

მასწავლებელი ათვალთქვამს მოსწავლეთა წყვილების მიერ შექმნილ ნახატებს.

ამის შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას. (დისკუსიის წარმართვის ხერხები მოცემულია მასწავლებლის წიგნის შესავალ ნაწილში).

**სადისკუსიო კითხვები:**

- როგორ გავლენას ახდენს სხვების საქციელი პიროვნებაზე?
- განასხვავეთ ერთმანეთისგან ტოლერანტული და არატოლერანტული ქცევა.

შემდეგ მასწავლებელი საუბრობს არატოლერანტული საქციელის შესახებ, მაგ., როგორც არის დაცინვა, ან ადამიანისთვის არასასურველი ზედმეტი სახელის შერქმევა. მასწავლებელი საუბრობს ასეთი საქციელის უარყოფით გავლენაზე.

**ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

რასიზმი არის წინასწარ შექმნილი უარყოფითი აზრი ადამიანთა ჯგუფების

მიმართ ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით (კანის ფერი, სახის ნაკვთები, თმა, მეტყველების, მანერების თავისებურება და სხვა ეთნიკური მახასიათებლები), რომლებიც მკაფიოდაა გამოხატული და არ ასახავს ადამიანთა შესაძლებლობებსა და მათ მნიშვნელობას საზოგადოებისათვის.

რასისტული იდეოლოგია უარყოფს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების თანასწორობას გარეგნული განსხვავების გამო. ასეთი არგუმენტები ხშირად გამოიყენება ერთი რომელიმე ჯგუფის პრივილეგირებული მდგომარეობის გასამართლებლად. (მაგ., ფაშიზმი, ჰიტლერი ამბობდა: „მე მაქვს უფლება გავანადგურო მილიონობით ის ადამიანი, რომელიც ჭიანჭველასავით მრავლდება და არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს კაცობრიობისათვის“).

### **აქტივობა №3 – სავარჯიშო „რით ვგავართ ერთმანეთს?“ (10 წთ).**

**მიზანი:** კლასში შეიქმნას სასიამოვნო და ნდობით აღჭურვილი გარემო.

**ჩატარების პროცედურა:** კლასი ზის წრიულად, ან მერხებთან. თავად მასწავლებელი ან რომელიმე მოსწავლე (წამყვანი) გამოდის წრის ცენტრში და ასახელებს იმ თანაკლასელს, რომელთანაც რაიმე რეალურად ან წარმოსახვით არსებული მსგავსება გააჩნია. მაგალითად, ნინოს, რომელსაც წამყვანის მსგავსი ფერის თმა აქვს ან იმიტომ, რომ ისიც დედამიწის ბინადარია. ნინო წამყვანის გვერდით დგება და ასახელებს სხვა მეგობარს რაიმე მასთან არსებული მსგავსების მიხედვით. თამაში გრძელდება იქამდე, ვიდრე მთელი კლასი არ დადგება წრიულად.

ბოლოს მასწავლებელი აჯამებს სავარჯიშოს (უკუკავშირის წარმართვის ხერხები მოცემულია შესავალ ნაწილში) და სთხოვს მოსწავლეს, დაასახელოს ერთი რამ, რაც მას განასხვავებს მარჯვნივ მდგომისაგან.

### **აქტივობა №4 – მოთხრობა „მეტოქეების“ კითხვა პაუზებით (25 წთ).**

მასწავლებელი უკავშირებს მოთხრობის სათაურსა და ჩატარებულ აქტივობებს;

ასხენებს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზნებს;

აცნობს მოსწავლეებს პაუზებით კითხვის ინსტრუქციას. (იხ. შესავალი ნაწილი);

მასწავლებელი იწყებს მოთხრობის კითხვას. ყოველი პაუზის დროს მოსწავლეებს უსვამს კითხვებს. პასუხის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს კითხვას შემდეგ პაუზამდე.

#### **I პაუზამდე დასასმელი შეკითხვები:**

- ვის მიიჩნევს პაკო განსხვავებულ და განუმეორებელ მეგობრებად?
- როგორ ფიქრობთ, რა „მაგარი იდეა“ დაებადა პაკოს?

**I პაუზის შემდეგ დასასმელი შეკითხვები:**

- გამართლდა თქვენი ვარაუდი პაკოს „მაგარ იდეაზე“?
- რა თამაში მოიფიქრა პაკომ?
- რა ინფორმაცია ენერა საიდუმლო წერილში?
- როგორ ფიქრობთ, შეიძლება საიდუმლო წერილის ნაკითხვა?
- როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მოჰყვეს სხვისი წერილის დაუკითხავად ნაკითხვას?
- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-16 მუხლს: „ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს მის პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევის, საცხოვრებლისა და კორესპონდენციის ხელყოფის, ღირსებისა და რეპუტაციის შელახვისგან“. (მასწავლებელმა ასევე უნდა განუმარტოს მოსწავლეებს სიტყვები: კორესპონდენცია, ღირსება, რეპუტაცია).
- თქვენი აზრით, რა დავალებას მისცემენ თუთას?

მასწავლებელი კითხულობს II ეპიზოდს.

**II პაუზის შემდეგ დასასმელი შეკითხვები:**

- გამართლდა თქვენი ვარაუდი?
- რა დავალება შეხვდა თუთას და როგორ ცდილობს მოიქცეს გამოქვაბულში?
- ვის საცხოვრებელში შევიდა თუთა?
- რა გამოიწვია დაუკითხავად სხვის სახლში შესვლამ?
- (მასწავლებელი ისევ ახსენებს მოსწავლეებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-16 მუხლს და უკავშირებს ამ ეპიზოდს)
- რატომ არ ათამაშებენ ბავშვები კოკის?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არ არის მართებული ცუგრია კოკის გარიყვა განსხვავებულობის გამო?
- რა გრძნობა დაეუფლა კოკის?
- როგორ ფიქრობთ, მიიღებენ ფრთოსან მაცაცოს ინდიელ მეომართა ტომში? (დაასაბუთეთ).

მასწავლებელი კითხულობს III ეპიზოდს.

**III პაუზის შემდეგ დასასმელი შეკითხვები:**

- გამართლდა თქვენი ვარაუდი?
- როგორ აფასებს მაცაცო საკუთარ თავს?
- რატომ არ მიიღეს მაცაცო ინდიელთა ტომში?
- როგორ გრძნობენ თავს მაცაცო და კოკი?

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ I მუხლს: „ყველა ადამიანი თავისი ღირსებითა და უფლებებით თავისუფალი და თანასწორი იბადება. მათ მომადლებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთს ძმობის სულისკვეთებით უნდა ეპყრობოდნენ.“

- მასწავლებელი აკავშირებს აღნიშნულ ეპიზოდსა და I მუხლს. ასევე, ავლებს პარალელებს №1 და №2 აქტივობების შედეგებთან.
- მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-8 მუხლს: „სახელმწიფო მოვალეა, პატივი სცეს და დაიცვას ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს მისი ინდივიდუალობა“.
- როგორ შეაფასებთ ბავშვების საქციელს?
- დაჩაგრული მაცაცო და კოკი გაერთიანდნენ. როგორ განვითარდება მოვლენები შემდეგ ეპიზოდში?

მასწავლებელი კითხულობს IV ეპიზოდს.

### IV პაუზის შემდეგ დასასმელი შეკითხვები:

- გამართლდა თქვენი ვარაუდი?
- თუ გაგისინჯავთ ცხელი შოკოლადი? ხომ არ იცით, როგორ მზადდება?
- რა არის რეცეპტი, ინსტრუქცია, წესი? მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ რომელიმე კერძის რეცეპტი მაგ., ერბოკვერცხის, შემწვარი კარტოფილის ან რომელიმე ხელსაწყოს ინსტრუქცია, თამაშის წესი.
- რისთვის არის საჭირო ინსტრუქცია, რეცეპტი, წესი?
- დაახასიათეთ ბაო ამ ეპიზოდის მიხედვით.
- რა განსაკუთრებული უნარი აქვს ბაოს?
- როგორ გგონიათ მაცაცო და კოკი ათამაშებენ თუთას?

მასწავლებელი კითხულობს V ეპიზოდს.

### V პაუზის შემდეგ დასასმელი შეკითხვები:

- გამართლდა თქვენი ვარაუდი? ათამაშეს თუთა?
- ვინ გადაწყვიტა ეზოს ბინადართა პრობლემა? როგორ?
- დაახასიათეთ ბაო ამ ეპიზოდის მიხედვით.
- რით შეიძლება ადამიანები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან?
- შექმნილი სიტუაციის გააზრების შემდეგ რა დასკვნა გამოიტანეს ეზოს ბინადრებმა?

**აქტივობა №5 – ცოდნის შეფასების სავარჯიშოები (10 წთ.)**

**სადისკუსიო კითხვები:**

- რა პრობლემები გაუჩნდათ ეზოს ბინადრებს ურთიერთობისას?
- რა უნარები და თვისებები უნდა გააჩნდეთ პერსონაჟებს წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად?
- ჩამოთვალეთ პერსონაჟთა განსხვავებულობასთან დაკავშირებული განცდები;
- როგორ ესმის ბაოსა და ეზოს სხვა ბინადრებს ტოლერანტობა?

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს **T** დიაგრამას და სთხოვს მოსწავლეებს დაეხმარონ სქემის შევსებაში.

ეზოს ბინადართა ტოლერანტული საქციელი	ეზოს ბინადართა არატოლერანტული საქციელი

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

ჩამოწერონ, რა ახარებთ და რა სწყინთ.

**II გაკვეთილი**

**მოთხრობა: „ღრუბელი“**



**გაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ ერთსა და იმავე საგანზე ან საკითხზე შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული შეხედულებები;
- მოსწავლეები შეძლებენ განსხვავებული აზრის პატივისცემას, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთებას და ამ გზით კონფლიქტის თავიდან აცილებას.



**მცადინეობისთვის საჭირო რესურსები** - კალმისტრები, ფანქრები, რვეულები, დაფა, ცარცი.



**აქტივობები:**

- აქტივობა №1 საშინაო დავალების შემოწმება
- აქტივობა №2 სავარჯიშო: რას ხედავთ სურათზე?
- აქტივობა №3 მოთხრობა „ღრუბელი“. კითხვა მოზაიკის მეთოდით;
- აქტივობა №4 სავარჯიშო: ტოლერანტი პიროვნების თვისებები;
- აქტივობა №5 ცოდნის შეფასების სავარჯიშოები.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა №1** – მასწავლებელი მსურველებს აკითხებს წინა გაკვეთილზე მიცემულ დავალებას – რა მიხარია, რა მწყინს.

**აქტივობა №2 – სავარჯიშო: რას ხედავთ სურათზე? (5წთ).**

მასწავლებელი მოსწავლის წიგნში არსებულ სურათთან დაკავშირებით სთხოვს ბავშვებს გამოთქვან აზრი იმაზე, თუ რას ხედავენ.

ბუნებრივია, რომ პასუხები ორ ნაწილად გაიყოფა. ზოგი კურდღელს დაინახავს, ზოგიც იხვს. ეს კამათს გამოიწვევს, თუ რომელია მართალი. პედაგოგმა ეს კამათი უნდა გამოიყენოს იმის ასახსნელად, რომ რეალობის ერთმნიშვნელოვანი ახსნა და აღქმა შეუძლებელია. პედაგოგი უხსნის მოსწავლეებს, რომ ადამიანებმა შესაძლოა მოვლენები სხვადასხვაგვარად აღიქვან და ყოველი მათგანი მართალი აღმოჩნდეს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სხვისი აზრის, განსხვავებული თვალსაზრისის გათვალისწინებასა და პატივისცემას.

**აქტივობა №3 – მოთხრობა „ღრუბელი.“ კითხვა მოზაიკის მეთოდით (20 წთ).**

ტექსტზე მუშაობა.

მასწავლებელი კლასს ყოფს 4 ჯგუფად.

თითოეული ჯგუფის წევრებს ურიგებს როლებს: ტექსტის მკითხველი, დროის გამანაწილებელი, ჩანაწერების გამკეთებელი, პრეზენტატორი.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს მათ მოვალეობებს:

- მკითხველი – კითხულობს ტექსტს;
- ჩანაწერების გამკეთებელი – ინერს მნიშვნელოვან საკითხებს, მაგ., ამ შემთხვევაში ჩაინერს, რას ამსგავსებენ მოთხრობის პერსონაჟები ღრუბელს;
- დროის გამანაწილებელი – ანაწილებს დროს აქტივობებს შორის;

- პრეზენტატორი – ჯგუფში შესრულებულ სამუშაოს აცნობს კლასს.

შემდეგ მასწავლებელი ყველა მოთხრობა „ღრუბლის“ შინაარსს და სთხოვს მოსწავლეებს ჯგუფებში ნაიკითხონ ტექსტის განსაზღვრული ნაწილი, პირველმა ჯგუფმა – I-ლი ნაწილი, მეორემ – II ნაწილი და ა.შ. ასევე ემზადებიან პრეზენტაციისათვის. სამუშაოსთვის ეძლევათ 10 წთ.

მოთხრობის ნაიკითხვის შემდეგ პრეზენტატორები წარმოადგენენ პრეზენტაციებს.

თითოეული ჯგუფი კედელზე აკრავს ლიზიკოს გამონათქვამებს.

ბოლოს მასწავლებელი ახდენს უკუკავშირს.

**აქტივობა №4 – სავარჯიშო: ტოლერანტი პიროვნების თვისებები (10 წთ.).**

**მიზანი:** გავაცნოთ მოსწავლეებს ტოლერანტი პიროვნების თვისებები;

საშუალება მივცეთ მოსწავლეებს შეაფასონ თავიანთი ტოლერანტობისა და ასევე, მოთხრობის პერსონაჟების ტოლერანტობის დონე.

*სავარჯიშოს მსვლელობა აღწერილია მოსწავლის წიგნში.*

**აქტივობა №5 – ცოდნის შეფასების სავარჯიშოები (5 წთ.).**

მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას შეკითხვით – როგორ აიცილეს თავიდან ჩხუბი ეზოს ბინადრებმა?

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

იფიქრონ და დაწერონ, ვისთან და რა საკითხებზე ჰქონიათ განსხვავებული აზრი. იგულისხმება სწავლა, თავისუფალი დროის გამოყენება, ჩაცმულობა, თამაში, საკვები და სხვ. რა შემთხვევაში მოსვლიათ კონფლიქტი? როგორ გადაუჭრიათ იგი?

**მოთხრობები:** „კვალის მაძიებლები“ და „კოკის დაბადების დღე.“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

კომუნიკაცია (ურთიერთობა) ის პროცესია, რომლის საშუალებითაც ადამიანები ერთმანეთს გადასცემენ ინფორმაციას საკუთარი მოთხოვნილებების, მოსაზრებებისა და გრძნობების შესახებ.

ეფექტურია კომუნიკაცია (ურთიერთობა), რომელიც ხელს უწყობს გასაგები და ზუსტი ინფორმაციის გაცვლას.

ტოლერანტობის, კონფლიქტის მოგვარებისა და თანამშრომლობის საკითხებზე მუშაობისას დიდია ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა. თემის შესწავლა მიზნად ისახავს ეფექტური კომუნიკაციის ელემენტებისა და უნარ-ჩვევების შეთვისებას.

კომუნიკაციის ძირითად სახეობას წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლა პიროვნებათაშორის დონეზე. აქ 3 ელემენტი გამოიყოფა: გამგზავნი, შეტყობინება და მიმღები.

**გამგზავნი** არის პიროვნება, რომელიც საუბრობს, ან რომელსაც გააჩნია გასაგზავნი შეტყობინება; **შეტყობინება** წარმოადგენს ინფორმაციას. **მიმღები** არის მსმენელი ან დამკვირვებელი, შეტყობინების ადრესატი.

პიროვნებათაშორისი კომუნიკაცია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვათა გაცვლა ორ ადამიანს შორის, ანუ ის, რასაც ვამბობთ, როგორ ვამბობთ, რატომ ვამბობთ, როდის ვამბობთ და რის თქმის თავიდან არიდებას ვცდილობთ. ეს ასევე ჩვენი მიმიკა, ჟესტები და ხმის ტონია. ის, თუ როგორ იქნა შეტყობინება გაგზავნილი და როგორ იქნა იგი მიღებული, ზეგავლენას ახდენს გამგზავნისა და მიმღებს შორის ურთიერთობაზე.

**გამგზავნი**

კომუნიკაციის წარმატება დამოკიდებულია ორ ფაქტორზე, შინაარსსა და კონტექსტზე (ანუ, რას ვამბობთ და როგორ გამოვხატავთ სათქმელს).

**შინაარსი** არის სიტყვები ან სიმბოლოები, რომლებიც შეადგენს შეტყობინების ნაწილს, რასაც ენა ეწოდება. შინაარსი შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი. სიტყვის მნიშვნელობა ყველას თავისებურად გვესმის, აქედან გამომდინარე, ზოგჯერ მარტივი შეტყობინებაც შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული.



**კონტექსტი** არის შეტყობინების მიწოდების ხერხი, ტონის, გამგზავნის თვალის გამომეტყველების, ხელის მოძრაობის (ჟესტიკულაციის) და ემოციური მდგომარეობის ჩათვლით (სიბრაზე, შიში, თავდაჯერებულობა, ან პირიქით და ა.შ).

**მიმღები: აქტიური მოსმენა**

მიმღების მხრიდან კომუნიკაციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გვესმის და როგორ გვესმის ნათქვამი. მოსმენის დროს ჩვენ მხოლოდ სიტყვებს როდი ვისმენთ. ჩვენ ვუნყოფთ ხელს კომუნიკაციასა და გაზიარებას, აზრთა გაცვლას. მოსმენა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს.

მოსმენა და გაგონება ორი სხვადასხვა რამაა: გაგონება ნებაყოფლობითი აქტი არ არის, მოსმენა კი გაგონილის მიღებასა და აღქმას გულისხმობს. თემის შესწავლა ხელს უწყობს აქტიური მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებას.

აქტიური მოსმენა გულისხმობს (მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით):

- ხელი შეუწყო სხვებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი ისე, რომ თავად არ დომინირებდე საუბარში;
- აცნობიერებდე, რომ როგორც სხვისი, ისე შენი მოსაზრებები შეიძლება სუბიექტური იყოს;
- დაგეგმო პასუხი მას შემდეგ, როცა თანამოსაუბრე დაამთავრებს საუბარს (და არა მანამდე ან საუბრის დროს) და მას შემდეგ, როცა საუბრის ორივე მონაწილე კარგად გააცნობიერებს, თუ რა იყო ნათქვამი.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები დარწმუნდებიან ეფექტური კომუნიკაციის აუცილებლობაში;
- მოსწავლეები შეიმეცნებენ ეფექტური კომუნიკაციის ელემენტებს, აქტიური მოსმენის, შინაარსისა და კონტექსტის ცოდნის ჩათვლით;
- მოსწავლეები იძენენ უნარს გამოავლინონ ნაკლოვანებები ეფექტურ კომუნიკაციაში და კრიტიკულად გააანალიზონ და დაძლიონ ისინი;
- მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ ეფექტური კომუნიკაციის როლს პრობლემის გადაჭრისა და გადანყვეტილების მიღების პროცესში.

## I გაკვეთილი

**მოთხრობა:** „კვალის მაძიებლები.“



### გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რა პრობლემები (გაუგებრობები) შეიძლება წარმოიშვას ურთიერთობის დროს და რა არის ამის მიზეზი;
- მოსწავლეებმა უნდა გამოავლინონ ეფექტური კომუნიკაციის (ურთიერთგაგების) წესები.



**მცადინეობისთვის საჭირო რესურსები** – შესავსები ფორმები, საწერი კალმები, დიდი ფორმატის ქაღალდი, მარკერი, მოთხრობა „კვალის მაძიებლები.“



### აქტივობები:

- აქტივობა №1 ცნების შემოტანა;
- აქტივობა №2 მოთხრობის ტექსტის კითხვა გარკვეულ ეპიზოდამდე;
- აქტივობა №3 კითხვებზე პასუხის გაცემა, ეფექტური კომუნიკაციის წესების ჩამოყალიბება;
- აქტივობა №4 მოთხრობის ტექსტის ბოლომდე წაკითხვა;
- აქტივობა №5 მსჯელობა წაკითხულის შესახებ.

## გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – ცნების შემოტანა (10 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, წაიკითხონ (შესაძლებელია მასწავლებელმა წაიკითხოს ის ხმამაღლა) სახელმძღვანელოში წარმოდგენილი დიალოგი – ორი მოხუცი ქალი ესაუბრება ერთმანეთს:

ა: – იცი, ჩემმა შვილიშვილმა სკოლა დაამთავრა და სწავლის გაგრძელებას ინსტიტუტში აპირებს.

ბ: – მე კი ბოლო დროს ღვიძლი მტკივა და რაღაც სისუსტესაც ვგრძნობ.

ა: – მე კი ვურჩევ, რომ საბუთები უნივერსიტეტში შეიტანოს. რაც უნდა იყოს, უნივერსიტეტი მაინც უნივერსიტეტია.

ბ: – ჰო, უნივერსიტეტი კარგია. ალბათ საავადმყოფოში მომიწევს დანოლა.

დიალოგის ნაკითხვის შემდეგ მსჯელობის სტიმულირებისათვის მასწავლებელმა უნდა დასვას შემდეგი კითხვები:

- რას იტყვით ამ დიალოგის შესახებ? უსმენენ თუ არა, თქვენი აზრით, მისი მონაწილეები ერთმანეთს?
- შეიძლება თუ არა ვუნოდოთ ამ სიტუაციას ეფექტური კომუნიკაცია? (ანუ აქვს თუ არა ამ სიტუაციაში ადგილი ურთიერთგაგებას?) პასუხი დაასაბუთეთ.
- რა არის საჭირო, თქვენი აზრით, ეფექტური კომუნიკაციის ანუ ურთიერთგაგებისათვის?

ამ დიალოგზე დაყრდნობით მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა ჩამოაყალიბოს ეფექტური კომუნიკაციის, სულ მცირე, სამი წესი:

- უნდა მოუსმინოთ თანამოსაუბრეს;
- ყურადღების ცენტრში თანამოსაუბრე უნდა გყავდეთ და არა საკუთარი ემოცია;
- არ უნდა შეცვალოთ საუბრის თემა.

ეს წესები კედელზე გაკრულ ფორმატზე უნდა ჩამოინეროს.

**აქტივობა №2 – მოთხრობის ტექსტის კითხვა იმ ეპიზოდამდე, როცა ბავშვებზე განაწყენებული პაკო მათთან თამაშს არ მოისურვებს (8 წთ.).**

მოსწავლეები კითხულობენ მოთხრობის ტექსტის პირველ ნაწილს ჯგუფებში (ან მასწავლებელი თავად იღებს გადაწყვეტილებას, რა ფორმით გააცნოს მოსწავლეებს ტექსტი). მასწავლებელი აფრთხილებს მათ, რომ ტექსტის პირველი ნაწილის ნაკითხვის შემდეგ მათ მოუწევთ მსჯელობა და მცირე გამოკვლევის ჩატარება ნაკითხულთან დაკავშირებით.

**აქტივობა №3 – კვლევის ჩატარება (12 წთ.).**

**მიზანი:** ეფექტური კომუნიკაციის წესების გამოვლენა

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს და პასუხებს წერს დაფაზე:

1. რა გააკეთეს კონფლიქტის წარმოსაქმნელად პაკომ, მაცაცომ, სხვა პერსონაჟებმა?
2. რამ შეუშალა ხელი ეფექტურ კომუნიკაციას?
3. ვინ დაზარალდა ამ სიტუაციაში?
4. მიუთითეთ ეპიზოდები, სადაც ადგილი ჰქონდა გაუგებრობას;
5. რა იყო კონფლიქტის მიზეზი?
6. თქვენი აზრით, რა არის გამოსავალი?

მოთხრობის ტექსტზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ ეფექტური კომუნიკაციის წესები:

წესი №1 .....

წესი №2 ..... და ა.შ.

შედეგად ივსება ეფექტური კომუნიკაციის წესების ფორმატი, რომელზეც უკვე სამი წესია დაფიქსირებული. ამ სამ წესს ემატება, მინიმუმ, კიდევ სამი:

1. აღელვებულ ადამიანს უჭირს ნათქვამიდან სწორი დასკვნის გამოტანა;
2. არ გააკეთოთ ნაჩქარევი დასკვნა, ვიდრე არ გექნებათ სრული ინფორმაცია;
3. დაიჯერეთ მხოლოდ ის, რასაც ხედავთ და არა ის, რასაც ამბობენ.

**აქტივობა №4 – მოთხრობის ტექსტის წაკითხვა ბოლომდე (8 წთ.).**

**აქტივობა №5 – მსჯელობა წაკითხულის შესახებ (7 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სვამს მსჯელობის მასტიმულირებელ კითხვებს:

1. როგორ გადაჭრეს ბავშვებმა კონფლიქტი? სწორად იმოქმედეს თუ არა მათ? რა მოხდებოდა, ბავშვები სხვანაირად რომ მოქცეულიყვნენ?
2. დაემთხვა თუ არა კონფლიქტის გადაჭრის თქვენ მიერ შემოთავაზებული გზა მოთხრობაში წარმოდგენილს?

## II ბაკვეთილი

**მოთხრობა: „კოკის დაბადების დღე.“**



### **ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ურთიერთობის დროს და რა არის ამის მიზეზი;
- მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ აქტიური მოსმენის როლი ეფექტურ კომუნიკაციაში (ურთიერთობაში);
- მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ არავერბალური ელემენტების როლი ეფექტურ კომუნიკაციაში.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები**

– მოთხრობის ტექსტი.



**აქტივობები:**

- **აქტივობა №1** - მოთხრობის ტექსტის გაცნობა;
- **აქტივობა №2** - კითხვებზე პასუხის გაცემა, მსჯელობა ნაკითხულის შესახებ;
- **აქტივობა №3** - კითხვებზე პასუხის გაცემა და ეფექტური კომუნიკაციის წესების ჩამოყალიბება;
- **აქტივობა №4** - თამაშები არაფერბალური საკომუნიკაციო ჩვევების გასაცნობიერებლად.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა №1 – მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს მოთხრობის ტექსტს (10წთ).**

(იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებელი მოსწავლეებს მოთხრობის ტექსტის გაცნობას სახლში დაავალებს, ეს დრო გადანაწილდება დანარჩენ 3 აქტივობაზე)

**აქტივობა №2 – კითხვებზე პასუხის გაცემა, მსჯელობა ნაკითხულის შესახებ (10 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სვამს მსჯელობის მასტიმულირებელ კითხვებს:

1. რამ გაუფუჭა კოკის გუნება?
2. რა იყო ამ გაუგებრობის მიზეზი? როგორ ფიქრობთ, რა თვისებები არ აღმოაჩნდათ კოკის თანამოსაუბრეებს, რის წყალობითაც ამ გაუგებრობის თავიდან აცილებას შეძლებდნენ?
3. როგორ გადაიჭრა კონფლიქტი (როგორ აღმოიფხვრა გაუგებრობა?)
4. რამდენად ეფექტური იყო ეს გზა?
5. რა წვლილი მიუძღვის თითოეულ პერსონაჟს მომხდარ გაუგებრობაში?

პერსონაჟები	არაეფექტური ურთიერთობის მიზეზი

**აქტივობა №3 - კითხვებზე პასუხის გაცემა და ეფექტური კომუნიკაციის წესების ჩამოყალიბება (10 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** ეფექტური კომუნიკაციის კიდევ რომელი წესების განსაზღვრა შეიძლება ამ ამბავზე დაყრდნობით? (სიტყვების გარდა, რა ყოფილა კიდევ საჭირო ეფექტური კომუნიკაციისათვის?)

პასუხი გაეცით შემდეგ კითხვებს და მათზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ ეფექტური კომუნიკაციის წესები:

1. საჭიროა თუ არა ეფექტური კომუნიკაციისათვის თანამოსაუბრის არა მხოლოდ სიტყვების, არამედ გრძნობების გაგება?
2. შეიძლება თუ არა თანამოსაუბრის განცდები ზოგჯერ უსიტყვოდ, მის გამომეტყველებაზე დაკვირვების შედეგად ამოვიცნოთ?
3. საჭიროა თუ არა თანამოსაუბრის განცდების ამოსაცნობად მისთვის თვალეში ყურება?

ეფექტური კომუნიკაციის დამატებითი წესები დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

1. შეეცადეთ გაიგოთ თანამოსაუბრის არა მარტო სიტყვები, არამედ მისი გრძნობებიც;
2. არ შეანყვეთინოთ საუბარი, თუ ამის აუცილებლობა არ არის;
3. საუბრის დროს უყურეთ თანამოსაუბრეს თვალეში.

მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეთა მსჯელობას და ეხმარება მათ სწორი დასკვნების გამოტანაში.

**აქტივობა №4 – თამაშები არავერბალური კომუნიკაციის ჩვევების გასაცნობიერებლად (15 წთ.).**

იმისათვის, რათა მოსწავლეებმა გააცნობიერონ არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობა და ეფექტიანობა, მასწავლებელმა შესაძლებელია შესთავაზოს ერთ-ერთი თამაში შემდეგი თამაშებიდან: „პანტომიმით მოქმედების გამოხატვა“ ან „პანტომიმური საჩუქარი“.

### **„პანტომიმით მოქმედების გამოხატვა“**

**მიზანი:** იმის ჩვენება, რომ ინფორმაციის გადაცემის არასწორად შერჩეული ხერხი შეიძლება გაუგებრობის მიზეზი გახდეს.

**ჩატარების პროცედურა:** მონაწილეები ირჩევენ წამყვანს. შემდეგ მის გარეშე მოილაპარაკებენ რას აჩვენებენ პანტომიმის საშუალებით. წამყვანმა უნდა გამოიცნოს, რის თქმა სურთ მისთვის.

– სად იყავით? (წამყვანი)

– სად ვიყავით, არ ვიტყვით, მაგრამ რას ვაკეთებდით, გაჩვენებთ (დანარჩენი მონაწილეები)

მონაწილეებმა პანტომიმის საშუალებით შეიძლება წარმოადგინონ:

ნადირობა, თევზაობა, სხვა მოქმედება ან თამაში.

თამაშის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- მოგეწონათ თამაში?
- რის ჩვენება იყო იოლი და რატომ?
- რის ჩვენება იყო რთული და რატომ?
- გქონიათ თუ არა ისეთი შემთხვევა ცხოვრებაში, რომ ვიღაცისთვის რაღაცის თქმა გასურდათ, მას კი არ ესმოდა? თუ გქონიათ, გვიამბეთ ამის შესახებ.

### „პანტომიმური საჩუქარი“

**მიზანი:** მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ინფორმაცია შესაძლებელია არასწორად იქნეს გაგებული მიმღების მიერ; ამის თავიდან ასაცილებლად გარკვევით უნდა ვაჩვენოთ რის გადაცემა გვსურს, მიმღებმა კი უნდა დაადასტუროს მიღებული ინფორმაცია.

**ჩატარების პროცედურა:** წრეში მეზობელს უნდა გადავცეთ პანტომიმური საჩუქარი. მეზობელმა ჯერ უნდა გამოიცნოს, რა აჩუქეს და შემდეგ თავადაც უნდა გადასცეს საჩუქარი მეორე მეზობელს.

თამაშის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- რა უფრო იოლი იყო – საკუთარი საჩუქრის ჩვენება, თუ იმის გამოცნობა, რა გაჩუქეს?
- რა შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის არასწორად გაგებამ?

**მოთხრობები:** „მაცაცოს სახლი“, „როგორ გახდა მაცაცო გუნდის წევრი“ და „ძილისგუდა მაცაცო.“

**სარეკომენდაციო სანბრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

მონაწილეობა ნიშნავს გქონდეს შესაძლებლობა, საკუთარი პრიორიტეტებისა და სურვილების კონსტრუქციული ფორმით გამოსახატავად. მონაწილეობის უნარის განვითარებისას ბავშვები ხდებიან თავიანთი საზოგადოების (თემის) უფრო აქტიური წევრები.

ხშირად ორ მხარეს შორის ურთიერთობაში არსებობს გარკვეული ასიმეტრია. მაგალითად, ერთ მხარეს შეიძლება გააჩნდეს მეტი ავტორიტეტი, ძალაუფლება, ცოდნა, კომუნიკაციისა და დარწმუნების უნარი, ვიდრე მეორეს. ამგვარმა ასიმეტრიამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის საჭიროების, სურვილის ან თვითგამოხატვის არაადეკვატური გაგება ან შესრულება.

მნიშვნელოვანია ბავშვებს გაუღვივოთ საერთო საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი და განუვითაროთ მათ ამ მონაწილეობისათვის საჭირო უნარები.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები გააცნობიერებენ და უკეთ გაითავისებენ საკუთარ როლს საერთო საქმეში მონაწილეობის, ურთიერთმხარდაჭერის, ერთმანეთის ყურადღებით მოსმენის დროს;
- მოსწავლეები მომზადებული იქნებიან იმ ქცევის შესაცვლელად, რომელიც აფერხებს მათ მონაწილეობას საერთო საქმეში;
- მოსწავლეები შეიძენენ თვითრწმენას, რაც გაზრდის და გააძლიერებს მათი მონაწილეობისა და კომუნიკაციის უნარს.

**I გაკვეთილი**

**მოთხრობები:** „მაცაცოს სახლი“, „როგორ გახდა მაცაცო გუნდის წევრი“, „ძილისგუდა მაცაცო“.



**გაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეულის მონაწილეობა გუნდურ საქმიანობაში;



- მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რამდენად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა გუნდურ საქმიანობაში.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები** – მოთხრობების ტექსტი; შესავსები ფურცლები.



**აქტივობები:**

- **აქტივობა №1** - ცნების შემოტანა: მუშაობა ზღაპარ „თაღამის“ ილუსტრაციაზე.
- **აქტივობა №2** - მოთხრობების წაკითხვა ჯგუფებში;
- **აქტივობა №3** - სამუშაო ფურცლების შევსება;
- **აქტივობა №4** - ნამუშევრების პრეზენტაცია.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა №1 – ცნების შემოტანა (10 წთ.).**

**მიზანი:** მონანილეობის ცნების შემოტანა; იმის ჩვენება, რომ ყველაზე პატარასაც კი შეუძლია წვლილის შეტანა საერთო საქმეში.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს აღწერონ, რას ხედავენ ილუსტრაციაზე და თუ შეუძლიათ გაიხსენონ ზღაპრის შინაარსი (მოსწავლის წიგნში მოცემულია ზღაპარ „თაღამის“ ილუსტრაცია). იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები ზღაპრის შინაარსს ვერ გაიხსენებენ, მასწავლებელმა მოკლედ უნდა უამბოს ამ ცნობილი ზღაპრის შინაარსი:

*ერთხელ პაპამ თაღამი დათესა. თაღამი უზარმაზარი გაიზარდა. დადგა მისი მიწიდან ამოღების დრო. მოქაჩა პაპამ და ძვრა ვერ უყო. საშველად ბებოს უხმო. პაპა თაღამს მოეჭიდა, ბებო - პაპას და ეწვეიან, ეწვეიან, მაგრამ ამაოდ. ბებომ შვილიშვილს დაუძახა. პაპა კვლავ თაღამს ჩაეჭიდა, ბებო - პაპას, გოგონა ბებოს და ექაჩებთან, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. გოგონამ ძაღლს დაუძახა: და მოეჭიდა პაპა თაღამს, ბებო - პაპას, გოგონა - ბებოს, ძაღლი - გოგონას. ექაჩებთან, ექაჩებთან, მაგრამ ადგილიდან ვერ ძრავენ. ძაღლმა კატას უხმო საშველად: და მოეჭიდა პაპა თაღამს, ბებო - პაპას, გოგონა - ბებოს, ძაღლი - გოგონას, კატა - ძაღლს და ექაჩებთან, მაგრამ ადგილიდან ვერ ძრავენ. კატამ საშველად თავს უხმო: და მოეჭიდა პაპა თაღამს, ბებო - პაპას, გოგონა - ბებოს, ძაღლი - გოგონას, კატა - ძაღლს, თავი - კატას. ექაჩებთან, ექაჩებთან და როგორც იქნა, თაღამი მიწიდან ამოგლიჯეს.*

მსჯელობის სტიმულირებისათვის მასწავლებელი სვამს კითხვებს:

1. ვინ არის ამ ზღაპრის მთავარი გმირი? შეძლებდა თუ არა იგი თალგამის ამოღებას ბებოსთვის რომ არ დაეძახა? იქნებ ბებოა ამ ზღაპრის მთავარი გმირი? სხვა ვერსიებიც ხომ არ გაქვთ?
2. რა როლს ასრულებს თავი ამ ზღაპარში? რა მოხდებოდა, მისთვის რომ არ დაეძახათ?
3. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ ზღაპრის მთავარი აზრი?

**აქტივობა №2 – ტექსტის კითხვა (13 წთ.).** (შესაძლოა, ტექსტი მოსწავლეებს სახლში წასაკითხად მიეცეს).

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 3 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს წასაკითხად ეძლევა სამი მოთხრობიდან („მაცაცოს სახლი“, „როგორ გახდა მაცაცო გუნდის წევრი“, „ძილისგუდა მაცაცო“) ერთ-ერთი:

**I ჯგუფი** – კითხულობს მოთხრობას „მაცაცოს სახლი“

**II ჯგუფი** – „როგორ გახდა მაცაცო გუნდის წევრი“

**III ჯგუფი** – „ძილისგუდა მაცაცო“

შეავსებენ სამუშაო ფურცლებს და გაიმართება მსჯელობა წაკითხული ტექსტის შესახებ.

**აქტივობა №3 – სამუშაო ფურცლების შევსება (12 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს შესავსებ ფურცლებს.

**I ჯგუფის** სამუშაო ფურცელი – „მაცაცოს სახლი“

რის გაკეთება მოისურვეს ეზოს ბინადრებმა?	რა რეაქცია ჰქონდა მაცაცოს?	რატომ არ გამოდგა მაცაცოს სახლი?	როგორ გადაჭრეს ბავშვებმა პრობლემა?

**II ჯგუფის** სამუშაო ფურცელი – „როგორ გახდა მაცაცო გუნდის წევრი“

პრობლემა	რატომ არ უნდოდათ ბავშვებს მაცაცოს გუნდში მიღება?	რა მოჰყვა ამას?

**III ჯგუფის სამუშაო ფურცელი – „ძილისგუდა მაცაცო“**

1. რატომ ვერ იპოვეს თავიდან ბავშვებმა მაცაცო?
2. რა როლი ითამაშა ამ ამბავში თუთამ?
3. რატომ არ მოუსმინეს მას ბავშვებმა?
4. რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ მოთხრობიდან?
5. რა პრობლემა წარმოიშვა მოთხრობაში?
6. რა დამოკიდებულება ჰქონდათ ბავშვებს თუთას მიმართ?
7. ვინ მოგეწონათ პერსონაჟებიდან ყველაზე მეტად? რატომ?
8. რას ეტყოდით მოთხრობის თითოეულ პერსონაჟს, მათთან გასაუბრება რომ შეგძლებოდათ?

**აქტივობა №4 – I ჯგუფის ნამუშევრების პრეზენტაცია (10 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მას შემდეგ, რაც გუნდის ერთ-ერთი წევრი თანაკლასელებს მოუყვება ზღაპრის მოკლე შინაარსს, I ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ნამუშევრებს. შემდეგ გაიმართება მსჯელობა.

მსჯელობის სტიმულირებისათვის მასწავლებელს შეუძლია დასვას შემდეგი კითხვები:

1. რა გაიგეთ მოთხრობიდან „მაცაცოს სახლი“?
2. როგორ უკავშირდება ეს მოთხრობა ჩვენი გაკვეთილის თემას – „მონანიღობას“?

**II გაკვეთილი**



**გაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეებმა უნდა გაიღრმავონ ცოდნა მონანიღობის შესახებ;
- გააცნობიერონ, რამდენად მნიშვნელოვანია ყველა მონანიღის აზრის გათვალისწინება გუნდურ საქმიანობაში;
- გააცნობიერონ, რამდენად მნიშვნელოვანია თანამშრომლობის უნარი გუნდურ საქმიანობაში.



**მაცადინეობისთვის საჭირო რესურსები** – სამუშაო ფურცლები, პლასტმასის ჭიქები (6-8 ცალი), თეთრი და ფერადი ქაღალდი, მუყაო, ცარიელი ყუთი 15X15 სმ., სკოტჩი (4 ცალი), მაკრატელი (4 ცალი), მარკერები.



**აქტივობები:**

- აქტივობა №1 - II ჯგუფის ნამუშევრების პრეზენტაცია;
- აქტივობა №2 - III ჯგუფის ნამუშევრების პრეზენტაცია;
- აქტივობა №3 - სავარჯიშო: „ერთობლივი კომპოზიცია“.

## გაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა №1 - II ჯგუფის პრეზენტაცია (10 წთ.).

**ჩატარების პროცედურა:** II ჯგუფის ერთ-ერთი წევრი თანაკლასელებს აცნობს ზღაპრის მოკლე შინაარსს, რის შემდეგაც ჯგუფის წევრები ახდენენ ნამუშევრის პრეზენტაციას. მასწავლებელი სვამს მსჯელობის მასტიმულირებელ კითხვებს:

1. რა გაიგეთ მონაწილეობის შესახებ, მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ?
2. არის თუ არა კავშირი მოთხრობაში გადმოცემულ ამბავსა და შემდეგ ანდაზას შორის: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“?

### აქტივობა №2 – III ჯგუფის პრეზენტაცია (10 წთ.)

**ჩატარების პროცედურა:** III ჯგუფის ერთი წევრი თანაკლასელებს აცნობს ზღაპრის მოკლე შინაარსს, რის შემდეგაც ჯგუფის წევრები ახდენენ ნამუშევრის პრეზენტაციას. პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი სვამს მსჯელობის მასტიმულირებელ კითხვებს:

1. რა გაიგეთ მონაწილეობის შესახებ ამ მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ?
2. როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცევიან მოთხრობის პერსონაჟები ამ ამბის შემდეგ?
3. რა აერთიანებს სამივე მოთხრობას? რა განსხვავებაა მათ შორის?

### აქტივობა №3 - სავარჯიშო: „ერთობლივი კომპოზიცია“ (25 წთ.).

**მიზანი:** აჩვენოს მოსწავლეებს, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეულის მონაწილეობა; აჩვენოს მოსწავლეებს გუნდურ მუშაობაში მონაწილეობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა.

**მასალა:** პლასტმასის ჭიქები (6-8 ცალი), თეთრი და ფერადი ქაღალდი, მუყაო, ცარიელი ყუთი 15X15 სმ., სკოტჩი (4 ცალი), მაკრატელი (4 ცალი), მარკერები.

**ჩატარების პროცედურა:** დავყოთ მოსწავლეები 4 ჯგუფად.

- I. ერთ ჯგუფს მივცეთ ცარიელი ყუთი და პლასტმასის ჭიქები, მეორეს – მაკრატლები და მარკერები, მესამეს – ნებო-ფანქარი ან სკოტჩი, მეოთხეს – თეთრი და ფერადი ქაღალდი.
- II. თითოეულ ჯგუფს მივცეთ თავისი დავალება: გააკეთონ მაკეტები

1) სახლის, 2) შადრევნის, 3) მდინარის, 4) ხის. მონაწილეებს შეუძლიათ მისცენ სხვებს ის სამუშაო მასალა, რომელიც მათ სჭირდებათ, მაგრამ არ შეუძლიათ მოსთხოვონ სხვას რაიმე. მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ ის, რაც სხვებმა მისცეს და გამოიყენონ თავიანთ ნამუშევარში. სამუშაოს ამ ნაწილს 15 წუთი ეთმობა. თუ რომელიმე გუნდი ვერ დაამთავრებს სამუშაოს, ყველა დამარცხებულად ჩაითვლება.

III. მონაწილეებმა უნდა გააერთიანონ თავიანთი ნამუშევრები და შექმნან ერთიანი კომპოზიცია და მოიფიქრონ სახელწოდება.

IV. კითხვები მსჯელობისათვის:

1. იოლი იყო თუ არა დავალების შესრულება?
2. რა იყო ყველაზე რთული და რატომ?
3. რომელი უნარის გამოყენება დაგჭირდათ ამ დავალების შესასრულებლად?
4. რა დასკვნა გამოიტანეთ (რა გაიგეთ) ამ სავარჯიშოდან?

## თემა 4

# თანამშრომლობა

**მოთხრობები:** „ჩვენი ეზოს ისტორია“ და „დავეხმაროთ ერთმანეთს“.

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

თანამშრომლობა და სოციალური ურთიერთობები წარმოადგენენ იმ ფაქტორებს, რომელიც ადამიანებს წარმატების მიღწევაში ეხმარება. პარტნიორობის გზით ადამიანებს შეუძლიათ გაცილებით მეტის გაკეთება, ვიდრე ცალ-ცალკე. წარმატებული თანამშრომლობის მიღწევა დამოკიდებულია ნდობის ფაქტორის არსებობაზე.

**ნდობა** წარმოადგენს სხვა ადამიანის მიმართ ისეთ დამოკიდებულებას, როცა გნამს, რომ ის არის მართალი, კეთილი, ძლიერი და ა.შ. **სამუშაო ნდობა** გულისხმობს იმ უნარსა და გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა ორ ან მეტ ადამიანს ან ჯგუფს შორის და რომელიც მათ საშუალებას აძლევს ერთმანეთს ორმხრივი ნდობით მოეპყრონ.

ერთმანეთთან ნდობით მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანები თანამშრომლობის გზით ქმნიან კარგ სამოქალაქო საზოგადოებას.

### **სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები გააცნობიერებენ ნდობის ფაქტორის მნიშვნელობას თანამშრომლობის ჩამოყალიბებისათვის;
- მოსწავლეები შეიძენენ ცოდნას თანამშრომლობის მეშვეობით პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ;
- მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები (მოსმენა, მონაწილეობის მიღება, ორგანიზება, საკუთარი მოსაზრების სხვებისთვის გაზიარება);
- მოსწავლეები დაეუფლებიან იმ სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებაც საჭიროა ჯგუფური მიზნების მისაღწევად, ასევე ისწავლიან, თუ როგორ უნდა შექმნან ურთიერთპატივისცემითა და ურთიერთნდობით გამსჭვალული გარემო.

## I ბაკვეთილი

**მოთხრობა: „ჩვენი ეზოს ისტორია.“**



### **ბაკვეთილის მიზნები:**

- თანამშრომლობის ცნების გაცნობა;
- თანამშრომლობის გზით პრობლემის ერთობლივი გადაჭრის პრაქტიკული შესწავლა.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები** – მოთხრობის ტექსტი, სამუშაო ფურცლები.



### **აქტივობები:**

- **აქტივობა №1** - თანამშრომლობის ცნების გასაცნობი სავარჯიშოს შესრულება;
- **აქტივობა №2** - კითხვებზე პასუხის გაცემა, მსჯელობა ნაკითხული ტექსტის შესახებ;
- **აქტივობა №3** - ჯგუფური მუშაობა.

## ბაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა №1 – თანამშრომლობის ცნების გასაცნობი სავარჯიშო (10 წთ.).

სასურველია, მასწავლებელმა თანამშრომლობის ცნების გასაცნობად შესთავაზოს მოსწავლეებს შემდეგი სავარჯიშო:

სურათზე გამოსახულია ორი სახედარი, რომლებიც სხვადასხვა მხარეს განლაგებული თივის ზვინებისკენ იწევენ და ვერც ერთს ვერ სწვდებიან, ვინაიდან ერთმანეთზე არიან გადაბმული. შემდეგ წარმოდგენილ სურათებზე კი სახედრები ერთად მიდიან ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა ზვინთან და მიირთმევენ თივას.

#### კითხვები მსჯელობისათვის:

1. რას ცდილობენ პირველ სურათზე გამოსახული სახედრები და აღწევენ თუ არა მიზანს?
2. რას აკეთებენ ისინი მეორე და მესამე სურათზე?
3. როგორ ფიქრობთ, რატომ დარჩნენ ისინი თავიდან მშვივრები?
4. რა გააკეთეს იმისათვის, რომ სანადელისთვის მიეღწიათ?

### აქტივობა №2 – კითხვებზე პასუხის გაცემა, მსჯელობა წაკითხულის შესახებ (20 წთ.)

შემდეგ მასწავლებელი უკითხავს მოთხრობას „ჩვენი ეზოს ისტორია“ (ტექსტის მიწოდების ფორმას მასწავლებელი თავად ირჩევს), რის შემდეგაც იმართება დისკუსია.

#### კითხვები მსჯელობისათვის:

1. რა გადაწყვიტეს მეგობრებმა ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს?
2. რამ გამოიწვია კამათი? რით ასაბუთებდა თითოეული მათგანი, რომ წიგნი სწორედ მას უნდა დაეწერა?
3. რა ხერხს მიმართეს მოკამათე მხარეებმა პრობლემის გადასაჭრელად?
4. ვის ხვდა წილად კენჭისყრის შედეგად წიგნის დაწერა და რა რჩევები მიიღო მან მეგობრებისაგან?
5. დაწერა თუ არა კოკიმ წიგნი? რას გაართვა თავი და რა ვერ შეძლო მან?
6. რა შესთავაზა ბაომ მეგობრებს? რომელი „რთული სიტყვა“ გამოიყენა მან?
7. როგორ გაინანილეს მეგობრებმა სამუშაო?
8. რა დაასკვნეს მათ სამუშაოს დასრულების შემდეგ?

9. განმარტეთ თქვენი სიტყვებით, რა ყოფილა თანამშრომლობა და გვიამბეთ, თქვენ თუ გაგიკეთებიათ რაიმე სხვასთან ერთად? შეძლებდით თუ არა იმ საქმის მართო გაკეთებას?

**აქტივობა №3 – ჯგუფური მუშაობა (15 წთ.).**

კლასი იყოფა ოთხ ჯგუფად, მონაწილეებს ურიგდებათ სამუშაო ფურცლები. თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი პროგნოზი – რა მოხდებოდა მაშინ, მოთხრობის გმირებს კონფლიქტის გადაწყვეტის რომელიმე სხვა ხერხი რომ გამოეყენებინათ? (გარდა თანამშრომლობისა).

შემდეგ იწყება ნაშრომების პრეზენტაცია და განხილვა.

**II ბაკვეთილი**

**მოთხრობა: „დავეხმაროთ ერთმანეთს.“**



**ბაკვეთილის მიზნები:**

- გავუღრმავოთ მოსწავლეებს ცოდნა თანამშრომლობისა და ნდობის შესახებ.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები** – მოთხრობის ტექსტი; ფორმატის ფურცლები, რომლებზეც გამოსახულია საგნების კონტურები; ფერადი ფანქრები.



**აქტივობები:**

- **აქტივობა №1** – ტექსტის გაცნობა (თუკი მოსწავლეები მოთხრობის ტექსტს სახლში გაეცნობიან, ამ აქტივობაზე გამოყოფილი დრო გადანაწილდება სხვა აქტივობებზე);
- **აქტივობა №2** – კითხვებზე პასუხის გაცემა, მსჯელობა ნაკითხულის შესახებ;
- **აქტივობა №3** – მუშაობა წყვილებში.

**აქტივობა №1 – ტექსტის კითხვა (10 წთ.).**

მოსწავლეები ეცნობიან (მასწავლებელი თავად ირჩევს მოთხრობის გაცნობის ხერხს) მოთხრობას „დავეხმაროთ ერთმანეთს“.



**აქტივობა №2 – კითხვებზე პასუხის გაცემა, მსჯელობა წაკითხულის შესახებ (15 წთ.)**

**კითხვები მსჯელობისათვის:**

1. რა მოხდა გაკვეთილზე?
2. რა აინტერესებდა მასწავლებელს? რა აინტერესებდა პაკოს? რა მოჰყვა ინტერესთა სხვადასხვაობას?
3. რა იყო დედის მიზანი?
4. შეიცვალა თუ არა პაკოს მიზანი? თუ შეიცვალა, როგორ?
5. როგორ დაეხმარნენ მეგობრები პაკოს?
6. რა საერთო მიზანი ამოძრავებდა ამ ამბის ყველა მონაწილეს?
7. რას მიაღწიეს ერთად მეგობრებმა?
8. რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

შესაძლებელია მოთხრობის შესახებ მსჯელობის დროს მასწავლებელმა დაფაზე დახაზოს შემდეგი სქემა, რომელიც მოსწავლეების მსჯელობის კვალდაკვალ შეივსება და შემდგომი განსჯის საგანი გახდება:

**მიზანი (ინტერესები)**

- მასწავლებელი .....
  - დედა .....
  - პაკო .....
  - დანარჩენი პერსონაჟები .....
- საერთო მიზანი .....

**კითხვები მსჯელობისათვის:**

- რის დახმარებით მიაღწიეს წარმატებას პერსონაჟებმა?
- არის თუ არა ისეთი პერსონაჟი ამ მოთხრობაში, რომლის ინტერესიც არ იქნა გათვალისწინებული?

**აქტივობა №3 – მუშაობა წყვილებში (20 წთ.).**

**მიზანი:** თანამშრომლობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**მასალა:** ფორმატის ქალაქი, რომელზეც გამოსახულია შემდეგი საგნების კონტურები:

1. ორი ქუდი
2. წყილი წინდა
3. წყილი ხელთათმანი
4. წყილი ფინჯანი და ა.შ.

**ჩატარების პროცედურა:** მოსწავლეები წყვილდებიან. თითოეულ წყვილს ეძლევა ფორმატი საგნის კონტურული გამოსახულებით. დავალება – მეწყვილეებმა უნდა გააფერადონ მოცემული საგნები (შესაძლებელია ორნამენტების გამოყენებაც). თითოეულ მათგანს შეუძლია მუშაობა დაიწყოს მოცემული საგნების ნებისმიერი ნაწილიდან. აუცილებელი პირობაა ის, რომ საბოლოოდ ორივე წინდა ერთნაირად უნდა იყოს გაფერადებული ისევე, როგორც წყვილი ხელთათმანი და წყვილი ფინჯანი.

**კითხვები მსჯელობისათვის:**

- მოგეწონათ თქვენი ნამუშევარი?
- რა იყო იოლი და რა იყო რთული მუშაობის პროცესში?
- რაზე უნდა გაგემახვილებინათ ყურადღება, რომ ამოცანა შეგესრულებინათ?
- რა იყო ამ თამაშის მიზანი?

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

ნაიკითხონ მოთხრობა „გატეხილი ლარნაკი“.

**თემა 5**      **გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება**

**მოთხრობები:** „გატეხილი ლარნაკი“ და „მძინარე მზეთუნახავი.“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

**გადაწყვეტილების მიღება** არის ქცევისა და ქმედებისათვის არჩევნის გაკეთების პროცესი.

**გადაწყვეტილების წარმატებით მიღება.** ყველა გადაწყვეტილებას თან ახლავს პასუხისმგებლობა და მოიცავს არჩევანს იმ გზებს შორის, რომლებიც პოტენციურად არის სასარგებლო ან ზიანის მომტანი. გადაწყვეტილების წარმატებით მიღება ნიშნავს ისეთი არჩევნის გაკეთებას, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი კმაყოფილების საკმარისი დონე, რათა გადაწონოს ნაკლებად მნიშვნელოვანი უკმაყოფილება.

**გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება** ბავშვებისათვის ნიშნავს ბავშვ-

თა შესაძლებლობას გააკეთონ არჩევანი საკუთარ ქცევასთან დაკავშირებით და აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებისათვის სხვა ბავშვებზე, მშობლებზე, მასწავლებლებსა თუ უფროსებზე დაყრდნობის გარეშე, გააკეთონ არჩევანი და მზად იყვნენ ამით გამონვეული შედეგების მისაღებად.

გადანწყვეტილების მიღება არის უნარი, რომლის შესწავლაც აუცილებელია. ჩვენ ყოველდღე ვიღებთ როგორც მნიშვნელოვან, ისე უმნიშვნელო გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღება არის ის, რასაც ხშირად ჩვევის გამო ვაკეთებთ, უფრო სერიოზული გადაწყვეტილებები მოითხოვს შეგნებულ დაფიქრებასა და იმის უნარს, რომ სწრაფად მოვახდინოთ რეაგირება სიტუაციაზე. მშობლებს სურთ, თავიანთი შვილები დამოუკიდებელი, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე და ბედნიერი ადამიანები გაიზარდონ. გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლა და გამოყენება კი მათ შვილებს დასახული მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

გადანწყვეტილების მიღება ასტიმულირებს გონებას, რადგან ხდება ახალი იდეებისა და პასუხების გამორკვევა. გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება სერიოზულად დააფიქრებს ბავშვს და რამდენადაც მეტი არჩევანი ექნება მას, მით უფრო შემოქმედებით პიროვნებად ჩამოყალიბდება. ბავშვი, რომელიც **ნაკარნახები** მორალური წესებით ცხოვრობს, იშვიათად ფიქრობს იმ მიზეზებზე, თუ რატომ არსებობს წესები, რომლებსაც ის იცავს. ბავშვს, რომელსაც მოუწოდებენ **იფიქროს მიზეზებზე და ახსნას ეს მიზეზები**, სავარაუდოდ, უფრო მეტად უვითარდება მორალური განსჯის უნარი. სწორედ ამ უნარს მიჰყავს ბავშვები თვითკონტროლირებად ქცევამდე.

**გადანწყვეტილების მიღებისას ბავშვები პასუხისმგებლობას იღებენ.** საკუთარ თავზე. გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება ეხმარება მათ აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ საქციელზე, შესაძლებლობას აძლევს დამაკმაყოფილებლად გადაჭრან თავიანთი პრობლემები. ეს ხელს უწყობს თანატოლებთან ახლო ურთიერთობის ფორმირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ბავშვები იზრდებიან და უფრო მეტად ხდებიან ჩართული ცხოვრებაში, ასევე იმ შემთხვევაში, როცა თანატოლების შეხედულებები მათთვის მშობლების მოსაზრებებზე მნიშვნელოვანია.

გადანწყვეტილების მიღებისას ბავშვები სწავლობენ საკუთარ შეცდომებზე, იძენენ მეტ დამოუკიდებლობას და უჩნდებათ საკუთარი თავის რწმენა. თუ შვილების მაგივრად მშობლები ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას, მაშინ შვილები არ იქნებიან მზად საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად იმ დროისთვის, როცა გაიზრდებიან.

**კარგი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა:**

- აქტიურად მოსმენის უნარი - ნამდვილად მოსმენა იმისა, რასაც სხვა პიროვნება ამბობს;

- თანაგრძნობა - გაგება იმისა, თუ რას გრძნობს ადამიანი;
- მოლაპარაკების გამართვის უნარი;
- იმ მხარეთა მიერ ერთმანეთის ინტერესების გაგების უნარი, რომლებსაც შეეხებათ გადაწყვეტილება;
- კრიტიკული აზროვნება (სხვადასხვა ალტერნატივის მოძიება/შეხედულებების შეფასება)

### **გადაწყვეტილების მიღების პროცესი შედგება შემდეგი საფეხურებისაგან:**

- **პრობლემის განსაზღვრა.** ეს აუცილებლად ნათლად უნდა იყოს გაგებული, რათა შემოთავაზებულმა გამოსავალმა შედეგი მოგვცეს;
- **საკუთარი მიზნების გაგება.** თქვენ მიერ არჩეულ მიზნებზე გავლენას ახდენს ღირებულებები და ის ფაქტორები, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია. ღირებულებათა პრიორიტეტების განსაზღვრით უფრო ნათლად დაინახავთ, თუ რა არის სასურველი;
- **ჩამოთვალეთ ალტერნატივები,** თუ როგორ შეიძლება მოიქცეთ;
- **გაითვალისწინეთ შედეგები** თითოეული საქციელის/გამოსავლისათვის;
- **შეარჩიეთ გამოსავალი,** რომელიც საუკეთესოდ გეჩვენებათ და მოიქცით შესაბამისად;
- **აიღეთ პასუხისმგებლობა.** თქვენ უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა და მზად იყოთ იმ შედეგებისათვის, რაც მიღებულ გადაწყვეტილებას მოჰყვება. თქვენ უნდა გსურდეთ იცხოვროთ ამ შედეგით;
- **შეაფასეთ** თქვენი გადაწყვეტილება, რათა დაინახოთ, თუ რამდენად კარგ გავლენას ახდენს თქვენ მიერ შერჩეული გამოსავალი სიტუაციაზე იმგვარი სახით, როგორც ეს თქვენ გინდოდათ;
- **გადასინჯეთ თქვენი არჩევანი** თუ პირველმა არჩევანმა არ მოიტანა ის შედეგი, რისი იმედიც გქონდათ; თუ შესაძლებელია, შეარჩიეთ მეორე გამოსავალი. ნუ შეგეშინდებათ გადაწყვეტილების მიღებისა იმის გამო, რომ შეიძლება საჭირო გახდეს მისი გადასინჯვა. ეს პროცესის ნაწილია;
- **იყავით ობიექტური და კონკრეტული.** ეცადეთ თავი აარიდოთ გადაწყვეტილების მიღებას მაშინ, როცა გაღიზიანებული, დაღლილი ან დაძაბული ხართ. ყურადღება გაამახვილეთ არა თქვენს ემოციაზე, არამედ პრობლემის გადაჭრაზე.

### **სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეებისათვის გასაგები გახდება გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობები, რომლებიც ნორმალური ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს;

- გადანწყვეტილების მიღების ყველა ეტაპის შესახებ მიღებული ინფორმაცია გამოუმუშავეს მოსწავლეებს გადანწყვეტილების მიღების უნარს;
- მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ გადანწყვეტილების წარმატებით მიღება მათ სიძლიერეზე მეტყველებს და თან ახლავს მნიშვნელოვანი კმაყოფილების განცდა;
- მოსწავლეები ისწავლიან, როგორ გამოიყენონ კრიტიკული აზროვნება გადანწყვეტილების მიღების პროცესში.

## I ბაკვეთილი

**მოთხრობა:** „გატეხილი ლარნაკი.“



### ბაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეებს გავაცნოთ გადანწყვეტილების მიღების მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან;
- გავუღრმაოთ მოსწავლეებს ცოდნა გადანწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესახებ;
- ხელი შევეწყნოთ მოსწავლეებში გადანწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარის ფორმირებას;
- ვაჩვენოთ მოსწავლეებს ცხოვრებისეული სიტუაციის კრიტიკულად გააზრების მნიშვნელობა გადანწყვეტილების მიღების პროცესში;
- დავაფიქროთ მოსწავლეები იმაზე, თუ რით არის განპირობებული მათი გადანწყვეტილება, რომ უკეთ გავაცნობიერონ ამა თუ იმ არჩევნის სისწორე და შეძლონ საკუთარი ქცევის გაკონტროლება.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები** ფურცლები, კალმისტრები, ფორმატები, მარკერები.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – ინფორმაციული ნაწილი;
- აქტივობა №2 – სავარჯიშო „ჩემი არჩევანი“;
- აქტივობა №3 – მოთხრობის განხილვა და მსჯელობა;
- აქტივობა №4 – შეჯამება.

## გაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა №1 – ინფორმაციული ნაწილი (5 წთ.).

**ჩატარების პროცედურა:** მისალმების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თემას; აწვდის მათ გადანყვეტილების მიღების მაგალითებს ყოველდღიური ცხოვრებიდან (რა ჩაიცვან, რომელი გზით წავიდნენ სკოლაში, რა მიირთვან, რა წაიკითხონ, ვის ეთამაშონ და სხვ.); აგრეთვე უხსნის, ვისი დახმარებით ისწავლიან კარგისა და ცუდის გარჩევას (მშობლები, მასწავლებლები, ბები-ბაბუები, უფროსი და-ძმები და სხვ.). აცნობს ისეთ მაგალითებს, როდესაც ბავშვები თავად ვერ იღებენ გადანყვეტილებას (ვინ უნდა იყვნენ მათი მშობლები, რომელი წამალი უნდა მიიღონ და სხვ.) და ისეთ სიტუაციებს, როდესაც მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ გადანყვეტილების მიღება (ვისთან იმეგობრონ, თავად აირჩიონ საყვარელი საკვები და სხვ.); ესაუბრება იმ ბავშვებზე, რომლებიც საკუთარ თავზე ზრუნავენ (იღებენ სასარგებლო საკვებს, ზედმეტად არ იტვირთებიან, ერიდებიან სახიფათო სიტუაციებს და ა.შ.).

მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ მინიშნება იმაზე, თუ როგორ განასხვავებენ ბავშვები კარგსა და ცუდს ან როგორ იცვლიან ისინი აზრს, როცა წარუმატებელ გადანყვეტილებას იღებენ და რომ ნებისმიერ გადანყვეტილებას თან ახლავს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგი.

### აქტივობა №2 – სავარჯიშო „ჩემი არჩევანი“ (15 წთ.).

**მიზანი:** დავანახოთ მოსწავლეებს, რომ გადანყვეტილების მიღება შესაძლებელია სიტუაციის კრიტიკულად გააზრების საფუძველზე; გამოვუმუშაოთ მათ გადანყვეტილების შედეგების პროგნოზირების უნარი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთავაზობს ბავშვებს შემდეგ სიტუაციას: „თქვენ გინდათ ეზოში თამაში, მაგრამ საშინაო დავალება ჯერ არ მოგიმზადებიათ. თქვენი მეგობრები გიხმობენ ეზოში სათამაშოდ. როგორ მოიქცევით?“

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს ხელის აწევით დაადასტურონ, თუ რომელ გადანყვეტილებას მიიღებენ:

1. ჩავლენ სათამაშოდ ეზოში;
2. დავალებას მოამზადებენ.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიაზრონ ის შედეგები, რომლებიც ამა თუ იმ არჩევანს შეიძლება მოჰყვეს. მასწავლებელი ვარიანტებს წერს დაფაზე. შემდეგ ისევ მიმართავს მათ, კიდევ ერთხელ მიიღონ გადანყვეტილება, ბოლოს იმართება დისკუსია შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- იოლი იყო თუ არა გადანყვეტილების მიღება?

- რომელ შემთხვევაში იყო გადანწყვეტილება სწორად მიღებული?
- რა შეიცვალა, როცა შედეგები გააანალიზეთ და რატომ?
- რა ისწავლეთ ამ სავარჯიშოდან?

მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ ნებისმიერ გადანწყვეტილებას რალაც შედეგი მოჰყვება; რომ გადანწყვეტილების მიღების პროცესში მთავარია შესაძლო შედეგების განსაზღვრა, დადებითი და უარყოფითი მხარეების შეჯერება და ამის საფუძველზე ოპტიმალური გადანწყვეტილების მიღება.

**აქტივობა №3 – მოთხრობის განხილვა და მსჯელობა (20 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სვამს შეკითხვებს შინ წაკითხულ მოთხრობასთან დაკავშირებით, მასში ასახული პრობლემის გასააზრებლად და სამსჯელოდ:

- რა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა პაკო?
- რა ფიქრები იწვევდა პაკოში მტანჯველ განცდებს?
- პრობლემის გადანწყვეტის რა ვარიანტები განიხილეს ბავშვებმა?
- რომელი გადანწყვეტილების მიღების დროს ამბობს პაკო ამ სიტყვებს: „ეგრევე გულზე მომეშვა.“
- რა შედეგი მოჰყვა პაკოს მიერ დამოუკიდებლად მიღებულ გადანწყვეტილებას, ეთქვა დედისთვის სიმართლე.
- თქვენ როგორ გადანწყვეტილებას მიიღებდით?

- შეგიძლიათ რამდენიმე მოხალისეს გაათამაშებინოთ შემდეგი ორი სიტუაცია:
1. პაკო იღებს გადანწყვეტილებას, რომ არ ეთქვას სიმართლე და ირჩევს რომელიმე ვარიანტს (მოხალისეებმა თვითონ შეარჩიონ ვარიანტი);
  2. პაკო იღებს გადანწყვეტილებას, უთხრას დედას სიმართლე.

გათამაშების შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, რას გრძნობდნენ ისინი თითოეული როლის შესრულების დროს?

**აქტივობა №4 – შეჯამება (5წთ.).**

მასწავლებელი დაფაზე ამაგრებს ფორმატს, რომელზედაც ჩამოწერილია გადანწყვეტილების მიღების პროცესის საფეხურები და განმარტავს მათ (იხ. ძირითად ცნებებში).

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**  
წაკითხონ მოთხრობა „მძინარე მზეთუნახავი“.

## II გაკვეთილი

**მოთხრობა: „მძინარე მზეთუნახავი“**



### გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები გამოიმუშავენ როგორც პერსონალური, ისე ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების უნარს;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას განსხვავებული ვარიანტების პირობებშიც კი;
- მოსწავლეებს განუვითარდებათ ემოციების რაციონალურად მართვის უნარი გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მოსწავლეები გაიგებენ, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა შეირჩეს საუკეთესო გამოსავალი, რომელიც გაზიარებული იქნება ჯგუფის წევრების მიერ.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** ფურცლები, კალმისტრები, ფორმატები, მარკერები.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – წინა გაკვეთილზე განხილული საკითხების მიმოხილვა;
- აქტივობა №2 – მუშაობა ჯგუფებში – სამუშაო სქემების დამუშავება;
- აქტივობა №3 – სავარჯიშო „წარმოიდგინეთ, რომ...“

## გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – წინა გაკვეთილზე განხილული საკითხების მიმოხილვა (5წთ.).**

მასწავლებელი სრულად მიმოიხილავს წინა გაკვეთილზე განხილულ საკითხებს.

**აქტივობა №2 – მუშაობა ჯგუფებში – სამუშაო სქემების დამუშავება (20წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ყოფს კლასს სამ ჯგუფად. ორ ჯგუფს ურიგებს სამუშაო სქემებს შესავსებად მოთხრობა „მძინარე მზეთუნახავიდან“ და სთხოვს მათ 5 წუთის განმავლობაში დაამუშაონ ეს სქემები.

თითოეული ჯგუფის მიერ შერჩეული წარმომადგენელი ახდენს პრეზენტაციას. მესამე ჯგუფი კი საბოლოოდ შეაჯამებს წარმოდგენილ ნამუშევარს და შეავსებს სქემებს.



სქემა 1

პერსონაჟი	რა სურს	რა შედეგი მოჰყვება
ლიზიკო		
მაცაცო		
კოკი		

სქემა 2

პრობლემა	
გადანყვეტილების მიღების ხერხი	
შემოთავაზებული ვარიანტები:	
საბოლოო ვარიანტის უპირატესობანი:	

აქტივობის დასრულებისას მნიშვნელოვანია მასწავლებელმა კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რომ გამოუვალ სიტუაციაშიც კი შეიძლება სწორი გადანყვეტილების მიღება ალტერნატიული ვარიანტებიდან ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის გზით, რომელსაც გაიზიარებენ ჯგუფის წევრებიც.

**აქტივობა №3 – სავარჯიშო „წარმოიდგინეთ, რომ...“ (20 წთ.).**

**მიზანი:** დავაფიქროთ მოსწავლეები საკუთარი ქცევების წინასწარ გაანალიზების მნიშვნელობაზე; ვაჩვენოთ მათ, რომ შესაძლებელია საკუთარი გადანყვეტილების შეცვლა შედეგების წინასწარი პროგნოზირების საფუძველზე.

**ჩატარების პროცედურა:**

1. მასწავლებელი მიმართავს ბავშვებს: „წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს იღვიძებთ და იგებთ, რომ იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობთ, ერთი თვის განმავლობაში უფროსი თაობის ადამიანები აღარ იქნებიან. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ყველაფერი, რაც გინდათ. როგორ მოიქცევით?“ პასუხები იწერება დაფაზე.
2. შემდეგ მასწავლებელი დაყოფს კლასს ჯგუფებად 4-5 მოსწავლის შემადგენლობით და დაავალებს მოიფიქრონ და ჩამოწერონ ის შედეგები, რომელიც მოჰყვება მათ მიერ არჩეულ ქმედებებს.

3. ქმედებებისა და შედეგების განხილვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დატოვონ ის ვარიანტები, რომლებიც ყველასათვის მისაღები და ამასთანავე, დადებითი შედეგების მომტანი იქნება.

სავარჯიშოს დასრულების შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს შემდეგი შეკითხვები:

- რა შეიტყვეთ ახალი თქვენ შესახებ?
- რა ისწავლეთ?

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

ნაიკითხონ მოთხრობა „მოცეკვავე“.

## თემა 6

### შეთანხმება ანუ პრობლემის ერთობლივად მოგვარება

**მოთხრობა:** „მოცეკვავე“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

**პრობლემის ერთობლივად მოგვარება** არის პროცესი, რომლის დროსაც ინდივიდთა ჯგუფები ან ცალკეული ინდივიდები ერთიანდებიან საერთო, ყველა მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მოძიების მიზნით. პრობლემის ერთობლივად მოგვარების პროცესი მოითხოვს პრობლემის განსაზღვრას, ალტერნატიული ვარიანტების შემუშავებას და ყურადღების გამახვილებას მხარეთა ინტერესებზე. ადამიანი ან თმობს საკუთარ პოზიციას, ან დომინირებს დანარჩენებზე. ერთობლივი ძალისხმევით პრობლემის გადაჭრისას თითოეული მხარე მოგებულ მდგომარეობაში რჩება.

პრობლემის ერთობლივად მოგვარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე საზოგადოებაში. კონკურენციისა და საპირისპირო ინტერესების არსებობის გამო საზოგადოებაში წარმოიქმნება მრავალი პრობლემა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ჯგუფებზე. **პრობლემის ერთობლივად მოგვარების პროცესი მოიცავს თანხმობის (კონსენსუსის) მოძიებას**, რაც პიროვნებებს ან ადამიანთა ჯგუფებს სთავაზობს რთული საკითხების გადაჭრის გზებს ყველა მხარისათვის მისაღები შედეგით. პრობლემის ერთობლივად მოგვარების პროცესში გამოიყენება შემდეგი ნაბიჯები:

- პრობლემის განსაზღვრა;
- შესაძლო გადაწყვეტილებათა ვარიანტების შერჩევა;

- ორივე მხარისათვის მისაღები და ორივე მხარის ინტერესთა დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღება;
- სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- სამოქმედო გეგმის შესრულება;
- პრობლემის მოგვარების პროცესის შეფასება.

ვაჩვენოთ მოსწავლეებს, თუ როგორ ხდება პრობლემის ერთობლივად მოგვარება მაშინ, როდესაც ორ ან მეტ მხარეს ერთმანეთთან კონფლიქტი აქვს. მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გამახვილდეს პრობლემის ერთობლივად მოგვარების საკვანძო ასპექტებზე: პრობლემის განსაზღვრის გზები, სხვადასხვა მხარის ინტერესთა გათვალისწინება, შესაძლო გადაწყვეტილებათა მოძიება, ყველა მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილების შერჩევა და სავარაუდო შედეგის შემოწმება. მთავარია, შექმნილი ცოდნა და განხილვის შედეგად მიღებული კონკრეტული დასკვნები განზოგადდეს მოსწავლეების მიერ, რათა შესაძლებელი გახდეს მიღებული გამოცდილების გამოყენება ცხოვრებაში.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას პრობლემის მიზეზების ანალიზის შესახებ;
- მოსწავლეები განსაზღვრავენ თანამშრომლობის აუცილებლობას პრობლემის გადაჭრის პროცესში;
- მოსწავლეები შეიძენენ ცოდნას პრობლემის ერთობლივად მოგვარების სტრატეგიების შესახებ;
- მოსწავლეები განივითარებენ ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს (პრობლემის განსაზღვრა, პრობლემის მოგვარების პროცესში მონაწილეობის მიღება, აქტიური მოსმენა და ა.შ.).

**I ბაკვეთილი**

**მოთხრობა:** „მოცეკვავე.“



**ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეებმა გაიღრმავონ ცოდნა პრობლემის მიზეზების ანალიზის შესახებ;
- მოსწავლეებმა განსაზღვრონ თანამშრომლობის აუცილებლობა პრობლემის გადაჭრის პროცესში.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები** – მოთხრობა „მოცეკვავე“; №4 ფორმატის სუფთა ფურცლები; მასწავლებლის მიერ მომზადებული ოთხი სამუშაო ფურცელი (ქვ. ნიმუშების მიხედვით); ფანქრები; სკოტჩი, ჭიკარტები.



**აქტივობები:**

- **აქტივობა №1** – სავარჯიშო „ერთობლივი ნახატი“ შესრულება და მისი განხილვა;
- **აქტივობა №2** – ჯგუფური მუშაობა – განხილვის შედეგად ტექსტის ანალიზისთვის სამუშაო ფურცლებზე მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- **აქტივობა №3** – პრეზენტაციების შედეგების შეჯამება, საერთო დასკვნების გამოტანა.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა №1 – სავარჯიშო „ერთობლივი ნახატი“ (10 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები გაეცნონ ორმხრივი სარგებლიანობის სტრატეგიას; მოსწავლეებმა განსაზღვრონ თანამშრომლობის აუცილებლობა.

**ჩატარების პროცედურა:**

- მასწავლებელი ყოფს ჯგუფს „პირველ“ და „მეორე“ წყვილებად;
- იგი ცალ-ცალკე აძლევს მათ ინსტრუქციებს ისე, რომ ერთმანეთის დავალების შესახებ მოსწავლეებმა არაფერი იციან. ინსტრუქცია „პირველ წყვილს“: „თქვენი მიზანია კატის დახატვა“. ინსტრუქცია „მეორე წყვილს“: „თქვენი მიზანია სახლის დახატვა“;
- მასწავლებელი სვამს პირველ და მეორე წყვილს ერთად. ურიგებს მათ თითო ფურცელსა და თითო ფანქარს. აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ სწორედ ამ პირობებში უნდა განახორციელონ დასახული მიზნები;
- როგორც კი თითოეული წყვილი მოკიდებს ხელს საერთო ფანქარს, მასწავლებელი აუწყებს მათ, რომ დროა დაინყონ სავარჯიშოს შესრულება. მასწავლებელი იქვე აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ მათ განკარგულებაში მხოლოდ 5 წუთია;
- დანიშნული დროის გასვლის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წყვილის ნამუშევრები მიამაგრონ დაფაზე;
- შემდეგ მასწავლებელი მსურველებს სთავაზობს გამოთქვან აზრი თითოეულ დასმულ კითხვაზე:
  - ვნახოთ, მოახერხეთ დავალების შესრულება?
  - რთული სავარჯიშო იყო?
  - თქვენ რომელი გზა აირჩიეთ დავალების შესასრულებლად?

- როგორ ფიქრობთ, დავალების შესასრულებლად თქვენი არჩეული გზა საუკეთესოა? სხვა გზა არ გიძებნიათ?
- მასწავლებელი მსურველთაგან თავად შეარჩევს მოპასუხეებს და დაფაზე მიუთითებს საკვანძო სიტყვებს. 5 წუთის განმავლობაში მიღებულ პასუხებს აჯამებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძალიან ხშირად ადამიანებს უნევთ სირთულის ერთად დაძლევა და ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთდახმარება – თანამშრომლობა.

**აქტივობა №2 – ჯგუფური მუშაობა: განხილვა და ტექსტის ანალიზი სამუშაო ფურცლებზე (10 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეებს განუვითარდეთ თანამშრომლობისა და ანალიზის უნარი; მოსწავლეებმა განსაზღვრონ თანამშრომლობის აუცილებლობა.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ ახლა ჯგუფებში გაიმართება მსჯელობა შინ წინასწარ წაკითხული მოთხრობის შესახებ. ჯერ მასწავლებელი ყოფს კლასს 4 ჯგუფად და აფრთხილებს, რომ თითოეული მათგანისთვის გამოყოფილ სამუშაო ფურცელში ჯგუფის ერთმა წევრმა უნდა ჩაწეროს ჯგუფის წევრების შეჯერებული აზრი. ამ დავალებისთვის იგი გამოყოფს 10 წუთს.

მასწავლებელი ურიგებს ჯგუფებს წინასწარ მომზადებულ სამუშაო ფურცლებს, მოცემული ნიმუშების მიხედვით:

**სამუშაო ფურცელი 1**

პრობლემა	როგორ აგვარებდნენ ეზოს ბინადრები პრობლემას? (მიუთითეთ თანმიმდევრობით)

მასწავლებელს შეუძლია ჯგუფის წევრებს არათანმიმდევრულად მიანოდოს არსებული პრობლემები და შესთავაზოს მათ თანმიმდევრობის განსაზღვრა მოთხრობის შესაბამისად.

სამუშაო ფურცელი 2

მოთხრობის გმირი	რა სურს	რა შედეგი მოაქვს ამას?
ნიკუშა		
მაცაცო		
თუთა		
პაკო		
კოკი		
ბაო		
ლალი დეიდა		

დაასახელეთ პრობლემის მოგვარების გზა:

.....

.....

.....

სამუშაო ფურცელი 3

პრობლემა .....

ვინ მოძებნა პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა?.....

როგორი იყო ეს გამოსავალი? .....

რის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს ეს გამოსავალი საუკეთესოდ?

.....

სამუშაო ფურცელი 4

დაასახელეთ პრობლემის ერთობლივად მოგვარების უპირატესობები:

1	
2	
3	
4	
5	
6	
7	

სამუშაოს შესრულებისას მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს (თითოეულ ჯგუფს), რომ მხოლოდ მათ წინაშე დასმულ საკითხებს უნდა უპასუხონ.

**აქტივობა №3 – პრეზენტაცია და შეჯამება (10 წთ.)**

მასწავლებელი რიგრიგობით იწვევს თითოეული ჯგუფიდან თითო წევრს, რათა მთელ კლასს გააცნოს მათი მუშაობის შედეგი. ყოველი პრეზენტაციის წარმოდგენის შემდეგ შესაბამის სამუშაო ფურცელს თანმიმდევრობით ამაგრებს დაფაზე. მადლობას უხდის მოსწავლეებს თანამშრომლობისთვის.

მასწავლებელი ჯგუფების პრეზენტაციებზე დაყრდნობით აკეთებს შემაჯამებელ დასკვნას და წარმოაჩენს მოსწავლეთა ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოს მსგავსებას პრობლემის გადაჭრის თანმიმდევრობასთან.

**II ბაკვეთილი**



**ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეებმა განსაზღვრონ თანამშრომლობის აუცილებლობა პრობლემის მოგვარების პროცესში;
- მოსწავლეებმა განიმტკიცონ მიღებული ცოდნა პრობლემის გაანალიზებისა და ერთობლივად მოგვარების სტრატეგიების შესახებ;
- მოსწავლეებს განუვითარდეთ თანამშრომლობის უნარი და შესაბამისი ჩვევები (პრობლემის განსაზღვრა, პრობლემის მოგვარების პროცესში მონაწილეობის მიღება, აქტიური მოსმენა და ა.შ.).



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები** მოთხრობა „მოცეკვავის“ ტექსტი; ფანქრები, კალმები, გრძელი მსუბუქი ჯოხები გამყოფი საზღვრისათვის.



**აქტივობები:**

- აქტივობა №1 - სავარჯიშო „საზღვარი“;
- აქტივობა №2 - სავარჯიშო „ოქროს წესი“;
- აქტივობა №3 - სავარჯიშო „რეცეპტი“.

**ბაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა №1 – სავარჯიშო „საზღვარი“ (10 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები გაეცნონ ორმხრივი სარგებლიანობის სტრატეგიას;

მოსწავლეებმა განსაზღვრონ თანამშრომლობის აუცილებლობა; მოსწავლეებმა გამოიყენონ ეფექტური კომუნიკაციის ხერხები.

### ჩატარების პროცედურა:

- სავარჯიშოს დაწყებამდე მასწავლებელი საკლასო ოთახის თავისუფალ არეში გრძელი მსუბუქი ჯოხებით იატაკზე ქმნის გამყოფ „საზღვარს.“
- შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აწვევს და სთხოვს მენწყილებს, რომ „საზღვრის“ მოპირდაპირე მხარეს დადგნენ.
- მასწავლებელი ბავშვებს უხსნის წესებს: თითოეული თქვენგანის მიზანია, რომ მენწყილე თქვენ მხარეს გადაიყვანოთ. საუბარი აკრძალულია. სავარჯიშო იწყება და სრულდება მაშინ, როცა ნიშანს მოგცემთ. ყველა სხვა საშუალება ნებადართულია. გაქვთ მხოლოდ 5 წუთი.
- ინსტრუქციის შემდეგ მასწავლებელი რწმუნდება, რომ მოსწავლეები სწორად განლაგდნენ და აძლევს დაწყების ნიშანს.
- დათქმული დროის გასვლისას მასწავლებელი აძლევს შეწყვეტის ნიშანს და აუწყებს მოსწავლეებს, რომ ახლა ისინი განიხილავენ მიღებულ შედეგს.
- მასწავლებელი სვამს ქვემოთ მოყვანილ კითხვებს და მათზე პასუხის მისაღებად შერჩევით ასახელებს სხვადასხვა მსურველს.
  - ვინ მიაღწია მიზანს?
  - თქვენ რა ხერხს მიმართეთ მიზნის მისაღწევად?
  - რას გრძნობდით სავარჯიშოს შესრულების დროს?
  - როგორ ფიქრობთ, ყოველ თქვენგანს შეეძლო მიზნის მიღწევა? რატომ?
- მასწავლებელი აჯამებს სავარჯიშოს შედეგებს და ხაზს უსვამს, რომ ერთ პრობლემას შეიძლება ბევრი მიზეზი ჰქონდეს და მისი მოგვარებისას მნიშვნელოვანია არსებული ვითარება/გარემოებები, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება და თანამშრომლობის სურვილი.

### აქტივობა №2 – სავარჯიშო „ოქროს წესი“ (5-10 წთ.).

**მიზანი:** მოსწავლეებმა განაზოგადონ პრობლემების მიზეზებთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილება. მოსწავლეებს განუვითარდეთ თანამშრომლობისა და ანალიზის უნარი.

**მასალა:** სამუშაო ფურცლები „კითხვარი“, მოთხრობა „მოცეკვავის“ ტექსტი.

### ჩატარების პროცედურა:

- მასწავლებელი მოსწავლეებს ანაწილებს 4-5 ბავშვიან ჯგუფებად და



სთავაზობს გაიხსენონ პაკოს ცეკვისა და ხმამაღალი მუსიკის ამბავი (მოთხრობა „მოცეკვავე“).

- შემდეგ თითოეულ ჯგუფს ურიგებს სამუშაო ფურცლებს „კითხვარი“ (მოცემულია ქვემოთ) და სთხოვს, 5-6 წუთის განმავლობაში დაფიქრდნენ და ერთმანეთთან მოლაპარაკების შემდეგ გააკეთონ აღნიშვნები კითხვარში. იქვე განუმარტავს, რომ თუ ჯგუფის წევრების აზრით, ჩამონათვალში არ არის დასახელებული რომელიმე მიზეზი, შეთანხმდნენ და შემდეგ მიაწერონ თავისუფალ სტრიქონზე.
- ვიდრე მოსწავლეები მსჯელობენ ჯგუფებში, მასწავლებელი დაფაზე თვალსაჩინოდ წერს შეუვსებელ ანალოგიურ კითხვარს.

### სამუშაო ფურცელი „კითხვარი“

მოთხრობა „მოცეკვავეში“ აღწერილი პრობლემის მიზეზები:

- ✓ შეზღუდულია შესაძლებლობები (მაგ., ადგილის ან დროის სიმცირე, არასაკმარისი რაოდენობის ნივთები და სხვა);
- ✓ პერსონაჟისთვის ცნობილია მხოლოდ საკუთარი მიზნები და სურვილები, მაგრამ უცნობია სხვისი;
- ✓ პერსონაჟისთვის უცნობია სხვისი (ან სხვათა) შესაძლებლობები;
- ✓ პერსონაჟისთვის უცნობია სხვისი (ან სხვათა) განწყობა მის მიმართ;
- ✓ პერსონაჟისთვის უცნობია სხვისი (ან სხვათა) გეგმები.

თუ გსურთ, დაამატეთ:


- სავარჯიშოსთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი თანმიმდევრობით ასახელებს კითხვარში აღნიშნულ მიზეზებსა და ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებმაც აღნიშნეს ეს მიზეზი თავის სამუშაო ფურცლებში, სთხოვს ხელის აწევით დაადასტურონ. დასასრულს რიგრიგობით გამოკითხავს თითოეულ ჯგუფს, თუ რა დაამატეს მათ მიზეზებად და აღნიშნავს ამას დაფაზე.
- მასწავლებელი აჯამებს კლასის უმრავლესობის მიერ დაფაზე აღნიშნულ მოსაზრებებს და კვლავ ხაზგასმით მიუთითებს მოსწავლეებს პრობლემის წარმოშობის მიზეზების მრავალფეროვნებაზე, შესაბამისად, მისი მოგვარებისათვის თანამშრომლობის აუცილებლობაზე. იგი სთხოვს მოსწავლეებს, იქვე წაიკითხონ წიგნში მოცემული პრობლემის მოგვარების „ოქროს წესი“.

**აქტივობა №3 – სავარჯიშო „რეცეპტი“ (5 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეებს განუვითარდეთ თანამშრომლობისა და ანალიზის უნარი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მოკლე სავარჯიშოს ჯგუფებში: „ნარმოიდგინეთ, რომ თქვენ, ჯგუფის წევრები, ექიმები ხართ, გაქვთ ავადმყოფისთვის გამოსაწერი ნამლის რეცეპტის ერთადერთი ფურცელი და მასზე მხოლოდ ერთი სიტყვის დანერა შეიძლება. „ჩვენი ეზოს“ ავადმყოფობას კი „პრობლემა“ ეწოდება. მოილაპარაკეთ და ჩანერეთ რეცეპტში საუკეთესო და უეზარი ნამლის დასახელება.“

შემდეგ მასწავლებელი 2-3 ჯგუფს სთხოვს დაასახელონ, თუ რა „ნამალი“ გამოწერეს მათ განსაკურნებლად. მისი მიზანია, წახალისოს ბავშვები მართებული დასკვნების გამოტანის გამო და აღნიშნოს, რომ მათ მიაღწიეს სასწავლო მიზნებს, რასაც ხელი შეუწყო თანამშრომლობამ: ამით კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი თანამშრომლობის მნიშვნელობას.

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

წაიკითხონ მოთხრობა „გულადი მეკობრის განძი“, დაფიქრდნენ, შეავსონ მოსწავლის წიგნში მოცემული ცხრილი, რომელიც გამოადგებათ შემდეგ გაკვეთილზე.

**მოთხრობა:** „გულადი მეკობრის განძი.“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

*მოლაპარაკება – შეთანხმების მიღწევის მცდელობა მსჯელობისა და დისკუსიის გზით.*

არსებობს მოლაპარაკების რამდენიმე ტიპი: „მტკიცე“, „რბილი“ და „პრინციპული“. ერთ-ერთი სასწავლო მიზანია, მოსწავლეებისთვის თვალსაჩინო გახდეს, თუ რა ზეგავლენას ახდენს მოლაპარაკების ტიპის არჩევა სავარაუდო შედეგზე.

- **მტკიცე მოლაპარაკება:** ხასიათდება კომპრომისზე წასვლის ან პოზიციის დათმობის სურვილის არარსებობით;
- **რბილი მოლაპარაკება:** გულისხმობს კონფლიქტის თავიდან არიდების მცდელობას, როგორც წესი, პოზიციების დათმობის ხარჯზე;
- **პრინციპული მოლაპარაკება:** გამოიყენება მაშინ, როდესაც არსებობს კომპრომისის საჭიროება ორივე მხარისათვის სასურველი შედეგის მისაღწევად.

**მოლაპარაკებაზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს შემდეგი:**

- მხარეთა მიზნები, ინტერესები და ის, თუ რამდენად ნათლად იყო ისინი ჩამოყალიბებული და გადმოცემული;
- როგორ აღიქმება მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება (მიაჩნიათ თუ არა მხარეებს, რომ მათ სჭირდებათ ერთმანეთი და რამდენად აუცილებელია ეს მათთვის);
- მხარეთა ურთიერთობის წარსული, ანუ ერთად მუშაობის გამოცდილება (ან ასეთის არარსებობა. რა ხნის განმავლობაში იცნობენ მხარეები ერთმანეთს და რა სახის ნაცნობობა აკავშირებთ);
- მონაწილე ადამიანების პიროვნული თვისებები (არიან თუ არა ჯიუტები, დამჯერები, ახალი წინადადების მიმღებნი, და ა.შ.);
- თითოეული მხარის გადარწმუნების უნარი.

მასწავლებლის ძირითადი მიზანია, ასწავლოს მოსწავლეებს პრინციპული მოლაპარაკების წარმართვა.

**პრინციპული მოლაპარაკება შედეგა 4 ელემენტისგან:**

1. ადამიანები: არ დაუკავშიროთ ადამიანები პრობლემას, განაცალკევით ადამიანები პრობლემისაგან (მოლაპარაკების დროს სათანადოდ მოეპყარით მათ და იმუშავეთ საკითხის მოგვარებაზე);
2. ინტერესები: გაამახვილეთ ყურადღება ინტერესებზე და არა პოზიციებზე (თითოეული მხარის ინტერესს განსაზღვრავს მისი საჭიროება, სურვილები, პრობლემები და შიში რაიმეს მიმართ. პოზიციები კი წარმოადგენს სასურველი შედეგების შესახებ უფრო კონკრეტულ განცხადებებს);
3. ვარიანტები (ალტერნატივები): შეიმუშავეთ სხვადასხვა ვარიანტები (ალტერნატივები) მანამდე, ვიდრე რამეს მოიმოქმედებთ;
4. კრიტერიუმები: მტკიცედ მოითხოვეთ, რომ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს ობიექტურ სტანდარტებს.

**თითქმის ყველა მოლაპარაკებისათვის დამახასიათებელია 4 შემადგენელი ეტაპი:** მომზადება, გახსნა, ვაჭრობა და დახურვა. მასშტაბური მოლაპარაკებისას, თითოეული ეტაპი თანმიმდევრულად ხორციელდება. თუმცა, მცირე მასშტაბის მოლაპარაკებების დროს ხშირად ხდება ამ ეტაპების გაერთიანება ერთიან დაუნაწევრებელ პროცესში.

- მომზადება მოიცავს ინფორმაციის მოპოვებას;
- მოლაპარაკების გახსნა გულისხმობს ორივე მხარის მიერ ერთმანეთის წინაშე საწყისი პოზიციების დაფიქსირებას. ჩვეულებრივ, ეს წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას, მხარეებმა მოახდინონ ზეგავლენა ერთმანეთზე;
- ვაჭრობის ეტაპის მიზანია შეამციროს მანძილი (განსხვავება, უფსკრული) ორ საწყის პოზიციას შორის;
- დახურვის ეტაპი წარმოადგენს განეული მუშაობის შეჯამების პროცესს.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები გაეცნობიან მოლაპარაკების ტიპებს;
- მოსწავლეები გაანალიზებენ ფაქტორებს, რომლებიც ახდენენ ზეგავლენას მოლაპარაკების შედეგზე (განსაკუთრებით, ინტერესები და პოზიციები);
- მოსწავლეები დარწმუნდებიან პრინციპული მოლაპარაკების ეფექტურობაში;
- მოსწავლეები გამოიმუშავებენ მოლაპარაკების უნარ-ჩვევებსა და ენას, რაც დაეხმარება მათ ყოველდღიური კონფლიქტების თავიდან აცილებაში ან მართვაში.

## I ბაკვეთილი

**მოთხრობა:** „გულადი მეკობრის განძი.“



**ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები გაეცნობიან მოლაპარაკების ტიპებს;
- მოსწავლეები გააანალიზებენ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოლაპარაკების შედეგზე (განსაკუთრებით, ინტერესები და პოზიციები).



**მცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მოთხრობა „გულადი მეკობრის განძის“ ტექსტი; A4 ფორმატის ცარიელი ფურცლები; მასწავლებლის მიერ მომზადებული ბარათები და ოთხი სამუშაო ფურცელი (ქვ. ნიმუშების მიხედვით); დიდი ფორმატის ქაღალდი; ფანქრები, მარკერები, სკოტჩი;



**აქტივობები:**

- **აქტივობა №1** – მოლაპარაკების განსაზღვრა;
- **აქტივობა №2** – სავარჯიშო „გახსენი მუშტი“ შესრულება და მისი განხილვა;
- **აქტივობა №3** – საშინაო დავალება: მოთხრობის ჯგუფებში განხილვა და სამუშაო ფურცლების შევსება.

## ბაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – მოლაპარაკების განსაზღვრა.**

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, თუ რას ნიშნავს მოლაპარაკება. იგი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, გამოიყენეს თუ არა „ჩვენი ეზოს“ გმირებმა მოლაპარაკება პრობლემის ერთობლივად მოგვარებისას. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ისინი შეისწავლიან მოლაპარაკების წარმართვის გზებს და განსაზღვრავენ, თუ როგორი მოლაპარაკება ჯობს პრობლემის მოსაგვარებლად.

**აქტივობა №2 – სავარჯიშო „გახსენი მუშტი“.**

**მიზანი:** ინტერესებსა და პოზიციას შორის განსხვავების ჩვენება; მოლაპარაკების წარმოების მრავალფეროვნების ჩვენება; მოლაპარაკების დროს ინტერესებზე დაყრდნობის უპირატესობის გამოვლენა.

**მასალა:** დიდი ფორმატის ქაღალდი, ფანქრები/მარკერები, სკოტჩი.

**ჩატარების პროცედურა:**

- მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს წყვილებად;
- შემდეგ თითოეული მენწყვილე მუშტს კრავს;
- მასწავლებელი განმარტავს, რომ თითოეული მოსწავლის მიზანია მისი მენწყვილის შეკრული მუშტი გახსნას. იგი უხსნის მოსწავლეებს, რომ ფიზიკური ძალის გამოყენება აკრძალულია, ხოლო ნებისმიერი სხვა ხერხი მიზნის მისაღწევად ნებადართულია. ამისათვის მათ ეძლევათ მხოლოდ 1 ნუთი;
- დანიშნული დროის გასვლის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს სავარჯიშოს შედეგებს;
- ჯერ სთხოვს ხელის აწევას მათ, ვინც შეძლო მენწყვილის მუშტის გახსნა;
- მერე სთხოვს ხელის აწევას მათ, ვინც ვერ შეძლო მენწყვილის მუშტის გახსნა;
- შემდეგ იგი სვამს კითხვას: მათგან, ვინც შეძლო მენწყვილის მუშტის გახსნა, ვის შეუძლია გვიჩვენოს ყველას, თუ როგორ მოახერხა ეს?
- ერთ-ერთი წყვილი წარმოუდგენს კლასელებს თავის შედეგს;
- ახლა მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა, რომ ზოგმა მოახერხა სავარჯიშოს შესრულება, ზოგმა კი – ვერა?
- შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს, რომლითაც მოსწავლეებს უბიძგებს ინტერესებსა და პოზიციას შორის განსხვავება უფრო მკაფიოდ დაინახონ. კერძოდ:
  - რა იყო მთავარი მათთვის, ვინც არ გახსნა მუშტი? (ერთი პასუხი თავად ასეთი მოსწავლისგან, ერთი მისი მენწყვილისგან – მინიშნება პოზიციასზე);
  - რა იყო მთავარი მათთვის, ვინც გახსნა მუშტი? (ერთი პასუხი თავად ასეთი მოსწავლისგან, ერთი მისი მენწყვილისგან – მინიშნება ინტერესზე);
- სავარჯიშოს ბოლოს მასწავლებელი მთელ კლასს უსვამს კითხვას: რით განსხვავდება ინტერესი პოზიციისგან?
- მასწავლებელი დასმულ კითხვებზე პასუხებს ჩანიშნავს დიდი ფორმატის ქაღალდზე ან დაფაზე წინასწარ მომზადებულ ცხრილში:

შედეგი	მიზეზი – მათთვის მთავარი იყო			
ვინც არ გახსნა მუშტი				
ვინც გახსნა მუშტი				

- 2-3 მოსწავლის პასუხის შემდეგ მასწავლებელი მიზეზებს შორის არსე-

ბული განსხვავების უკეთ გასააზრებლად სთავაზობს მათ გაიხსენონ შინ წინასწარ წაკითხული მოთხრობა „გულადი მეკობრის განძი“.

**აქტივობა №3 – საშინაო დავალება: მოთხრობა „გულადი მეკობრის განძის“ განხილვა ჯგუფებში.**

**მიზანი:** მოსწავლეები გაეცნობიან მოლაპარაკების ტიპებს; მოსწავლეები გააანალიზებენ ფაქტორებს, რომლებიც ახდენენ ზეგავლენას მოლაპარაკების შედეგზე (განსაკუთრებით, ინტერესები და პოზიციები);

მოსწავლეები დარწმუნდებიან პრინციპული მოლაპარაკების ეფექტურობაში;

**მასალა:** მოთხრობა „გულადი მეკობრის განძის“ ტექსტი, სამუშაო ფურცლები, კალმები.

მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ყოფს ოთხ ჯგუფად:

პირველ და მესამე ჯგუფებს გადასცემს №1 სამუშაო ფურცელს, ხოლო მეორე და მეოთხე ჯგუფებს – №2-ს. ის სთხოვს მოსწავლეებს, რომ შემდეგ გაკვეთილამდე კიდევ ერთხელ წაიკითხონ და განიხილონ მოთხრობა, სამუშაო ფურცელზე დასმული საკითხების შესაბამისად. შემდეგ გაკვეთილზე კი ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა წარმოადგინოს მათი ერთობლივი ნამუშევარი. თითოეულ ჯგუფს უხსნის სამუშაო ფურცლის შევსების ინსტრუქციას.

**სამუშაო ფურცლები:**

№ 1

კონფლიქტის მიზეზი	კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზები
ჩამოაყალიბეთ კონფლიქტის მოგვარების, თქვენი აზრით, საუკეთესო გზა. დაასაბუთეთ, რატომ მიგაჩნიათ ასე?	

№ 2

გუნდები	ამინდი (გუნდების პოზიციები და ინტერესები)	განძი რუკაზე (გუნდების პოზიციები და ინტერესები)
ლიზიკო, ნიკუშა, მაცაცო		
პაკო, კოკი, თუთა		
წარმატებით დასრულდა თუ არა მოლაპარაკება? (ამინდთან დაკავშირებით, განძთან დაკავშირებით)		
მოლაპარაკების წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი (ამინდთან დაკავშირებით, განძთან დაკავშირებით)		
თქვენი აზრით, რა არის საჭირო მოლაპარაკების წარმატებით დასრულებისთვის? პასუხი დაასაბუთეთ.		

## II გაკვეთილი



### გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები დარწმუნდებიან პრინციპული მოლაპარაკების ეფექტურობაში;
- მოსწავლეები გამოიმუშავენ მოლაპარაკების უნარ-ჩვევებსა და ენას, რაც დაეხმარება მათ ყოველდღიური კონფლიქტების თავიდან აცილება ან მართვაში.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** ასანთის 2 კოლოფი, ფერადი ქაღალდის ფურცელი, დიდი ფორმატის ქაღალდი, ფანქრები, მარკერები, სკოტჩი.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 საშინაო დავალების პრეზენტაცია და განხილვა;
- აქტივობა №2 სავარჯიშო „დარწმუნების ნიჭი“;
- აქტივობა №3 როლური თამაში „სად გავატაროთ შაბათ-კვირა.“

## გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – საშინაო დავალების პრეზენტაცია და განხილვა (10-15 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები ისწავლიან ადამიანებს შორის მსგავსი და განსხვავებული თვისებების განსაზღვრას; მოსწავლეები ისწავლიან საერთო ინტერესების დადგენასა და მოლაპარაკებისათვის მათი მნიშვნელობის განსაზღვრას.

**მასალა:** დიდი ფორმატის ქაღალდი ან დაფა, მარკერი ან ცარცი;

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს დავალების შემსრულებელი ჯგუფებიდან მოსწავლეებმა გამოყონ პრეზენტატორები. შემდეგ თანმიმდევრობით სთხოვს თითოეულს, რომ 2 წუთის განმავლობაში მათ წარმოადგინონ ჯგუფის დასკვნები (მათი სამუშაო ფურცლების შესაბამისად) და შესაბამისი არგუმენტები.

პრეზენტაციების განმავლობაში მასწავლებელი ფორმატზე ან დაფაზე წინასწარ მომზადებულ ცხრილში აკეთებს შემაჯამებელ ლაკონიურ ჩანიშვნებს:



საკითხი	ჯგუფის დასკვნა	ჯგუფის დასაბუთება
უთანხმოების მოგვარების საუკეთესო გზა		
მოლაპარაკების წარმატებისთვის საჭიროა		

დასასრულ, მასწავლებელი აჯამებს ჯგუფების ცალკეულ დასკვნებს და მოსწავლეებს სთავაზობს ახალ საგარჯიშოს.

**აქტივობა №2 – სავარჯიშო „დარწმუნების ნიჭი“ (5 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები ისწავლიან განსხვავებას პოზიციასა და ინტერესს შორის, მოსწავლეებს განუვითარდებათ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

**მასალა:** ასანთის 2 კოლოფი, ფერადი ქაღალდის პატარა ფურცელი.

**ჩატარების პროცედურა:**

- მასწავლებელი იძახებს ორ მოსწავლეს და თითოეულ მათგანს აძლევს ასანთის კოლოფს. მხოლოდ ერთში დევს პატარა ფერადი ფურცელი.
- მასწავლებელი აფრთხილებს ორივე მოსწავლეს, რომ ჩუმად გახსნან საკუთარი კოლოფები, ნახონ და კვლავ დახურონ. იგი უხსნის გამოძახებულ მოსწავლეებს, რომ თანმიმდევრობით, თითო წუთის განმავლობაში მათ თავიანთი მსჯელობით (და არავითარ შემთხვევაში, კოლოფის ჩვენებით) უნდა დაუმტკიცონ დანარჩენ თანაკლასელებს, რომ სწორედ მათ კოლოფში დევს ფერადი ფურცელი.
- მსჯელობის შეწყვეტის შემდეგ მასწავლებელი მიმართავს კლასს, რომ მათ საერთო შეთანხმებით დაასახელონ მოსწავლე, რომლის კოლოფშიც ნამდვილად დევს ფერადი ფურცელი. ამისთვის იგი აძლევს ერთ წუთს.
- თუ კლასი შეცდება, მასწავლებელი მათ „დააჯარიმებს“ (მაგ: 1 წუთი ადგილზე ხტუნვით).
- მასწავლებელი უსვამს კითხვებს მოსწავლეებს:
- ამ სავარჯიშოს შესრულების დროს ვინ მიაღწია თავის მიზანს? რის გამო?
- ამ სავარჯიშოს შესრულების დროს ვინ მოქმედებდა პოზიციაზე დაყრდნობით? ვინ მოქმედებდა ინტერესზე დაყრდნობით?

**აქტივობა №3 – როლური თამაში „სად გავატაროთ შაბათ-კვირა“ და შეჯამება (15 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები პრაქტიკულად გამოიყენებენ შეძენილ ცოდნას; მოსწავლეები გამოიმუშავენ მოლაპარაკებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებსა და მეტყვე-

ლებას, რაც დაეხმარება მათ ყოველდღიური კონფლიქტების თავიდან აცილება-სა ან მართვაში.

**ჩატარების პროცედურა:**

- მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს მოლაპარაკების საფუძვლებსა და ეტაპებს.
- შემდეგ იგი სთავაზობს მოსწავლეებს, გაითამაშონ ოჯახის ვითარება: საღამოს ოჯახის წევრები მსჯელობენ, როგორ გაატარონ ერთად დასვენების დღე.
- მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ გათამაშებისთვის საჭიროა 5 მოხალისე და მათ ექნებათ 10 წუთი.
- მოხალისე მოსწავლეების მიერ გათამაშებულ ვითარებას აკვირდებიან დანარჩენი მოსწავლეები და მასწავლებლის თხოვნით, ინიშნავენ თავიანთ რვეულებში საკუთარ პასუხებს შემდეგ კითხვებზე:
  - რა ინტერესები და პოზიციები ჰქონდა „ოჯახის“ თითოეულ წევრს?
  - რა გზა აირჩიეს მათ შეთანხმებისთვის?
  - მოახერხეს თუ არა მათ შეთანხმების მიღწევა?
  - რამ შეუწყო (ან შეუშალა) ხელი ოჯახის წევრების მოლაპარაკებას?

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

წაიკითხეთ მოთხრობა „ჯადოქრობა ყველას უნდა.“ განსაზღვრეთ:

- ვისა და ვის შორის წარმოიშვა უთანხმოება?
- თითოეული მხარის ნამდვილი საჭიროებები და სურვილები;
- თითოეული მხარის განცხადებები, რომელთა გამოც გაღრმავდა უთანხმოება;
- რამდენად ზუსტად გამოხატავდა ეს განცხადებები მხარეების ნამდვილ საჭიროებებსა და სურვილებს?

გადაიხაზეთ ცხრილი რვეულში და ჩანერეთ მასში ჩამოთვლილ საკითხებზე თქვენი პასუხები. ეს შემდეგ გაკვეთილზე დაგჭირდებათ.

უთანხმოების მხარეები	მხარეთა განცხადებები	მხარეთა ნამდვილი საჭიროებები და სურვილები	რამდენად გამოხატავს განცხადება საჭიროებას

**მოთხრობა:** „ჯადოქრობა ყველას უნდა“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

**შუამავლობა (მედიაცია)** არის ისეთი ადამიანის მოქმედება, რომელიც ცდილობს დაეხმაროს მხარეებს უთანხმოების მოგვარებასა და შეთანხმების მიღწევაში; შუამავალი ასრულებს მოლაპარაკების მწარმოებლისა და მშვიდობისმყოფელის როლს კონფლიქტში მყოფ მხარეთა შორის.

როგორც წესი, კონფლიქტი ვითარდება ყველა სოციალურ ურთიერთობაში. კონფლიქტი ხდება ყველანაირ საზოგადოებაში – ოჯახიდან დანწყებული, სახელმწიფოთი დამთავრებული და მისი მოგვარებაც ზეგავლენას ახდენს ამა თუ იმ კონკრეტულ საზოგადოებაზე. კონფლიქტის მოგვარება დამოკიდებულია მასში მონაწილე მხარეთა სურვილსა და მათ ძალისხმევაზე. თუმცა, კონფლიქტის წარმატებული მართვისა და მოგვარებისთვის საჭიროა მოლაპარაკების პროცესის თავისებურებების ცოდნა. შუამავლობის (მედიაციის) პროცესის წარმოჩენით, ჩვენი მიზანია უზრუნველყოთ კონფლიქტის მოგვარების უნარ-ჩვევების, სტრატეგიებისა და ახალი მიდგომების სწავლება.

**შუამავლობა (მედიაცია)** წარმოადგენს მესამე მხარის ჩარევას კონფლიქტის მოგვარებაში. შუამავლობის (მედიაციის) დროს მესამე მხარე ეხმარება კონფლიქტში მყოფ მხარეებს, მოილაპარაკონ და მიაღწიონ შეთანხმებას, იმავდროულად, ჰქონდეთ ამ შეთანხმების მიღების ან უარყოფის არჩევანი. შუამავლობა (მედიაცია) ეხმარება მხარეებს საერთო ნიადაგის პოვნაში, თანაგრძნობის განვითარებასა და შესაძლო შეთანხმების მიღწევაში.

შუამავლობის (მედიაციის) ეფექტურობა დამოკიდებულია შუამავლის (მედიატორის) უნარზე შეასრულოს ეს როლი. შუამავლობის (მედიაციის) წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს:

- შუამავლის (მედიატორის) კრიტიკული აზროვნების უნარი;
- კონფლიქტში მყოფი მხარეების მისდამი ნდობა – რამდენად ობიექტურ პიროვნებად მიაჩნიათ იგი მოცემულ შემთხვევაში.

**შუამავლობა (მედიაცია) არის:**

- ნებაყოფლობითი (ორივე/ყველა მხარეს აქვს მონაწილეობის სურვილი):

- თანამშრომლობაზე დამყარებული (შუამავლის დახმარებით, მხარეები ცდილობენ დავის მოგვარებას):
- კონტროლირებადი (მხარეები, და არა შუამავალი (მედიატორი), იღებენ გადაწყვეტილებას და აკონტროლებენ შუამავლობის (მედიაციის) პროცესს):
- შემოქმედებითი (შუამავლობა (მედიაცია) ქმნის დავის შემოქმედებითად გადაჭრის შესაძლებლობას).

კონფლიქტების შუამავლობის (მედიაციის) გზით მოგვარება შესაძლებელია, როდესაც მხარეები მზად არიან მოლაპარაკებისთვის და სურთ შეთანხმების მიღწევა. შუამავლობა (მედიაცია) განსაკუთრებულად მაშინ არის წარმატებული, როდესაც მხარეებს გააჩნიათ კონფლიქტის მოგვარების საერთო ინტერესი და თუ მათი ურთიერთობა მომავალშიც გრძელდება.

### **შუამავლობის (მედიაციის) დროს:**

1. ყველა მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი მოსაზრება (თვალსაზრისი) და განსაზღვროს ძირითადი პრობლემა.
2. შუამავალი (მედიატორი) ხელს უწყობს მხარეთა შორის დიალოგს, რათა დაეხმაროს მათ უკეთ გაიგონ ერთმანეთის მოსაზრებები და პრეტენზიები.
3. ზოგჯერ შუამავალი (მედიატორი) შეიძლება ცალ-ცალკეც შეხვდეს მხარეებს. ეს აძლევს მათ შესაძლებლობას, გაუზიარონ შუამავალს (მედიატორს) თავიანთი მიზნები და აზრები ისე, რომ არ გამოააშკარავონ ეს მეორე მხარესთან.
4. მხარეები ცდილობენ შეიმუშავონ პრობლემის შესაძლო გადაჭრის გზები, ბოლოს დაადგინონ და აირჩიონ განხილულებს შორის ყველაზე მეტად მისაღები ვარიანტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამავლები (მედიატორები) ასრულებენ მხარეებს შორის ურთიერთობის დამამყარებლის როლს; მათი მიზანი არ არის მზა რეცეპტების შეთავაზება ანდა მხარეთა იძულება, რომ შეასრულონ ეს რეცეპტები. შუამავლებს (მედიატორებს) არ გააჩნიათ მხარეების იძულების უფლებამოსილება. პირიქით, ისინი მუშაობენ ყველა მოდავე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მისაღებად.

შუამავლის (მედიატორის) წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მხარეთა მზაობასა და უნარზე, მიაღწიონ კონსენსუსს. თუ მხარეებს არ გააჩნიათ ლავირების უნარი (არა აქვთ მოქნილი აზროვნების უნარი) და თუკი ისინი მიიჩნევენ, რომ მათი პოზიციები საბოლოოა, ამ დროს შეიძლება მიზანშეწონილი არ იყოს შუამავლობის (მედიაციის) გამოყენება.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები უკეთ აცნობიერებენ კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობას ყოველდღიურ სიტუაციებში;
- მოსწავლეები სწავლობენ შუამავლობის (მედიაციის) პროცესს და კონფლიქტის მოგვარებისათვის მისი გამოყენების წესებს;
- მოსწავლეები შუამავლობის (მედიაციის) და პრობლემის სხვა გზებით გადაჭრის შედეგების შედარების საფუძველზე განსაზღვრავენ შუამავლობის (მედიაციის) მნიშვნელობას კონფლიქტის მოგვარებაში.

**I ბაკვეთილი**

**მოთხრობა:** „ჯადოქრობა ყველას უნდა.“

**ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები უკეთ გააცნობიერებენ კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობას ყოველდღიურ სიტუაციებში;
- მოსწავლეები გაეცნობიან შუამავლობის (მედიაციის) პროცესს და კონფლიქტის მოგვარებისათვის მისი გამოყენების წესებს.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მოთხრობის „ჯადოქრობა ყველას უნდა“ ტექსტი; მასწავლებლის მიერ მომზადებული ოთხი სამუშაო ფურცელი (ქვ. ნიმუშების მიხედვით); დიდი ფორმატის ქაღალდი, ფანქრები, მარკერები, სკოტჩი;

**აქტივობები:**

- აქტივობა № 1 – სავარჯიშო „გაცვალეთ ადგილები მათ, ვინც...“
- აქტივობა № 2 – საშინაო დავალების განხილვა;
- აქტივობა № 3 – შეჯამება.

**ბაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა №1 – სავარჯიშო „გაცვალეთ ადგილები მათ, ვინც...“ (10 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები თვალნათლივ დაინახავენ მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას; მოსწავლეებს უძლიერდებათ მოტივაცია.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი დგება საკლასო ოთახის თავისუფალი ადგილის ცენტრში და მოსწავლეებს უხსნის საფარჯიმოს წესს: „ახლა ვიტყვი წინადადებას და ის მოსწავლეები, რომელთაც იგი ეხება უნდა ადგნენ და სწრაფად გაცვალონ ადგილები. რომელთაც ეს წინადადება არ ეხება, უნდა დარჩნენ თავიანთ ადგილებზე“; მასწავლებელი პირველ 2-3 წინადადებას ამბობს თვითონ, მაგალითად: „გაცვალეთ ადგილები, ვისაც გყავთ ძმა“, „გაცვალეთ ადგილები, ვინც დღეს აქ მოხვედით. როდესაც მასწავლებელი დარწმუნდება, რომ ბავშვებმა თამაშის წესი კარგად გაიგეს, ადგილების მორიგი გაცვლისას დაიკავებს ერთ-ერთი მოსწავლის ადგილს. შესაბამისად, უადგილოდ დარჩენილი მოსწავლე ხდება წამყვანი.

ბოლოს მასწავლებელი აჯამებს საფარჯიმოს: ჯერ მოსწავლეებს შეეკითხება, თუ რა დასკვნა გამოიტანეს მათ, ხოლო შემდეგ განუმარტავს, რომ თითოეულ მათგანს ძალიან ბევრი აქვს საერთოც და განსხვავებულიც.

**აქტივობა № 2 – საშინაო დავალების განხილვა (15 წთ.).**

**მიზანი:** კონფლიქტისა და მისი მიზეზების განსაზღვრა; მოსწავლეები გაეცნობიან შუამავლობის (მედიაციის) პროცესს და კონფლიქტის მოგვარებისათვის მისი გამოყენების პირობებს;

**მასალა:** დიდი ფორმატის ქაღალდი ან დაფა, მარკერი ან ცარცი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს მსურველ მოსწავლეებს, წარმოადგინონ საშინაო დავალებაში გაკეთებული დასკვნები. შემდეგ თანმიმდევრობით სთხოვს თითოეულს, რომ 1 წუთის განმავლობაში მათ წარმოადგინონ ჯგუფის დასკვნები (მათი სამუშაო ფურცლების შესაბამისად) და შესაბამისი არგუმენტები.

პრეზენტაციების განმავლობაში მასწავლებელი ფორმატზე ან დაფაზე წინასწარ მომზადებულ ცხრილში აკეთებს შემაჯამებელ ლაკონიურ ჩანიშვნებს:

უთანხმოების მხარეები	მხარეთა განცხადებები	მხარეთა ნამდვილი საჭიროებები და სურვილები	რამდენად გამოხატავს განცხადება საჭიროებას

**აქტივობა № 3 – შეჯამება (10 წთ.).**

მასწავლებელი აჯამებს ჯგუფების დასკვნებს. მასწავლებელი მოკლედ უხსნის მოსწავლეებს, რომ ხანდახან კონფლიქტის მოგვარებისას დაპირისპირებული მხა-

რეები სხვას მიმართავენ დასახმარებლად, რადგან თავად ვერ ახერხებენ მოლაპარაკებას. ასეთ ადამიანს, რომელიც ეხმარება დაპირისპირებულ მხარეებს შეთანხმების მიღწევაში, შუამავალი ეწოდება.

### მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:

გაიხსენონ საკუთარი გამოცდილებიდან (ნანახი, მოსმენილი) შემთხვევა, როდესაც მოლაპარაკებას წარმართავდა შუამავალი და წერილობით მოკლედ აღწერონ ეს შემთხვევა.

## II ბაკვეთილი



### ბაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები სწავლობენ შუამავლობის (მედიაციის) პროცესს და კონფლიქტის მოგვარებისათვის მისი გამოყენების პირობებს;
- მოსწავლეები შუამავლობის (მედიაციის) და პრობლემის სხვა გზებით გადაჭრის შედეგების შედარების საფუძველზე განსაზღვრავენ შუამავლობის მნიშვნელობას კონფლიქტის მოგვარებაში.



**მიცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მასწავლებლის მომზადებული სამუშაო ფურცლები, დიდი ფორმატის ქაღალდი, ფანქრები, მარკერები, სკოტჩი, გრძელი მსუბუქი ჯოხი (1 ან 2 ცალი).



### აქტივობები:

- აქტივობა № 1 – საშინაო დავალების განხილვა;
- აქტივობა № 2 – სავარჯიშო „წონასწორობა“;
- აქტივობა № 3 – შეჯამება.

## ბაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა № 1 – საშინაო დავალების განხილვა (15 წთ.).

**მიზანი:** მოსწავლეები ისწავლიან საერთო ინტერესების დადგენასა და მოლაპარაკებისათვის მათი მნიშვნელობის განსაზღვრას. მოსწავლეები შუამავლობის (მედიაციის) და პრობლემის სხვა გზებით გადაჭრის შედეგების შედარების საფუძველზე განსაზღვრავენ შუამავლობის მნიშვნელობას კონფლიქტის მოგვარებაში.

**მასალა:** დიდი ფორმატის ქაღალდი ან დაფა, მარკერი ან ცარცი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს მსურველებს მოკლედ (1-2 წუთის განმავლობაში) წარმოადგინონ საშინაო დავალებაში აღწერილი შემ-

თხვევები. შემდეგ შერჩევით, თანმიმდევრობით გამოიძახებს 3-4 მოსწავლეს და მათი მონათხრობის საფუძველზე აკეთებს ჩანიშვნებს დიდი ფორმატის ქაღალდზე ან დაფაზე წინასწარ მომზადებულ ცხრილში. საჭიროების შემთხვევაში აძლევს გამოსულ მოსწავლეს დამაზუსტებელ შეკითხვებს.

უთანხმოების მხარეები	მხარეთა განცხადებები	მხარეთა ნამდვილი საჭიროებები და სურვილები	უთანხმოების მოგვარების არჩეული გზა	შუამავალი (თუკი იყო)	შუამავლის მოქმედება, გამონათქვამი	კონფლიქტის მოგვარების შედეგი

დასასრულ, მასწავლებელი აჯამებს ჯგუფების ცალკეულ დასკვნებს და მოსწავლეებს სთავაზობს ახალ სავარჯიშოს.

**აქტივობა №2 – სავარჯიშო „წონასწორობა“ (10 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები დარწმუნდებიან ურთიერთდობის სასარგებლო შედეგებში; ისწავლიან კონფლიქტის მოგვარებისათვის შუამავლობის გამოყენების წესებს.

**მასალა:** გრძელი მსუბუქი ჯოხი (1 ან 2).

**ჩატარების პროცედურა:** ჯერ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ორ რიგად გადანანილდნენ და ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. შემდეგ მათ სთხოვს, წინ გამოსწიონ ორივე ხელი, შეკრან მუშტები და მხოლოდ საჩვენებელი თითები გაშალონ.

იგი ერთ-ერთი მოსწავლის დახმარებით ბავშვების გამოწეულ საჩვენებელ თითებზე დებს გრძელ და მსუბუქ ჯოხს (ან ჯოხებს). მასწავლებელი აძლევს დავალებას, რომ ყველამ (ორივე რიგის ბავშვებმა) ნელ-ნელა დაუშვას ჯოხი დაბლა და იატაკზე დადოს ისე, რომ ჯოხი არ გადმოვარდეს.

მასწავლებელი ახალისებს მოსწავლეებს, რომ მათ წარმატებით შეასრულონ ეს დავალება და დარწმუნდნენ ურთიერთდობის სიკეთესა და საკუთარ შესაძლებლობებში.

**აქტივობა № 3 – შეჯამება (10 წთ.).**

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოკლედ შეაჯამებს მთელი კლასის მოსაზრებებს და გამოყოფს მსგავსებებს (ძირითადად, მინიშნება მოხდება მიზეზებსა და შუამავლებზე);



- მხოლოდ შუამავლის პირადი თვისებებია საკმარისი შეთანხმების მისაღწევად? თუ არა, მაშინ,
- კიდევ რა არის საჭირო წარმატებული შუამავლობისთვის?

# თემა 9 შერიგება

**მოთხრობა:** „მოდი, შევრიგდეთ!“


**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

**შერიგება** ნიშნავს ორ ან მეტ ადამიანს შორის არსებული უარყოფითი ურთიერთობის გაუმჯობესებას და/ან თბილი (გულითადი) ურთიერთობის აღდგენას.

**შერიგება სოციალური პროცესია**, რომელიც მოიცავს მხარეების მიერ წარსულში ერთმანეთისთვის მიყენებული ტკივილის აღიარებას და დესტრუქციული დამოკიდებულებისა და საქციელის კონსტრუქციული ურთიერთობით ჩანაცვლებას.

შერიგება წარმოადგენს მნიშვნელოვან იარაღს კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში. კონფლიქტის მხარეთა ცხოვრება ყოველთვის დაკავშირებულია ერთმანეთთან. შერიგების პროცესი ამ ურთიერთკავშირს კიდევ უფრო აძლიერებს და ორმხრივად სასარგებლოს ხდის. შერიგება ხდება მაშინ, როდესაც კონფლიქტის მხარეები აყალიბებენ ახალი სახის ურთიერთობას, რომელიც დაფუძნებულია წარსულში მომხდარი უსიამოვნების გამო ბოდიშის მოხდაზე, მიტევებასა და ურთიერთნდობის განვითარებაზე. შერიგება ეფუძნება სიმართლის, პატიების, სამართლიანობისა და მშვიდობის პრინციპებს.



შერიგება მოიცავს ზემოთ მოყვანილ ოთხივე კომპონენტს. შერიგებისას ადამიანები აღადგენენ ურთიერთობას წარსული შეცდომების (ტკივილის) მიტევების გზით და ახალი, მშვიდობიანი, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის შენებით.

**შერიგება არის მიზანიც (მისაღწევია) და პროცესიც (სხვადასხვა ეტაპები და საშუალებები მიზნის მისაღწევად).** შერიგების არსის ჩვენება ნათელს ხდის პატიებისა და გულმონყალების საჭიროებას და ხაზს უსვამს შერიგების მნიშვნელობას კონფლიქტში ჩაბმული ინდივიდებისა და თემებისათვის.

დაპირისპირების აღმოსაფხვრელად ყველა მხარემ თანაბრად და ინტენსიურად უნდა მიიღოს მონაწილეობა კონფლიქტის გადაჭრის პროცესში (იმისათვის, რომ წარსულში არსებული წყენა და სიძულვილი ნდობითა და მეგობრობით შეიცვალოს). შერიგება, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდებთან არის დაკავშირებული. ადამიანებისთვის შერიგების ინიციატივის თავს მოხვევა მიუღებელია. იმისათვის, რომ შერიგება წარმატებულად წარიმართოს, პირველ რიგში კონფლიქტის მხარეებმა უნდა გააანალიზონ, ნამდვილად სურთ თუ არა აპატიონ მოწინააღმდეგეს და მზად არიან თუ არა შერიგების პროცესის დასაწყებად.

**სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება შერიგების პროცესის შემდეგ ეტაპებზე:**

1. არაძალისმიერი თანაარსებობის მიღწევა – ეს პროცესი იწყება მაშინ, როდესაც მხარეები შურისძიების ნაცვლად ალტერნატიულ გზას ეძებენ;
2. ერთმანეთის მიმართ შიშის ფაქტორის მოხსნა და ნდობისა და რწმენის განვითარება;
3. ურთიერთთანაგრძნობის ჩამოყალიბება.

**შერიგება, როგორც კონფლიქტის მოგვარების/ტრანსფორმაციის გზა, მოიცავს შემდეგ ელემენტებს:**

- ორივე მხარის მიერ წარსულში მოწინააღმდეგე მხარისთვის მიყენებული ზიანის გაანალიზება და აღიარება;
- გულწრფელი სინანულის განვითარება მიყენებული ზიანისათვის;
- კონფლიქტის მხარეების მზაობა იმისათვის, რომ ბოლოში მოიხადონ წარსულში ერთმანეთისთვის მიყენებული ზიანის გამო;
- კონფლიქტის მხარეების მზაობა იმისათვის, რომ „დავიწყონ“ ის მრისხანება და წყენა, რომელიც მათ კონფლიქტმა მიაყენა;
- შეურაცხმყოფელი მხარის მზადყოფნა იმისათვის, რომ მომავალში აღარ გაიმეოროს ასეთი საქციელი;
- ახალი, ორივე მხარისათვის საჭირო და სასარგებლო ურთიერთობის დამყარება.

შერიგება წარმოადგენს ნებაყოფლობით ინიციატივას, რომლის დროსაც კონფლიქტის მხარეები აღიარებენ საკუთარ პასუხისმგებლობასა და პოტენციურ ბრალეულობას. შერიგების პროცესი არის მხარეთა შორის დიალოგი პასუხისმგებლობის შესახებ და თითოეული მხარისგან მოითხოვს საკუთარი საქციელის პატიოსნად და კრიტიკულად შეფასების უნარს.

ჩვენი მიზანია, ბავშვებმა ისწავლონ პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზის ძიება. შერიგება იოლად და სწრაფად არ ხდება, მაგრამ იგი წარმოადგენს ორივე მხარისათვის სასარგებლო ინიციატივას.

### სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები ისწავლიან პატიებასა და შერიგებას;
- მოსწავლეები გაიგებენ, რომ შერიგება ურთიერთსასარგებლო პროცესია;
- მოსწავლეები ისწავლიან, თუ შერიგების გზით როგორ გადააქციონ კონფლიქტი სასარგებლო გამოცდილებად;
- მოსწავლეები ისწავლიან კრიტიკული აზროვნების გამოყენებას შერიგების პროცესში;
- მოსწავლეები გაიგებენ, რომ შერიგება მნიშვნელოვნად ამცირებს კონფლიქტის განახლების შანსს;
- მოსწავლეები შეძლებენ კონფლიქტის შედეგად მიღებული წყენის დავინყებას, ურთიერთნდობის დამკვიდრებას და მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევას;
- მოსწავლეები გაიგებენ, რომ სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები, ღირებულებები, რწმენა გააჩნიათ და ამ განსხვავებების პატივისცემა მნიშვნელოვანია.

## I ბაკვეთილი

**მოთხრობა:** „მოდი, შერიგდეთ!“



### ბაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები ისწავლიან, თუ შერიგების გზით როგორ გადააქციონ კონფლიქტი ურთიერთსასარგებლო გამოცდილებად;
- მოსწავლეები ისწავლიან კრიტიკული აზროვნების გამოყენებას შერიგების პროცესში;
- მოსწავლეები გაიგებენ, რომ სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები, ღირებულებები, რწმენა გააჩნიათ და ამ განსხვავებების პატივისცემა მნიშვნელოვანია.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მოთხრობის „მოდი, შევერიგდეთ!“ ტექსტი; დიდი ფორმატის ქაღალდი, ფანქრები, მარკერები, სკოტჩი.



**აქტივობები:**

- **აქტივობა №1** – შერიგების განსაზღვრა;
- **აქტივობა №2** – მოთხრობის „მოდი, შევერიგდეთ!“ 1-ლი ნაწილის წაკითხვა/მოსმენა;
- **აქტივობა №3** – სავარჯიშო „ვიპოვოთ გამოსავალი“;
- **აქტივობა №4** – მოთხრობის „მოდი, შევერიგდეთ!“ მე-2 ნაწილის წაკითხვა/მოსმენა;
- **აქტივობა №5** – საშინაო დავალება.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა № 1 – შერიგების განსაზღვრა (5 წთ.).**

**მასალები:** დიდი ფორმატის ქაღალდზე გადატანილი შერიგების სქემა (იხ. მოსწავლის და მოსწავლეობის წიგნები).

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რას ნიშნავს შერიგება. იგი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, დასჭირდათ თუ არა „ჩვენი ეზოს“ გმირებს შერიგება პრობლემის ერთობლივად გადაჭრისას. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ისინი შეისწავლიან, როგორ ხდება შერიგება (იყენებს წინასწარ მომზადებულ სქემას, რომელიც დიდი ფორმატის ქაღალდზეა გადატანილი) და განსაზღვრავენ, თუ რა დადებითი შედეგი მოაქვს შერიგებას პრობლემის გადასაჭრელად.

**აქტივობა № 2 – მოთხრობის „მოდი, შევერიგდეთ!“ 1-ლი ნაწილის წაკითხვა/მოსმენა (10 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები ისწავლიან კრიტიკული აზროვნების გამოყენებას შერიგების პროცესში; მოსწავლეები გაიგებენ, რომ სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები, ღირებულებები, რწმენა გააჩნიათ და ამ განსხვავებების პატივისცემა მნიშვნელოვანია.

**მასალები:** მოთხრობის „მოდი, შევერიგდეთ!“ ტექსტი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი იწყებს მოთხრობის კითხვას და მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებზე.

**აქტივობა № 3 – სავარჯიშო „ვიპოვით გამოსავალი“ (15 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები ისწავლიან კრიტიკული აზროვნების გამოყენებას შერიგების პროცესში; მოსწავლეები ისწავლიან, თუ შერიგების გზით როგორ გადააქციონ კონფლიქტი ურთიერთსასარგებლო გამოცდილებად.

**მასალები:** მოთხრობის „მოდის, შევრიგდეთ!“ ტექსტის 1-ელ ნაწილთან დასმული კითხვები.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს წყვილებად; მასწავლებელი განმარტავს, რომ თითოეული წყვილის მიზანია, ერთად ჩამოაყალიბოს ნიკუშას დასკვნა დასრულებული სახით, ანუ დაადგინოს, რა არის შერიგების საუკეთესო გზა; ამასთანავე, მასწავლებელი სთხოვს წყვილებს, მოიფიქრონ, როგორ შეიძლება მოგვარდეს ლიზიკოს და მაცაცოს პრობლემა, შემდეგ კი გააცნონ ეს თანაკლასელებს.

მოსაფიქრებლად გამოყოფილი დროის ამონურვის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს 5-6 წყვილს წარმოადგინონ თავიანთი ვერსია; მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს სავარჯიშოს შედეგებს: მას დაფაზე აღნიშნული აქვს გამოკითხული წყვილების „რჩევები“ და მთელ კლასს სთხოვს, თითოეულის ერთგვარი შეფასება მოახდინონ ხმის მიცემით. რამდენი მხარდამჭერიც ეყოლება ამა თუ იმ ვერსიას, მასწავლებელი მათ იმდენ გაღიმებულ სახეს მიუხატავს დაფაზე; ამგვარი გზით მასწავლებელი გამოავლენს კლასის მიერ მონონებულ საუკეთესო გამოსავალს;

**აქტივობა № 4 – მოთხრობის „მოდის, შევრიგდეთ!“ მე-2 ნაწილის წაკითხვა (10 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები გაიგებენ, თუ შერიგების გზით როგორ გადააქციონ კონფლიქტი ურთიერთსასარგებლო გამოცდილებად; მოსწავლეები გაიგებენ, რომ სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები, ღირებულებები, რწმენა გააჩნიათ და ამ განსხვავებების პატივისცემა მნიშვნელოვანია.

**მასალები:** მოთხრობის „მოდის, შევრიგდეთ!“ ტექსტი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი აგრძელებს მოთხრობის კითხვას და მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს გაკვეთილის მიზნებთან დაკავშირებულ საკვანძო მომენტებზე.

**აქტივობა № 5 – საშინაო დავალება: მოთხრობის განხილვა ჯგუფებში – „ნაბიჯ-ნაბიჯ“.**

**მიზანი:** მოსწავლეები ისწავლიან, თუ შერიგების გზით როგორ გადააქციონ კონფლიქტი სასარგებლო გამოცდილებად; მოსწავლეები ისწავლიან კრიტიკული აზროვნების გამოყენებას შერიგების პროცესში.

**მასალები:** მოთხრობის „მოდი, შევრიგდეთ!“ ტექსტი, სამუშაო ცხრილები, კალმები.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ყოფს ოთხ ჯგუფად, სთხოვს, შემდეგ გაკვეთილამდე კიდევ ერთხელ წაიკითხონ და განიხილონ მოთხრობა მოსწავლის წიგნში მოცემული ცხრილის შესაბამისად. უხსნის, რომ ჯგუფებში მსჯელობის შედეგად, მოსწავლეებმა თანმიმდევრობით უნდა ჩამოაყალიბონ ის ნაბიჯები/მოქმედებები, რაც გაიარეს ლიზიკომ და მაცაცომ შერიგების გზაზე. მოსწავლეებმა ეს უნდა ჩაწერონ სახელმძღვანელოდან გადმოხაზულ ცხრილში.

ნაბიჯები	რა ნაბიჯები გადადგეს ლიზიკომ და მაცაცომ შესარიგებლად
1	
2	
3	
4	
5	

ცხრილის შეთანხმებულად შევსების შემდეგ კი იმავე ფურცელზე მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი (ჯგუფის) დასკვნა კითხვაზე: ვისთვის და რისთვის არის კარგი შერიგება? შემდეგ გაკვეთილზე ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა უნდა წარმოადგინოს ერთობლივი ნამუშევარი.

## II გაკვეთილი



### გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები ისწავლიან პატიებასა და შერიგებას;
- მოსწავლეები გაიგებენ, რომ შერიგება ორივე მხარისთვის სასარგებლო პროცესია;
- მოსწავლეები ისწავლიან კრიტიკული აზროვნების გამოყენებას შერიგების პროცესში;
- მოსწავლეები გაიგებენ, რომ შერიგება მნიშვნელოვნად ამცირებს კონფლიქტის განახლების შანსს.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მოსწავლის წიგნი, დაფა, დიდი ფორმატის ქაღალდი, ფანქრები, მარკერები, ცარცი, სკოტჩი.



### აქტივობები:

- აქტივობა № 1 საშინაო დავალების პრეზენტაცია და განხილვა;
- აქტივობა № 2 სავარჯიშო „რას მაგონებს შერიგება“;
- აქტივობა № 3 სავარჯიშო „მკლავჭიდი“;
- აქტივობა № 4 სავარჯიშო „გაუნოდე ხელი“.

## ბაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა № 1 – საშინაო დავალების პრეზენტაცია და განხილვა (10-12 წთ.).

**მიზანი:** მოსწავლეები გაიგებენ, რომ შერიგება ორივე მხარისთვის სასარგებლო პროცესია; მოსწავლეები ისწავლიან კრიტიკული აზროვნების გამოყენებას შერიგების პროცესში.

**მასალები:** დიდი ფორმატის ქაღალდი ან დაფა, მარკერი ან ცარცი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს დავალების შემსრულებელი ჯგუფებიდან მოსწავლეებმა გამოყონ პრეზენტატორები. შემდეგ თანმიმდევრობით სთხოვს თითოეულს, რომ 2 წუთის განმავლობაში მათ წარმოადგინონ ჯგუფის დასკვნები (მათი სამუშაო ფურცლების მიხედვით) და შესაბამისი არგუმენტები.

პრეზენტაციების განმავლობაში მასწავლებელი ფორმატზე ან დაფაზე წინასწარ მომზადებულ ცხრილში აკეთებს შემაჯამებელ ლაკონიურ ჩანიშვნებს:

ნაბიჯები	რა ნაბიჯები გადადგეს ლიზიკომ და მაცაცომ შესარიგებლად
1	
2	
3	
4	
5	

დასასრულ, მასწავლებელი აჯამებს ჯგუფების ცალკეულ დასკვნებს და მოსწავლეებს ახსენებს შერიგების ორმხრივი მოძრაობის წესებს.

### შერიგების ორმხრივი მოძრაობის წესები:

- აღიარება;
- სინანული;
- ბოდიშის მოხდა;
- წყენისა და გაბრაზების დავინყება;

- დაპირება, რომ აღარ გაიმეორებენ ასეთ საქციელს;
- ახალი – ორივე მხარისთვის სასარგებლო ურთიერთობის დამყარება.

### **აქტივობა № 2 – სავარჯიშო „რას მაგონებს შერიგება“ (15 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები გაიგებენ, რომ შერიგება ორივე მხარისთვის სასარგებლო პროცესია; მოსწავლეები ისწავლიან შემოქმედებითი აზროვნების გამოყენებას შერიგების პროცესში.

**მასალები:** მოსწავლის წიგნის ილუსტრაცია, დაფა, ცარცი ან მარკერი.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ყოფს კლასს 4-5 ჯგუფად; მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კარგად დააკვირდნენ მათ წიგნში მოცემულ ორნაწილიან სურათს, შემდეგ ჯგუფებში წაიკითხონ იქვე დასმული კითხვები და ერთობლივად შეთანხმდნენ პასუხებზე, რომელსაც ცალკე ფურცელზე ჩამოწერენ. ამისათვის მასწავლებელი გამოყოფს 5 წუთს.

შემდეგ მასწავლებელი რიგრიგობით სთხოვს ჯგუფებიდან თითო წარმომადგენელს, რომ გააცნონ კლასს საკუთარი პასუხები. ამასობაში, თვითონ დაფაზე ინიშნავს მათ პასუხებს; მასწავლებელი აჯამებს ჯგუფების მოსაზრებებს და სთავაზობს ჯგუფებს, რომ თავად შექმნან შერიგების აღმნიშვნელი სიმბოლო – ნახატი. ამისათვის მასწავლებელი გამოყოფს 5 წუთს; მასწავლებელი სთხოვს ყველა ჯგუფს, რომ დაფაზე გააკრან საკუთარი სიმბოლოები.

### **აქტივობა № 3 – სავარჯიშო „მკლავჭიდი“ (10 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები ისწავლიან პატიებასა და შერიგებას; მოსწავლეები გაიგებენ, რომ შერიგება ორივე მხარისთვის სასარგებლო პროცესია; მოსწავლეები ისწავლიან საერთო ინტერესების დადგენასა და მათი მნიშვნელობის განსაზღვრას.

**მასალები:** გამარჯვებული მოსწავლეებისათვის პირობითი წამახალისებელი პრიზები (ჯობს მცირე პრიზები, მაგრამ დიდი რაოდენობის).

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს პირისპირ დასხდნენ და მკლავჭიდულებივით ხელები გადააჭდონ. მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ თითოეულის მიზანია 2-3 წუთის განმავლობაში რაც შეიძლება მეტი პრიზი მოიპოვოს, რომელსაც მეტოქის მკლავის ყოველი გადანევისთვის მიიღებს; შემდეგ მასწავლებელი აძლევს დაწყების ნიშანს;

როგორც წესი, მიმდინარეობს ხანგრძლივი ჭიდილი გამარჯვებისათვის. საზრიანები მოგვიანებით ხვდებიან, რომ ჭიდილში მეტოქეები კარგავენ დროს და ამიტომ რიგრიგობით უწევენ ერთმანეთს ხელს; თუ მასწავლებელი ატყობს, რომ მოსწავლეთა ნახევარზე მეტი მაინც მორევის პრინციპით აგრძელებს შეჯიბრს,



იმეორებს სავარჯიშოს. თუმცა, დაწყებამდე იგი აფრთხილებს მათ, დაფიქრდნენ, როგორ შეუძლიათ უფრო მეტი პრიზის მოპოვება;

სავარჯიშოს დასრულებისას მასწავლებელი კლასს განხილვისთვის უსვამს კითხვებს:

- რა საერთოს ხედავთ ამ სავარჯიშოსა და მოთხრობას „მოდი, შევრიგდეთ!“ შორის?
- ამ სავარჯიშოდან რა დასკვნა გამოიტანეთ: როგორი ურთიერთობაა მომგებიანი?
- მოთხრობის „მოდი, შევრიგდეთ!“ გმირებმა როდის გამოიტანეს ასეთი დასკვნა?

შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, პრაქტიკულად კიდეც გამოსცადონ შეძენილი ცოდნა ცხოვრებისეულ მაგალითზე.

#### აქტივობა № 4 – სავარჯიშო „გაუნოდე ხელი“ (15 წთ.).

**მიზანი:** მოსწავლეები პრაქტიკულად გამოიყენებენ შეძენილ ცოდნას.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს წყვილებად და განუმარტავს სავარჯიშოს წესებს; ერთი მენყვილე ჯდება იატაკზე, ხოლო მეორე მის პირდაპირ დგება. თითოეულ მათგანს თავი უნდა ეჭიროს სწორად, ამოძრავებდეს მხოლოდ თვალებს და ასეთ მდგომარეობაში აღწეროს, თუ რას ხედავს გარშემო; შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მათ, რომ ყოველმა წყვილმა წამოდგომის, ჩაკუზვისა და მოხრის გარეშე ერთმანეთს ხელი გაუნოდოს და დარჩეს ამ მდგომარეობაში; როგორც კი შეატყობს, რომ მოსწავლეებს ხელი დაეღალათ და გაღიზიანდნენ, მასწავლებელი ასრულებს სავარჯიშოს.

შემდეგ შერჩევით ეკითხება მოსწავლეებს: რამდენ ხანს გეყოთ მოთმინება? როგორ ფიქრობთ, რას გრძნობდა თქვენი მენყვილე? უმეტესად, გაღიზიანების ფონზე, პასუხებში იკვეთება განწყობილება, რომ მოსწავლეებს ერთი სული აქვთ, როდის განცალკევდებიან; მასწავლებელი ახლა მენყვილეებს სთხოვს ადგილებს გაცვლას და იმეორებს სავარჯიშოს 2-3 წუთის განმავლობაში. სავარჯიშოს დასრულებისას მასწავლებელი კლასს განხილვისთვის უსვამს კითხვებს:

- ამ სავარჯიშოდან რა დასკვნა გამოიტანეთ?
- რა საერთოს ხედავთ ამ სავარჯიშოსა და მოთხრობას „მოდი, შევრიგდეთ!“ შორის?
- მოთხრობის „მოდი, შევრიგდეთ!“ გმირებმა როგორი ურთიერთობა ვერ დაამყარეს?
- როგორ მოიქცეოდნენ ისინი, დროულად რომ მოესაზრებინათ სწორი დასკვნა?

ბოლოს მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილის შედეგებს.

**მოთხრობები:** „საიდუმლოება“ და „ბავშვთა უფლებების დამცველი.“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო „ბავშვის უფლებათა კონვენცია.“ კონვენციას აქვს საერთაშორისო სამართლის ძალა და შესაბამისად, დოკუმენტის დებულების შესრულებაზე მონაწილე სახელმწიფოებს სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. კონვენციის ხელმოწერი ქვეყნების მოქალაქეებს უფლება აქვთ თავიანთი მთავრობებისგან კონვენციის ყველა მუხლის დაცვა მოითხოვონ.

დღეს კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ 191 ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული. საქართველო კონვენციას 1994 წელს შეუერთდა. „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ საერთაშორისო შეთანხმებაა, რომელიც აღიარებს ბავშვის უფლებებს ადამიანის უფლებათა კონტექსტში. შეთანხმებაში მოყვანილია ბავშვის ის ძირითადი უფლებები, რომლებიც ადამიანის უფლებათა მთავარ ნაწილს შეადგენს (სიცოცხლის უფლება, სრული განვითარების უფლება, მავნე ზეგავლენისაგან, შევიწროებისა და ექსპლუატაციისაგან დაცვა; ოჯახში, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულუფლებიანი მონაწილეობის უფლება). „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ხელს უწყობს ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების მხარდაჭერასა და შესრულებას.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია რატიფიცირებულია თითქმის მთელი მსოფლიოს მიერ, ბავშვი აწყდება უამრავ სირთულეს, რომელიც აბრკოლებს ამ ძირითადი უფლებების უზრუნველყოფას. (ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, ჰელსინკის ნორვეგიის კომიტეტი, 1998).

**მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ:**

1. გაეცნონ მათთვის უნივერსალურად მინიჭებულ უფლებებს;
2. შეძლონ ამოიცნონ უფლებათა დარღვევის შემთხვევები;
3. მოძებნონ დარღვეული უფლებების დაცვის გზები.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები გაეცნობიან ბავშვის ძირითად უფლებებს;
- მოსწავლეები შეისწავლიან საკუთარი უფლებების დაცვის სტრატეგიებს;
- მოსწავლეები ისწავლიან სხვათა უფლებების აღიარებასა და პატივისცემას.

## I ბაკვეთილი

**მოთხრობა:** „საიდუმლოება.“



### ბაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები გაეცნობიან ბავშვის ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს;
- მოსწავლეები შეისწავლიან საკუთარი უფლებების დაცვის სტრატეგიებს;
- მოსწავლეები ისწავლიან სხვათა უფლებების აღიარებასა და პატივისცემას.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** კალმისტრები, ფანქრები, რვეულები, დაფა, ცარცი.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – მინი-ლექცია თემაზე – „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;
- აქტივობა №2 – სავარჯიშო – „ჩემი საყვარელი საქმიანობა“;
- აქტივობა №3 – სავარჯიშო – „საჭიროებები და მოთხოვნები“;
- აქტივობა №4 – ტექსტზე მუშაობა.

## ბაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – მინი-ლექცია „ბავშვის უფლებათა კონვენციაზე“ (5 წთ.).**

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ შექმნის ისტორიასა და ძირითად პრინციპებს, ასევე იმას, თუ რას ისწავლიან და როგორ გამოიყენებენ შეძენილ ცოდნას.

### ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

დიდი ხანია ცნობილია, რომ ბავშვებს განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ. მათ ძალაუფლება არ გააჩნიათ. ისინი ხშირად ხდებიან პოლიტიკის მსხვერპლნი.

1990 წლის ბავშვთა მსოფლიო კონფერენციის დეკლარაციაში გაცხადებულია, რომ ყოველდღე უამრავი ბავშვი ისეთ საფრთხეს უპირისპირდება, რომელიც აფერხებს მათ ზრდასა და განვითარებას.

- ისინი არიან ომისა და ძალადობის მსხვერპლნი.

- ყოველდღიურად მილიონობით ბავშვი იტანჯება შიმშილისა და უსახლკარობის გამო.

XX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ბავშვობის პერიოდის მნიშვნელობის აღიარება და ბავშვთა ფსიქოლოგიური პრობლემების გაცნობიერება.

ყურადღება მიექცა იმას, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო ბავშვის ინტერესები, რომელიც ხშირად არ ემთხვევა მათი მეურვეების ინტერესს. სამწუხაროდ, საკუთარ ოჯახში უამრავ ბავშვს ექცევიან ცუდად.

ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითადი პრინციპია, დააკმაყოფილოს ბავშვის ძირითადი მოთხოვნები, დაეხმაროს მას ნიჭისა და უნარის განვითარებასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში (იხ. მოსწავლის წიგნი, დანართი №1, №2, ბავშვის უფლებათა კონვენცია).

#### რას ეხება კონვენცია?

კონვენცია აყალიბებს ბავშვის კეთილდღეობისათვის სავალდებულო სტანდარტის მინიმუმს. მას საერთაშორისო კანონის სტატუსი გააჩნია.


კონვენციის ტექსტი 4 ნაწილისგან შედგება:

1. პრეამბულა/შესავალი;
2. პირველი ნაწილი – (1-41 მუხლები) – მასში ჩამოყალიბებულია ბავშვის უფლებები;
3. მეორე ნაწილი – (42-45 მუხლები) – მასში აღწერილია კონვენციის მონიტორინგი და განხორციელება;
4. მესამე ნაწილი – (46-54 მუხლები) – მასში აღწერილია კონვენციის ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

აღნიშნული 54 მუხლი 4 თემად ჯგუფდება:

1. სიცოცხლე
2. განვითარება
3. დაცვა
4. მონაწილეობა

ასევე კონვენციას გააჩნია 4 ძირითადი პრინციპი, რომელიც ხშირად დიაგრამის სახითაა წარმოდგენილი.



მოსწავლის წიგნში (დანართში) მოცემულია „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ გამარტივებული ვარიანტი მოსწავლეთათვის. სწორედ ამ დოკუმენტით უნდა ისარგებლონ მოსწავლეებმა სავარჯიშოების შესრულების დროს.

**აქტივობა №2 – სავარჯიშო „ჩემი საყვარელი საქმიანობა“ (5 წთ.).**

**მიზანი:** პოზიტიური გარემოს შექმნა და მოსწავლეების შემზადება შემდგომი სამუშაოსთვის.

**ჩატარების პროცედურა:** მოსწავლეები დგებიან წრიულად. შემდეგ პანტომიმის საშუალებით ასახიერებენ იმ სხვადასხვა საქმიანობას, რასაც ისინი ასრულებენ სახლში, სკოლაში, ეზოში და სხვ. სასურველია, მოძრაობები არ განმეორდეს. სხვა მოსწავლეები ამოიცნობენ პანტომიმით ნაჩვენებ საქმიანობას. მასწავლებელი ან ასისტენტი დაფაზე წერს ჩამონათვალს.

**აქტივობა №3 – სავარჯიშო „საჭიროებები და მოთხოვნები“ (10 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ საჭიროებები და მოთხოვნები შესაძლებელია განვიხილოთ როგორც უფლებები.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს მოსწავლის წიგნში არსებულ, ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალს გაეცნონ.

წიგნები	ლამაზი ტანსაცმელი	დამოუკიდებლობა	სახლი
შინაური ცხოველი	მეგობრები	კომპიუტერი	მუსიკალური ცენტრი
ოჯახი	სათამაშოები	ტელევიზორი	წყალი
მასწავლებელი	ჯანმრთელობა	თავისუფალი დრო	ფული

მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ რაიმე დაამატონ ჩამონათვალს.

ამოირჩიეთ სამი თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი.

ახლა გაეცით პასუხი შეკითხვებს:

- რას შეეღიეთ ყველაზე იოლად?
- როგორ გესმით ცნებები საჭიროება და მოთხოვნები?
- განსხვავდება თუ არა სხვადასხვა ადამიანების საჭიროებები და მოთხოვნები? რატომ?
- რამდენადაა დაცული თქვენი ინტერესები ოჯახში, სკოლაში?
- თითოეულ თქვენს მოთხოვნებსა და საჭიროებას ბავშვის უფლებათა კონვენციის რომელ მუხლს შეუსაბამებთ?

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ამოირჩიონ მათთვის ყველაზე საჭირო სამი რამ. შემდეგ მასწავლებელი ატარებს დისკუსიას.

**აქტივობა №4 – ტექსტზე მუშაობა (20 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი, ან მოსწავლეები კითხულობენ მოთხრობას – „საიდუმლოება“. მოსწავლეები რვეულში იხაზავენ და ავსებენ მოსწავლის ნიგნში არსებულ ცხრილს.

ვისი უფლებები დაირღვა?	ვის მიერ?	როგორ?	მიზეზი

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ჩამოწერონ, მათი რომელი უფლებები დაირღვა. შემდეგ კი მასწავლებლის დახმარებით დარღვეულ უფლებას შეუსაბამებენ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ შესაბამის მუხლს (იხ. მოსწავლის ნიგნი, დანართი 1, 2).

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

გაიხსენონ სიტუაცია, როდესაც თავად მათ ან მათ ახლობელს უსამართლოდ მოექცნენ. კარგი იქნება, თუ ოჯახის წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას ამ სამუშაოს შესრულებაში.

**დამხმარე კითხვები:**

1. რას გრძნობდით, როდესაც თქვენი უფლება დაირღვა?
2. ყველაზე მეტად რის სურვილი გქონდათ იმ მომენტში? როგორ მოიქეცით?
3. შემდგომში რა გავლენა იქონია ამ სიტუაციამ თქვენზე?
4. თქვენი რომელი უფლება დაირღვა? შეუსაბამეთ კონვენციის მუხლები (იხ. მოსწავლის ნიგნი, დანართი 1, 2).

**II ბაკვეთილი**

**მოთხრობა: „ბავშვთა უფლებების დამცველი.“**



**ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები გააცნობიერებენ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მნიშვნელობას თავიანთ ცხოვრებაში;
- მოსწავლეები შეძლებენ პრაქტიკულად გამოიყენონ ცოდნა ბავშვის უფლებების შესახებ;
- მოსწავლეები შეძლებენ ამოიცნონ უფლებათა დარღვევები;

- მოსწავლეები ისწავლიან საკუთარი უფლებების დაცვას;
- მოსწავლეები გაიაზრებენ კავშირს უფლებებსა და მოვალეობებს შორის.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** კალმისტრები, ფანქრები, რვეულები, დაფა, ცარცი.



**აქტივობები:**

- აქტივობა №1 - სავარჯიშო – ვინ გვიცავს?
- აქტივობა №2 - ლექციური ჩართვა – ვინ არის ომბუდსმენი?
- აქტივობა №3 - მოთხრობის კითხვა – „ბავშვთა უფლებების დამცველი“;
- აქტივობა №4 - ცოდნის განსამტკიცებელი სავარჯიშოები.

### გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – სავარჯიშო ვინ გვიცავს? (10 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მისაღმების შემდეგ მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს საშინაო დავალებას. მათ უნდა გაეხსენებინათ და დაენერათ სიტუაცია, როდესაც უსამართლოდ მოექცნენ. ასევე, მათი უფლების დარღვევის შემთხვევისთვის შესაბამისი მუხლი მოეძებნათ. რამდენიმე მოსწავლე კითხულობს დავალებას. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წყვილებში დაფიქრდნენ: როგორ, ვისი, ან რის დახმარებით შეძლეს დარღვეული უფლებების დაცვა?

**აქტივობა №2 – ლექციური ჩართვა: ვინ არის ომბუდსმენი? (5 წთ.).**

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს უფლებათა დამცველზე, ომბუდსმენზე.

### ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

**ომბუდსმენი – ადამიანის უფლებათა დამცველი**

ომბუდსმენი შვედური სიტყვაა და სხვათა ინტერესების დამცველს ნიშნავს. ომბუდსმენის ინსტიტუტი პირველად შვედეთში ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 1723 წელს, რომელიც 1809 წელს კონსტიტუციის საფუძველზე მმართველობის ფორმით ჩამოყალიბდა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ომბუდსმენის ინსტიტუტს განსაკუთრებული ადგილი უკავია სახელმწიფო დაწესებულებათა შორის. იგი ახორციელებს კონტროლს მმართველობის არასამართლებრივ, უკანონო ქმედებებზე.

ეს ინსტიტუტი მე-20 საუკუნეში, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაძლიერდა. დღეისათვის ომბუდსმენის ინსტიტუტი ამა თუ იმ ფორმით 40-ზე მეტ ქვეყანაში არსებობს.

ომბუდსმენის საქმიანობა გარანტირებულია სახელმწიფოს კონსტიტუციით. ის არის დამოუკიდებელი და, გარკვეულწილად, ასრულებს პარლამენტის მაკონტროლებელ ფუნქციას. ომბუდსმენს შეუძლია განიხილოს ნებისმიერი საქმე საკუთარი ინიციატივით. ბევრ ქვეყანაში ომბუდსმენი ინიშნება განსაზღვრული ვადით (ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, 1999).

საქართველოს პარლამენტის მიერ „სახალხო დამცველის“ შესახებ კანონის მიღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სამართლებრივი და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის საქმეში.

აღნიშნული კანონის შესაბამისად სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. სახალხო დამცველს ენიჭება ზედამხედველობის უფლება ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, თანამდებობის და იურიდიულ პირთა საქმიანობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველი ხელშეუხებელია. იგი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოკიდებულია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. საქართველოს სახალხო დამცველს ირჩევს საქართველოს პარლამენტი 5 წლის ვადით.

### **აქტივობა №3 – მოთხრობის კითხვა (25 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ან მოსწავლეები კითხულობენ მოთხრობას „ბავშვის უფლებების დამცველი“. შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას (5 წთ.).

#### **სადისკუსიო შეკითხვები:**

- რა პრობლემა წამოიჭრა ეზოს ბინადართა წინაშე?
- რა იყო პაკოს სურვილი?
- ვინ და როგორ გადაჭრა პრობლემა?
- რა მოხდებოდა, დედას თავისი სურვილი რომ არ შეეცვალა?
- პაკოს რომელი უფლება დაირღვეოდა?
- ვინ და რა დაეხმარა დედას გადანყვეტილების შეცვლაში?

მასწავლებელი კლასს ყოფს 3 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას:



### I ჯგუფი:

რა პრობლემას ნააწყდნენ ეზოს ბინადრები?	რა იყო პაკოს სურვილი?	რა მოხდებოდა, დედას თავისი სურვილი რომ არ შეეცვალა?

### II ჯგუფი:

განიხილეთ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 12-13 მუხლები (ბავშვის ქვამარიტი ინტერესები).

### III ჯგუფი:

- ამ მოთხრობაში პაკოს რომელი უფლება დაირღვა?
- როგორ შეიტყვეს პერსონაჟებმა ამ დარღვევის შესახებ?
- რას განაპირობებს ამ უფლების ქონა პაკოსთვის?

### მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:

მისწერონ წერილი ომბუდსმენს რომელიმე უფლების დარღვევის შესახებ. წაიკითხონ მოთხრობა „ახალი დღე.“

## თემა 11

## თაობათა შორის ურთიერთობა

**მოთხრობები:** „ახალი დღე“ და „ეზოს ოპერა.“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

მშობლებსა და შვილებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე და ყოველ ასაკში. თაობათა შორის კონფლიქტი ხშირად არასწორი კომუნიკაციის შედეგია. ურთიერთობა მწვავედება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ **სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ადამიანები მოვლენებს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ.**

უფროსებს მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და შეუძლიათ მისი გაზიარება ბავშვებისთვის, თუმცა ხშირად ეს ვერ ხერხდება კომუნიკაციის დაბალი ხარისხის გამო.

ბავშვებს უთანხმოება მოსდით მშობლებთან უმნიშვნელო, თუ მნიშვნელოვან საკითხებზე. მათი კამათის საგანია როგორც ახალი ტანსაცმლის შეძენა, ისე თავისუფალი დროის სწორად გამოყენება. ზოგ კონფლიქტს შესაძლოა, ხანგრძლივი და სერიოზული შედეგი მოჰყვეს. ბავშვი ნაწყენია, მას თავმოყვარეობა შეეღალა.

**თაობებს შორის ურთიერთობას ასევე დიდი პოტენციალი აქვს ორმხრივი სწავლისათვის.** აუცილებელია, მშობლებისა და ბავშვების ინფორმირება იმის შესახებ, როგორ დაამყარონ კომუნიკაცია, როგორ სცენ პატივი ერთმანეთს და ჰქონდეთ ნდობა.

მშობლებს აინტერესებთ, რა ხდება თავიანთი შვილების ცხოვრებაში. თუ ბავშვი ამაზე არ ისაუბრებს, მშობელს არ ეცოდინება, როდის შესთავაზოს დახმარება ან უნდა ენდობოდეს თუ არა მას. მშობლების ინფორმირებულობა ბავშვის აღზრდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს; ფიქრებისა და განცდების გაზიარება, ასევე რჩევის კითხვა პრობლემებთან დაკავშირებით წარმოადგენს კომუნიკაციის ფორმას, რომელიც მშობლისა და შვილის დაახლოებას უწყობს ხელს.

ზოგჯერ მშობლები თავად ქმნიან ბარიერს კომუნიკაციის დროს მკაცრი წესების გამო. თუ ორივე მხარეს ექნება სურვილი ჰქონდეს ღია კომუნიკაცია, ეს ორმხრივად სასარგებლო იქნება.

ურთიერთპატივისცემის გარეშე არც ერთი ურთიერთობა არ იქნება ჯანსაღი. ის ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს სცემენ პატივს, აფასებენ ერთმანეთის შეხედულებებსაც და როცა არ ეთანხმებიან, ამას შეურაცხყოფის გარეშე გამოხატავენ. ნდობა თავისუფლებისაკენ წინ გადადგმული უმთავრესი ნაბიჯია. ნდობას პატიოსნებითა და პასუხისმგებლობით ვამყარებთ. პატიოსნება ნიშნავს იმას, რომ არ ამბობთ ტყუილს და არ მანიპულირებთ, რომ თქვენზე დაყრდნობა შეიძლება საღი განსჯის საშუალებით. მშობლებსა და შვილებს ერთნაირი პასუხისმგებლობა აქვთ. აუცილებელია აიხსნას, თუ რა გააკეთა მშობელმა, როგორ იგრძნო ბავშვმა თავი ამის შედეგად და რის გაკეთება შეიძლებოდა დადებითი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად.

### **სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები შეიტყობენ, თუ როგორ უნდა გაიგონ მშობლების მოსაზრებები და მოტივაციები;
- მოსწავლეები გაიზიარებენ მშობლების რეალისტურ და კატეგორიულ შეხედულებებს და გაიგებენ, რომ მათთვის სასურველი თავისუფლე-

ბა და ავტონომია ყველაზე უკეთ ნდობის დამყარებითა და პატიოსანი საქციელით მიიღწევა;

- მოსწავლეები უკეთ გააცნობიერებენ, რომ უფროსებთან დადებითი ურთიერთობების შესანარჩუნებლად მათი პასუხისმგებლობაც აუცილებელია;
- მოსწავლეები განიხილავენ ასაკზე დაფუძნებულ სტერეოტიპებსა და მითებს ბავშვებისა და უფროსი ასაკის ადამიანების შესახებ.

## I გაკვეთილი

**მოთხრობა: „ახალი დღე.“**



### გაკვეთილის მიზნები:

- დავაფიქროთ მოსწავლეები სხვადასხვა თაობის ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობის მნიშვნელობაზე;
- მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, უკეთ გააცნობიერონ პრობლემური საკითხები, რომლებიც სხვადასხვა თაობის ადამიანებს შორის ურთიერთობებში იჩენს თავს;
- დავებმართოთ მოსწავლეებს უფროსი ასაკის ადამიანებთან უთანხმოებების მოგვარების გზების ძიებაში;
- გავუზიაროთ მოსწავლეებს ურთიერთობების ის ფორმები, რომელიც სიახლოვეს აყალიბებს.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** დიდი ფორმატის ქაღალდი ან დაფა, მარკერი ან ცარცი, კალმები, სამუშაო ფურცლები.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – მისაღმება, თემის გაცნობა;
- აქტივობა №2 – სავარჯიშო „ასოციაციები“;
- აქტივობა №3 – მუშაობა მცირე ჯგუფებში – სამუშაო სქემების შევსება;
- აქტივობა №4 – ენერჯაიზერი „ასაკი.“

## გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – თემის გაცნობა (5 წთ.).**

მისაღმების შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თემას: „დღეს

ჩვენ ვისაუბრებთ თაობათა შორის ურთიერთობაზე – მშობლებსა და შვილებს, შვილიშვილებსა და ბებია-ბაბუებს შორის. ურთიერთობა სხვადასხვა თაობის ჯგუფებთან, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია. ადამიანები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში – მშობლები, ბებია-ბაბუები, მასწავლებლები თუ სხვანი მოვლენებსა და ცხოვრებისეულ სიტუაციებს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ.“

**აქტივობა №2 – სავარჯიშო „ასოციაციები“ (10 წთ.).**

**მიზანი:** განსახილველ თემასთან დაკავშირებული საკითხების თავისუფლად გამოვლენის პროცესის ნახალისება.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს თემასთან დაკავშირებული ასოციაციების დასახელებას. სავარჯიშო სრულდება ინდივიდუალურად – თითოეული მოსწავლე ასახელებს ნებისმიერ სიტყვას, რომელიც მისთვის ასოცირდება განსახილველ თემასთან. გამონათქვამები ფიქსირდება დაფაზე გაკრულ ფორმატზე.

გამონათქვამების ამონურვის შემდეგ მასწავლებელი აკეთებს ზოგად კომენტარს: „ეს ის საკითხებია, რომლებიც დაკავშირებულია ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სიტუაციასთან. ამ საკითხების გაანალიზება დაგვეხმარება უფროსი ასაკის ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობის შენარჩუნებაში.“

**აქტივობა №3 – მუშაობა მცირე ჯგუფებში: სამუშაო სქემების შევსება (20 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ყოფს კლასს სამ ჯგუფად, ურიგებს მათ სამუშაო ფურცლებს შესავსებად შინ ნაკითხული მოთხრობის შესახებ.

**ცხრილი 1**

ჩამოწერეთ მოთხრობაში ასახული პრობლემები	რა არის ამ პრობლემების წარმოშობის მიზეზები?

**ცხრილი 2**

პრობლემის გადაჭრის ხელის შემწყობი ნაბიჯები	მათი შედეგები

**ცხრილი 3**

პერსონაჟთა გამონათქვამები, რომლებიც პრობლემურ დამოკიდებულებას გამოსატავდა	პერსონაჟთა გამონათქვამები, რომლებიც დამოკიდებულების გამოსწორებას გამოსატავდა

ცხრილების შევსების შემდეგ თითოეული ჯგუფიდან ერთი წარმომადგენელი ახდენს ნამუშევრის პრეზენტაციას. აქტივობის დასრულებისას მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ახდენს შეჯამებას შემდეგი შეკითხვების დახმარებით:

- როგორ ფიქრობთ, რაზე დააფიქრებს ეს მოთხრობა სხვადასხვა ასაკის ადამიანს?
- რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „ახალი დღე“?

**აქტივობა №4 – ენერჯაიზერი „ასაკი“ (10წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მოამზადეთ ოთახი ენერჯაიზერის ჩასატარებლად, საჭიროა საკმარისი ფართი.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: „ამ აქტივობის შესრულებისთვის აუცილებელია, არ ვილაპარაკოთ, ერთმანეთთან დავამყაროთ კონტაქტი მხოლოდ ბგერებით, რიტმით, შეხებით. იმოდრავით ოთახში ნებისმიერი მიმართულებით, უყურეთ იატაკს (30წმ.). ახლა წარმოიდგინეთ, რომ ძალიან მოხუცებულები ხართ, დაახლოებით 100 წლის. როცა თქვენწაირს შეხვდებით, შეხედეთ და ოდნავ დაუქნიეთ თავი (15წმ.): ახლა თქვენ უკვე 70 წლის ხართ: მიესალმეთ მათ, ვინც გვერდით ჩაგივლით, აუწიეთ ხელი (15წმ.)... ახლა 50 წლის ხართ, ყველა გამვლელს მეგობრულად ადებთ ხელს მხარზე, მხნედ დადიხართ (15წმ.). იმოდრავით მიზანსწრაფულად: ახლა 30 წლის ხართ, დაარტყით ხელი მხარზე შემხვედრს. ახლა შეჩერდით და გაშეშდით (10წმ.). აი, თქვენ მხოლოდ 10 წლის ხართ, დახტიხართ, დაქრიხართ აქეთ-იქით, ჩქარა, უფრო ჩქარა, შეჩერდით, გაშეშდით! დახუჭეთ თვალები! (10წმ.). ახლა გაახილეთ და დაბრუნდით ადგილებზე“.

დასრულების შემდეგ მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, თუ რას გრძნობდნენ სხვადასხვა ასაკის შემთხვევაში.

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

ნაიკითხონ მოთხრობა „ეზოს ოპერა“.

## II ბაკვეთილი

მოთხრობა: „ეზოს ოპერა“



### ბაკვეთილის მიზნები:

- ვაჩვენოთ მოსწავლეებს, რომ პატივისცემაზე და ნდობაზე დამყარებული კომუნიკაცია არის თაობათა შორის ურთიერთობის პოზიტიური საყრდენი.
- მოსწავლეები ისწავლიან სხვადასხვა ასაკის ადამიანების გამოცდილების გაზიარებას.
- მოსწავლეები დაძლევენ მითს იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ასაკის ადამიანების ინტერესების, სურვილების თანხვედრა არასოდეს ხდება.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – მოთხრობის განხილვა და მსჯელობა;
- აქტივობა №2 – მუშაობა ჯგუფებში – წერილის შექმნა;
- აქტივობა №3 – სავარჯიშო „გავუზიაროთ ერთმანეთს ემოციები და აზრები“;
- აქტივობა №4 – სავარჯიშო: ჩანახატი თაობათა შორის ურთიერთობაზე.

## ბაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – მოთხრობის განხილვა და მსჯელობა (10 წთ.).**

მასწავლებელი შინ წაკითხული მოთხრობის განხილვისა და მსჯელობის მიზნით სვამს კითხვებს:

1. რატომ აღმოჩნდნენ ქალბატონი ქეთო და მაცაცო კონფლიქტურ სიტუაციაში?
2. როგორ განვითარდა სიტუაცია?
3. რატომ მიმართეს წერილობითი თხოვნით ქალბატონ ქეთოს?
4. რაში გამოადგათ ეზოს ბინადრებს ქალბატონი ქეთოს საოპერო გამოცდილება?

**აქტივობა №2 – მუშაობა ჯგუფებში: წერილის შექმნა (15 წთ.).**

**მიზანი:** თაობათა შორის ურთიერთობისას პოზიტიური ასპექტების გაცნობიერება.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სამ ჯგუფად ყოფს კლასს და აძლევს დავალებას: „შექმენით ის გადამწყვეტი წერილი, რომელმაც სხვადასხვა თაო-

ბის მოთხოვნის პერსონაჟებს შორის არსებული დაძაბულობა მოხსნა, პრობლემა გადაჭრა, შედეგი გამოიღო; რა ეწერა ამ წერილში? დანერეთ ის ისე, რომ მოთხოვნის დასასრულს შეესაბამებოდეს!”

დავალების დასრულების შემდეგ ჯგუფის წარმომადგენლები ახდენენ წერილების პრეზენტაციებს. აქტივობის დასრულებისას მასწავლებელი ახდენს წარმოდგენილი წერილების ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვას მოსწავლეებთან ერთად.

**აქტივობა №3 – სავარჯიშო „გავუზიაროთ ერთმანეთს ემოციები და აზრები“ (15 წთ.).**

**მიზანი:** ემოციებისა და აზრების გაზიარების უნარის გავარჯიშება მშობლებთან ურთიერთობის დროს წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი კითხულობს ხმამაღლა სიტუაციას:

*„თქვენ გყავთ მეგობარი, რომელიც რაღაც ხათაბალაში ებმება ხოლმე. თქვენს მშობლებს სურთ, რომ თქვენ მასთან აღარ იმეგობროთ. თქვენ ის მაინც მოგწონთ და არ გგონიათ, რომ თქვენი მშობლები ამის გაგებას შეძლებენ. თქვენი მეგობარი ვთხოვთ, შაბათი დღე მასთან ერთად გაატაროთ, რისთვისაც მშობლების ნებართვა გჭირდებათ.“*

ნაკითხვის შემდეგ ვთხოვთ მოხალისეებს გაითამაშონ ეს სიტუაცია. მოხალისეების როლები: მშობლები, შვილი და მეგობარი. მასწავლებელი თითოეულ მოხალისეს აძლევს მინიშნებას კონფიდენციალურად, მოხალისე – ბავშვებს: „შეეცადეთ, გაუზიაროთ მათ თქვენი ემოცია, დამოკიდებულება, აზრები. აუხსენით მშობლებს, რომ მოგწონთ მეგობარი, მასთან გინდათ ყოფნა და რომ ეს სამართლიანია. მოიქეცით შესაბამისად.“ მოხალისე მშობლებს: „გავუზიარეთ თქვენი ემოცია, შიში, დამოკიდებულება ბავშვს. მოიქეცით შესაბამისად.“

სასურველია, სიტუაცია გათამაშდეს რამდენჯერმე სხვადასხვა მოხალისეების დახმარებით, რომ ბავშვებმა აქტიურად გამოსცადონ ვითარება და მოახდინონ პოზიტიური ცვლილებები ურთიერთობების შესწორებისთვის.

გათამაშების შემდეგ ეწყობა განხილვა: როგორ გრძნობდნენ თავს მონაწილეები როლების შესრულებისას? რა იყო მნიშვნელოვანი თითოეული გათამაშების მსვლელობისას? მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ემოციებისა და აზრების გაზიარების მნიშვნელობაზე და ამის შედეგად, შვილებსა და მშობლებს შორის, გარკვეული სიტუაციების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებების მიუხედავად, შეთანხმების მიღწევაზე.

აქტივობა №4 – სავარჯიშო: ჩანახატი თაობათა შორის ურთიერთობაზე (5 წთ.).

**მიზანი:** სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისადმი პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცება.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ამაგრებს დაფაზე ფორმატს და სთხოვს ბავშვებს, ასახონ საკუთარი დამოკიდებულება, სურვილი თუ მიმართვა ჩანახატის სახით; მიაწერონ რაიმე ან სულაც მიუძღვნან ნახატი, ლექსი და სხვა ამ ურთიერთობებს და ადამიანებს. შეურჩიონ სახელწოდება ჩანახატს.

**თემა 12** გოგონები და ბიჭები (გენდერი)

**მოთხრობები:** „დღესასწაული“ და „მასწავლებლობა“.

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

**გენდერი** წარმოადგენს ქალთა და მამაკაცთა როლებსა და მოვალეობებს, რომლებიც დადგენილია ჩვენს ოჯახებში, საზოგადოებასა და სხვადასხვა კულტურაში. გენდერი ასევე განიხილავს, თუ როგორ აღიქვამს პიროვნება და საზოგადოება ამ როლებს. გენდერის ცნება ამავდროულად შეიცავს იმ მოლოდინს, რომელიც უკავშირდება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა დამახასიათებელ თვისებებს, შესაძლებლობებსა და სავარაუდო ქცევებს (მდედრობითობისა და მამრობითობის კუთხით).

**გენდერული თანასწორობა** ნიშნავს, რომ ქალებსა და მამაკაცებს გააჩნიათ თანაბარი პირობები და შესაძლებლობები თავიანთი ნიჭის სრული რეალიზებისთვის. ასევე, მათ გააჩნიათ თანაბარი უფლებები.

გენდერული თანასწორობა არის საზოგადოების მიერ ქალთა და მამაკაცთა მსგავსებისა და განსხვავებების და ასევე, მათზე დაკისრებული როლების თანაბარი დაფასება.

**გენდერული სამართლიანობა** არის ქალთა და მამაკაცთა მიმართ სამართლიანი დამოკიდებულება.

**გენდერული სტერეოტიპი** ნიშნავს წინასწარ შექმნილ წარმოდგენას მდედრობითი და მამრობითი სქესების თავისებურებებზე, რომელიც ხშირად უარყოფითად ახასიათებს კონკრეტულ სქესს.



გენდერული კვლევა ქმნის უდიდეს შესაძლებლობას კულტურული გენდერული სტერეოტიპების განხილვისთვის, თუ რას ნიშნავს იყო მდედრობითი ან მამრობითი სქესის ადამიანი დღევანდელ საზოგადოებაში.

მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანების პატივისცემა სქესის მიუხედავად.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები შეძლებენ გააცნობიერონ გენდერის არსი;
- მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, გამოიკვლიონ გენდერული სტერეოტიპები;
- მოსწავლეები გაიაზრებენ გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას;
- მოსწავლეები შეძლებენ კრიტიკულად შეაფასონ გენდერული საკითხები, რაც მოიცავს მათ საკუთარ (და შესაძლოა, გადაუსინჯავ) ვარაუდს ქალსა და მამაკაცზე დაკისრებული როლის შესახებ;
- მოსწავლეები შეძლებენ გაიგონ, რომ ქალები და მამაკაცები თანაბრად ღირებული არიან საზოგადოებისათვის და რომ გენდერი არ განსაზღვრავს ინდივიდის სიძლიერეს და/ან სისუსტეს.

**I ბაკვეთილი**

**მოთხრობა: „დღესასწაული.“**



**ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები განასხვავებენ სქესისა და გენდერის ცნებას;
- მოსწავლეები გამოავლენენ სტერეოტიპული დამოკიდებულების წარმოშობის მიზეზებს;
- მოსწავლეები გამოავლენენ გენდერულ პრობლემებს და მათი წარმოშობის მიზეზებს;
- მოსწავლეები შეაფასებენ გენდერულ როლებს.



**მცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** ტექსტი, დაფა, ცარცი, ფანქრები.



**აქტივობები:**

- აქტივობა № 1 – სავარჯიშო „ელენე და სანდრო“;
- აქტივობა № 2 – სავარჯიშო „ჩვენ ასე გვგონია...“
- აქტივობა № 3 – მოთხრობის „დღესასწაული“ წაკითხვა.

## გაკვეთილის მსვლელობა

### აქტივობა № 1 – სავარჯიშო „ელენე და სანდრო“ (10 წთ.).

**მიზანი:** დავანახოთ მოსწავლეებს, რომ ყველას სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენია ერთი მხრივ, ბიჭებისა და მამაკაცების, ხოლო, მეორე მხრივ, გოგონებისა და ქალების ცხოვრება. შეთხზული ცხოვრებისეული ისტორიების დროსაც სპეციფიკურ გენდერულ როლებს, პასუხისმგებლობას, ქცევას, ოცნებებსა და მიღწევებს მივანეროთ ბიჭებსა და გოგონებს.

**ჩატარების პროცედურა:** კლასი იყოფა 4 ჯგუფად. ორი ჯგუფი წერს ერთი ჩვეულებრივი გოგონას – ელენეს ამბავს; რას ფიქრობს ეს გოგონა, რაზე ოცნებობს, რას აკეთებს, სად ცხოვრობს, რას ამბობენ სხვა ადამიანები მის შესახებ.

დარჩენილი ორი ჯგუფი წერს სანდროს ცხოვრების შესახებ.

ნამუშევრების პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი აჯამებს, სანდროსა და ელენეს მაგალითის მიხედვით, რას აკეთებენ გოგონები და ბიჭები, რა აქვთ მათ საერთო და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რამდენად დაცულია მათი გენდერული თანასწორობა.

### აქტივობა № 2 – სავარჯიშო „ჩვენ ასე გვგონია...“ (10 წთ.).

**მიზანი:** გენდერული სტერეოტიპისა და მისი წარმოშობის მიზეზის ამოცნობა.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი კლასს ყოფს გოგონებისა და ბიჭების ჯგუფებად და აძლევს დავალებას ჩამოწერონ საპირისპირო სქესის (ბიჭებმა გოგონებზე, გოგონებმა ბიჭებზე) 4-5 მახასიათებელი; მოსწავლეებმა თავიანთი ნამუშევარი უნდა დაიწყონ სიტყვებით: „ჩვენ ასე გვგონია...“; სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები კითხულობენ თავიანთ ნააზრევს; შემდეგ მასწავლებელი მართავს დისკუსიას:

სადისკუსიო კითხვები:

1. რომელი მახასიათებლები მეორდება ყველაზე ხშირად?
2. რამდენად სამართლიანია ეს შეხედულებები?
3. როდის არ შეესაბამება ჩამოთვლილი შეხედულებები სინამდვილეს?

ბოლოს მასწავლებელი აჯამებს სავარჯიშოს შედეგებს. განმარტავს სტერეოტიპის ცნებას.

**სტერეოტიპი** – ეს არის წარმოდგენა, რომელიც გვიყალიბდება ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე გარკვეულ მოვლენათა და მიზეზთა ზემოქმედებით და რომელიც მყარად რჩება ჩვენს აზროვნებაში.

სტერეოტიპული წარმოდგენები ხელს გვიშლის აღვიქვათ ესა თუ ის საზოგადოებრივი თუ სოციალური ჯგუფი ახლებურად, დავინახოთ განუმეორებელი, ინდივიდუალური თავისებურებების მქონე პიროვნება ან პიროვნებები.

**აქტივობა № 3 – მოთხრობის „დღესასწაული“ წაკითხვა (15-20 წთ.).**

მასწავლებელი კითხულობს მოთხრობას „დღესასწაული“.

მოსწავლეები რვეულებში იხაზავენ და ავსებენ სქემას;

აღწერენ კონფლიქტის მიზეზებსა და შედეგებს.

კონფლიქტი .....

მიზეზები	შედეგები

დასკვნით ნაწილში მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას.

**სადისკუსიო კითხვები:**

1. როგორი დამოკიდებულება აქვს პაკოს გოგონების მიმართ?
2. რას ფიქრობს პაკო გოგონებზე?
3. რა დაეხმარა პაკოს აზრის შეცვლაში?
4. რომელი სტერეოტიპები უშლის ხელს პერსონაჟებს გარკვეული საქმიანობის/ პროფესიის არჩევაში?

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

დაწერონ საკუთარ ოჯახში ქალისა და მამაკაცის საქმიანობების შესახებ.

**II გაკვეთილი**

**მოთხრობა: „მასწავლებლობა“**



**გაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები გაარკვევენ, თუ რა არის გენდერული ნორმა;
- მოსწავლეები გაიაზრებენ, თუ რამდენად უშლით მათ ხელს ურთიერთობაში გენდერული სტერეოტიპები;
- მოსწავლეები გაეცნობიან გენდერული სტერეოტიპების დაძლევის გზებს.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მოთხრობა „მასწავლებლობანას“ ტექსტი, დაფა, ცარცი, რვეულები, კალმისტრები.



**აქტივობები:**

- აქტივობა № 1 – ინფორმაცია გენდერული ნორმების შესახებ;
- აქტივობა № 2 – სავარჯიშო „ვინ არიან?“
- აქტივობა № 3 – სავარჯიშო „სწორია, არასწორია“;
- აქტივობა № 4 – მოთხრობა „მასწავლებლობანას“ კითხვა.

**გაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა № 1 – ინფორმაცია გენდერული ნორმების შესახებ.**

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს გენდერულ ნორმებს. გენდერის კატეგორიები წინასწარ განსაზღვრულია, ანუ რა უნდა აკეთონ, როგორ უნდა მოიქცნენ მამაკაცები (ბიჭები) და ქალები (გოგონები). ამრიგად, გენდერი გულისხმობს ნორმებს – მაგ., როგორია „კარგი გოგონა“, ან „დამჯერი ბიჭი.“ რა როლებისა და პასუხისმგებლობების შესრულებას მოელიან ბიჭებისა და გოგონებისაგან; რა არის მისაღები ქცევა, საქმიანობა, თავისუფლება და შეზღუდვა ბიჭებისა და გოგონებისათვის. მაგ., გოგონები თამაშობენ სახლობანას, ბიჭები – ფეხბურთს. ხელსაქმე „ქალურ საქმედ“ აღიქმება, მამაკაცს დილის დაკრებაც კი არ უნდა შეეძლოს.

**აქტივობა № 2 – სავარჯიშო „ვინ არიან?“**

**მიზანი:** გენდერული სტერეოტიპების გამოვლენა.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დადგენენ წრიულად. მასწავლებელს მომზადებული აქვს საქმიანობათა ჩამონათვალი ფურცლებზე; ფურცლებს ათავსებს ყუთში. მოსწავლეები იღებენ ერთ ფურცელს. შემდეგ წრეში პანტომიმის საშუალებით რიგრიგობით აჩვენებენ იმ საქმიანობას, რაც მათ შეხვდათ. დანარჩენებმა უნდა გამოიცნონ, თუ რას ასახიერებს მათი თანაკლასელი და განსაზღვრონ, ვისთვისაა დამახასიათებელი ესა თუ ის საქმიანობა – ქალებისთვის თუ მამაკაცებისთვის; მასწავლებელი დაფას/ფორმატს ყოფს ორ ნაწილად. ერთ მხარეს ჩამოწერს იმ საქმიანობას, რომელსაც მამაკაცები ასრულებენ, მეორე მხარეს კი ქალების საქმიანობას და სთხოვს მოსწავ-

ლებს, თავიათი ფურცლები მიამაგრონ იმ სვეტს, რომელიც სწორად მიაჩნიათ; შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას.

**სადისკუსიო კითხვები:**

1. რომელ საქმიანობებს მივანეროთ ქალებს, რომელს მამაკაცებს?
2. როგორ განსაზღვრეთ, ვის მიეკუთვნება საქმიანობა?
3. რასთან არის დაკავშირებული ასეთი შეხედულებები?

**საქმიანობათა ჩამონათვალი:**

1. ჭურჭლის რეცხვა	2. კერვა
3. ლობის შეღებვა	4. ფეხბურთის თამაში
5. წიგნის კითხვა	6. კომპიუტერთან მუშაობა
7. დაუთოება	8. სახლის დალაგება
9. თევზაობა	10. მშენებლობა
11. სიმღერა	12. შეშის ჩეხა
13. ქსოვა	14. მოდელირება
15. განკარგულებების გაცემა	16. ცეკვა
17. ტელევიზორის ყურება	18. საჭმლის მომზადება
19. ყურძნის დანურვა	20. მანქანის მართვა
21. მანქანის შეკეთება	22. პედიკიური
23. ქირურგობა	24. ყვავილის დარგვა

**აქტივობა № 3 – სავარჯიშო „სწორია, არასწორია“.**

**მიზანი:** გენდერული დამოკიდებულების შეფასება; მამაკაცთა და ქაღთა არსებული როლების გაცნობა.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ოთახის კუთხეებში აკრავს წარწერებს: „ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“, „თავი შევიკავე“; შემდეგ მასწავლებელი კითხულობს რომელიმე მტკიცებულებას.

**მტკიცებულებათა ჩამონათვალი:**

- ქალები არ უნდა მუშაობდნენ და ბავშვებს უნდა ზრდიდნენ;

- ქალები, როგორც მამაკაცები უნდა მუშაობდნენ;
- ბიჭები არ ტირიან;
- სახლის საქმე მხოლოდ ქალებმა (გოგონებმა) უნდა აკეთონ;
- ფიზიკური ვარჯიში და სპორტი ბიჭებისთვის უფრო მნიშვნელოვანია;
- ოჯახის ფინანსურ საკითხებს მამაკაცი უნდა აგვარებდეს;
- მანქანის მართვა ქალის საქმე არ არის;
- ქალი ჩუმად უნდა იყოს, როდესაც კაცი საუბრობს.

მოსწავლეები ადგილს იკავებენ იმ კუთხეში, რომელსაც ეთანხმებიან.

შემდეგ ერთ პოზიციაზე მყოფი მოსწავლეები არგუმენტების მოშველიებით ასაბუთებენ საკუთარ შეხედულებას. თუ ვინმე შეიცვლის შეხედულებას, შეუძლია პოზიცია შეიცვალოს.

### **აქტივობა № 4 – მოთხრობა „მასწავლებლობანას“ წაკითხვა.**

მასწავლებელი კითხულობს მოთხრობას და სთხოვს მოსწავლეებს, ჩაინიშნონ:

1. რომელ თამაშს მიიჩნევდნენ ეზოს ბინადრები გოგონების, რომელს – ბიჭების თამაშად?
2. რომელი პროფესია მიიჩნევა ქალის და რომელი მამაკაცის პროფესიად?
3. რამ გამოიწვია კონფლიქტი და როგორ გადაიჭრა იგი?

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

წაკითხონ მოთხრობა „კოკი ავადაა!“

**მოთხრობა:** „კოკი ავადაა!“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

**ცრუ შეხედულება** წარმოადგენს ადამიანის, საგნისა თუ მოვლენის მიმართ სუბიექტურ შეხედულებას, რომელიც გარკვეული სტერეოტიპით არის გამონვეული. ცრუ შეხედულება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ჩვეულებრივ, ეს ტერმინი გამოიყენება ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატად.

**სტერეოტიპი** ნიშნავს განზოგადებულ შეხედულებას გარკვეული პიროვნებისა თუ ჯგუფის მიმართ და ხშირად გააჩნია უარყოფითი, შეურაცხმყოფელი მნიშვნელობა.

**სტიგმა** ნიშნავს უარყოფით დამოკიდებულებასა და განწყობას, რომელიც საზოგადოებას უბიძგებს გარიყოს, ცუდად მოექცეს და დაჩაგროს განსხვავებული ადამიანები თუ ადამიანთა ჯგუფები. სტიგმა ვლინდება გარკვეულ ადამიანთა თუ ჯგუფთა მიმართ სუბიექტურობით, ნდობის უქონლობით, მათ მიმართ შიშის ჩამოყალიბებითა და გარიყვით.

სტიგმა ვლინდება მაშინ, როდესაც ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები ხდებიან საზოგადოების ცრუ შეხედულებათა მსხვერპლნი. ცრუ შეხედულებები შეიძლება მოიცავდეს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას გარკვეულ ინდივიდთა თუ ჯგუფთა მიმართ ეთნიკურობის, სქესის, რელიგიური მრწამსის, კანის ფერის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და სხვა ფაქტორთა გამო.

ცრუ შეხედულებები ემყარება გარკვეულ ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფის მიმართ არსებულ სუბიექტურ დამოკიდებულებასა და სოციალურ სტერეოტიპებს. მაგალითად, თუ ადამიანი იცნობდა ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელს, რომელთან ურთიერთობაც მისთვის იქცა უარყოფით გამოცდილებად, იგი ამ ჯგუფის ყველა სხვა წარმომადგენლის მიმართ ასევე უარყოფით დამოკიდებულებას გამოიმუშავებს. ასეთი მიდგომა ხშირად აღნიშნული ჯგუფის მიმართ სიძულვილის ჩამოყალიბებას უყრის საფუძველს.

იმის გასაგებად, თუ როგორ ფორმირდება ცრუ შეხედულებები, მათი განვითარების ეტაპებს უნდა გადავხედოთ. ადამიანებს უვითარდებათ ამა თუ იმ ჯგუფისა თუ მოვლენის მიმართ ცრუ შეხედულებები კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებით. ისინი ახდენენ აღნიშნული კონკრეტული ფაქტების განზოგადე-

ბას ადამიანთა დიდ ჯგუფებზე და მიაჩნიათ, რომ აღნიშნული განზოგადებული მოსაზრებები სიმართლეს წარმოადგენს. მოგვიანებით, ეს მოსაზრებები განაპირობებს საზოგადოების დამოკიდებულებას სხვა ადამიანთა და ჯგუფთა მიმართ. მაგ. ცრუ და სტერეოტიპული შეხედულება რომელიმე ერისადმი, რომ ამ ერის წარმომადგენლები არიან ტერორისტები, ყალიბდება კონკრეტული შემთხვევების საფუძველზე. ასეთი მიდგომა აყალიბებს საზოგადოებაში ამ ერისადმი გაუცხოებას, შიშს და საბოლოოდ, იწვევს ამ ერის წარმომადგენლების გარიყვას; წარმოშობს სტიგმას – უბიძგებს საზოგადოებას მათი უფლებების შელახვისკენ და დაჩაგვრისკენ.

ხშირად ასეთი შეხედულებების ჩამოყალიბებაში ბავშვობის პერიოდში მიღებული განათლებაა „დამნაშავე“: ცრუ შეხედულებები და სტერეოტიპები ადამიანს ადრეულ ასაკში უყალიბდება, მაშინ, როდესაც ბავშვის აზროვნება და საქციელი მოზრდილის ზეგავლენას განიცდის. ასეთ შემთხვევებში ბავშვს ცრუ შეხედულებები და სტერეოტიპული აზროვნება გაუცნობიერებლად უვითარდება.

კონფლიქტურ სიტუაციებში განსაკუთრებით კარგად ჩანს სტერეოტიპების უარყოფითი როლი. კონფლიქტში მონაწილე მხარეები ერთმანეთს უარყოფით ფიგურებად აღიქვამენ. კონფლიქტის დროს, როდესაც იქმნება ურთიერთობის ვაკუუმი, მხარეებს თავიანთი მონაწილეობის შესახებ ხშირად მცდარ ინფორმაციაზე დაფუძნებული დასკვნები გამოაქვთ. ასეთი დასკვნების შედეგად კი მონაწილემდგენს წარმოიქმნება „მტრის ხატი“, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველაფერი, რასაც მონაწილემდგენს ჩაიდენს, მცდარია, ხოლო თავად რასაც ჩაიდენს – მართებული. ასეთი უარყოფითი სტერეოტიპების არსებობა კიდევ უფრო ართულებს ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარებას.

### **როგორ გადავლახოთ სტერეოტიპები?**

პირველი ნაბიჯი სტერეოტიპების დასაძლევად მონაწილემდგენს მხარის შესახებ არსებული უარყოფითი სტერეოტიპების გაანალიზება და აღიარებაა. ამის შემდეგ იწყება მცდელობა იმისა, რომ მხარეებმა საკუთარი შეხედულებების შეცვლა შეძლონ. ამის მისაღწევად საჭიროა, სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებმა ერთმანეთთან დაამყარონ ურთიერთობა. როდესაც ადამიანები შეხვედებიან ერთმანეთს, ისაუბრებენ თუ ითანამშრომლებენ, ნელ-ნელა დაიწყებენ იმის გაანალიზებას, რომ მონაწილემდგენს მხარე არც ისეთი „საშინელია“, როგორც ეგონათ.

აუცილებელია, ბავშვებს გავაგებინოთ, თუ რატომ არის ცრუ შეხედულებები საზიანო და როგორ უნდა მოხდეს მათი გადალახვა; რომ ცრუ შეხედულებების დასაძლევად მთავარია მხარეებმა ტოლერანტულად აღიქვან და დააფასონ ერთმანეთს შორის არსებული განსხვავებები. ადამიანთა შორის განსხვავებები შეიძ-



ლება გახდეს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი ან პირიქით – უპირატესობა ადამიანთა და ჯგუფთა შორის ურთიერთობაში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ მხარეები ამ განსხვავებას. ყოველი ადამიანი ვალდებულია, დაუპირისპირდეს ცრუ შეხედულებებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღნიშნული ცრუ შეხედულებები პირადად არ ეხება. ხშირად ადამიანები საკუთარი პასიურობით „მხარს უჭერენ“ ცრუ შეხედულებებს, რომლებიც მიმართულია მათ ირგვლივ მყოფი სხვა ადამიანებისაკენ.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები გაიგებენ, თუ რას ნიშნავს სტიგმა, სტერეოტიპი და ცრუ შეხედულებები;
- მოსწავლეები გააანალიზებენ, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და რომ ადამიანთა შორის არსებული ეს თუ ის განსხვავება არ არის უარყოფითი მოვლენა;
- მოსწავლეები ისწავლიან ადამიანთა შორის განსხვავებათა დაფასებას;
- მოსწავლეები შეიმეცნებენ ცრუ შეხედულებების გამომწვევ მიზეზებს;
- მოსწავლეები შეძლებენ გამოავლინონ სტიგმა და ცრუ შეხედულებები და ებრძოლონ მათ;
- ტოლერანტობის გზით მოსწავლეები ისწავლიან ცრუ შეხედულებების შეცვლას;
- მოსწავლეები კრიტიკულად შეხედავენ თავიანთ საქციელს და დაკვირვებით გააანალიზებენ საკუთარ ლექსიკას, რომელიც შეიძლება იყოს ცრუ შეხედულებების გამომხატველი;
- მოსწავლეები ისწავლიან ცრუ შეხედულებებზე დროული და პოზიტიური რეაგირების მოხდენას.

**I გაკვეთილი**

**მოთხრობა:** „კოკი ავადაა!“



**გაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები გაიაზრებენ ცრუ შეხედულებებზე დამყარებული დამოკიდებულების უარყოფით მხარეებს;
- მოსწავლეები შეიტყობენ, თუ როგორ ფორმირდება ცრუ შეხედულებები;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ, თუ რატომ არის საზიანო ცრუ შეხედ-

დულებები, სტერეოტიპები და სტიგმა მათთვის და საზოგადოებისთვის;

- მოსწავლეები ისწავლიან, რა საშუალებით უნდა გადაილახოს ცრუ შეხედულებები;
- მოსწავლეებს გაენევათ დახმარება დაძლიონ არსებული სტერეოტიპები.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** ფურცლები, კალმები, დიდი ფორმატის ქაღალდი, მარკერები.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – თემის გაცნობა;
- აქტივობა №2 – მუშაობა ნევილებში;
- აქტივობა №3 – მოთხრობის განხილვა, მსჯელობა;
- აქტივობა №4 – საშინაო დავალება – „ხელშემშლელი მტკიცებები ჩვენ ირგვლივ.“

#### აქტივობა №1 – თემის გაცნობა (5 წთ.).

**ჩატარების პროცედურა:** მისაღმების შემდეგ მასწავლებელი აცნობს თემას, ახდენს ტერმინების: ცრუ შეხედულებების, სტერეოტიპების და სტიგმას განმარტებას. მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება იმის შესახებ, თუ რა პრობლემებს აჩენს წინასწარი, მცდარი განსჯა, შეხედულება, დამოკიდებულება გარკვეული ადამიანების, ადამიანთა ჯგუფისა ან მოვლენის მიმართ. მასწავლებელს მოჰყავს ისეთი სიტუაციების მაგალითები, სადაც ცრუ შეხედულებებზე დამყარებული ურთიერთობების უარყოფითი შედეგები ვლინდება:

- ადამიანს დასცინიან გარეგნობის, სიმაღლის, წონის და ა.შ. გამო;
- არ თამაშობენ ბავშვთან, რომელსაც არ შეუძლია სწრაფად სირბილი;
- ადამიანს დასცინიან იმის გამო, რომ იგი აქცენტით საუბრობს ქართულად, ან სულაც არ იცის ქართული და მხოლოდ საკუთარ ენაზე ლაპარაკობს;
- ახდენენ იარლიყის მიწებებას გარკვეული პიროვნებისადმი (მაგ., თუ მოსწავლე განსაკუთრებით არ აქტიურობს გაკვეთილზე, ასკვნიან, რომ მას აუცილებლად უჭირს სწავლა და „ჩამორჩენილ ბავშვს“ უწოდებენ).

**აქტივობა №2 — მუშაობა წყვილებში (15 წთ.).**

**მიზანი:** სტერეოტიპული ხედვის უარყოფითი მხარეების გაცნობიერება ცხოვრებისეული მაგალითების საშუალებით.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, წაიკითხონ მოსწავლის წიგნში მოცემული მაგალითები, შემდეგ კი წყვილებში იმსჯელონ და გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები იმის შესახებ, თუ:

- რა პრობლემები წარმოშვა ცრუ შეხედულებებმა, განზოგადებულმა, სტერეოტიპულმა ხედვამ?
- როგორ გადაილახა ისინი?

აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ჯგუფთან ერთად აჯამებს მუშაობას და გამოთქმულ მოსაზრებებს აფიქსირებს დაფაზე გაკრულ ფორმატის ქალაქდზე.

**აქტივობა №3 – მოთხრობის განხილვა, მსჯელობა (20 წთ.).**

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი შინ წაკითხული მოთხრობის შინაარსის გააზრებისა და განხილვის მიზნით სვამს კითხვებს:

1. საიდან დაასკვნა მაცაცომ, რომ კოკის „ჭირი“ შეეყარა?
2. რა მიზეზით დანაღვლიანდა კოკი?
3. რა „აიკვიატა“ მაცაცომ კოკისთან დაკავშირებით, რაც ხელს უშლიდა მოესმინა მისთვის?
4. რატომ აღარ ეთამაშებოდნენ ეზოს ბინადრები კოკის?
5. რა რჩევა მისცა ბაომ კოკის?
6. როგორ მოახერხა კოკიმ მაცაცო დაეფიქრებინა და გაეთავისუფლებინა სტიგმისა და სტერეოტიპებისგან?

**დისკუსიის** დასრულების შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს გაიხსენონ ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანი სტერეოტიპების მსხვერპლი გახდა.

**აქტივობა №4 – საშინაო დავალება: „ხელშემშლელი მტკიცებები ჩვენ ირგვლივ“ (5 წთ.).**

**მიზანი:** დაკვირვების უნარის განვითარება ადამიანთა შეხედულებებზე, რომლებიც ხელს უშლიან ჯანსაღი ურთიერთობების დამყარებას.

მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს მონიშნონ მათ ირგვლივ დაფიქსირებული ყველა ის გამონათქვამი – ხელშემშლელი მტკიცებები, რომლებიც ცრუ შეხედულებებს ემყარება, წარმოშობს უარყოფით დამოკიდებულებას, ხშირად შეურაცხმყოფელია და ადამიანთა მიმართ ცუდად მოპყრობას განაპირობებს.

## II ბაკვეთილი



### ბაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები მოახდენენ უარყოფითი სტერეოტიპების გაანალიზებასა და აღიარებას;
- მოსწავლეები ეჭვევემ დააყენებენ იმ დამოკიდებულებას, განწყობასა და აზრებს, რომელთაც სტერეოტიპამდე მივყავართ;
- მოსწავლეები მოახდენენ საკუთარი უარყოფითი, მიკერძოებული შეხედულებების კორეგირებას;
- მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ განსხვავებულის მიმღებლობისა და პატივისცემის გრძნობა.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** ფურცლები, კალმები, ფორმატის ქაღალდები, მარკერები.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – საშინაო დავალების განხილვა;
- აქტივობა №2 – სავარჯიშო: „გონივრული ფიქრები“;
- აქტივობა №3 – სავარჯიშო „რა შევიძინე“.

#### აქტივობა № 1 – საშინაო დავალების განხილვა (20 წთ.).

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი იწყებს საშინაო დავალების განხილვას: დაფაზე დამაგრებულ ფორმატზე წერს გამონათქვამებს, იწერება მხოლოდ განსხვავებული ვარიანტები. შემდეგ ამაგრებს მეორე ფორმატს, რომელზედაც ამონერილია ცრუ შეხედულების, სტერეოტიპისა და სტიგმის გამომხატველი მტკიცებები მოთხრობიდან „კოკი ავადაა!“ მასწავლებელი განმარტავს ტერმინებს მოთხრობიდან შესაბამისი ეპიზოდის გამოყენებით:

1. ცრუ შეხედულებები (კოკის ჭირი შეეყარა, ბენვის ცვენა დაეწყო და საშინელი გადამდები ავადმყოფობით დასნეულდა).
2. სტერეოტიპი (კოკი სულ რაღაცას იგონებს, არის მატყუარა და ცრუპენტელა და მას მაცაცო არ უსმენს).
3. სტიგმა (მაცაცომ დააბრალა კოკის, რომ მას გადამდები ავადმყოფობა სჭირს, ბავშვებიც დაარწმუნა, რის გამოც, კოკის აღარავინ ეთამაშება, კოკი გარიყულია).

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადმოაჯგუფონ პირველი ფორმატიდან მტკიცებები შესაბამის ადგილას, კლასს ყოფს სამ ჯგუფად: პირველები

არჩევენ ცრუ შეხედულებებს, მეორენი – სტერეოტიპებს, მესამენი – სტიგმას. პრევენტაციების შემდეგ განხილული ვარიანტები ინერება დაფაზე.

**აქტივობა №2 – სავარჯიშო: „გონივრული ფიქრები“ (20 წთ.).**

**მიზანი:** დავაფიქროთ მოსწავლეები სტერეოტიპული აზროვნების შესახებ; მივცეთ მათ შესაძლებლობა მოახდინონ მიკერძოებული აზრის კორეგირება.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ ჯანსაღი ურთიერთობების დასამყარებლად საჭიროა მოვახდინოთ მიკერძოებული მტკიცებების შეცვლა; ყოფს კლასს 4 ჯგუფად და აძლევს დავალებას: „მე მაქვს ამ ყუთში 4 ბარათი, რომლებზეც წერია მიკერძოებული აზრები – მტკიცებები. თითოეულმა ჯგუფმა უნდა ამოიღოს ერთი ბარათი და ჯგუფში განიხილოს: რამდენად ზუსტი და სამართლიანია ეს მტკიცება, რა ალტერნატიული, გონივრული და სტერეოტიპისგან თავისუფალი გამონათქვამით შეიძლება შეიცვალოს მოცემული მტკიცება?“

დავალების შესრულების შემდეგ ჯგუფები ახდენენ პრევენტაციებს, შემოთავაზებული ალტერნატივები ინერება ფორმატზე „გონივრული ფიქრები“.

**მიკერძოებული მტკიცებები:**

- ✓ ბიჭებმა არ უნდა იტირონ!
- ✓ გოგონები ჭორიკნები არიან!
- ✓ მსუქანი ადამიანები მეგობრულები არიან!
- ✓ კონფლიქტის დროს შუამავალს ყოველთვის ყველაზე მეტი უსიამოვნება ხვდება!

*აუცილებელია, მასწავლებელმა შეაჯამოს სავარჯიშო – აუხსნას ბავშვებს, რომ ასეთი მიკერძოებული მტკიცებების კორეგირება შეცვლის ჩვენს დამოკიდებულებებს ადამიანებისა და მოვლენების მიმართ და შესაბამისად შეიცვლება ჩვენი განწყობები და ქცევები; ნაკლებად გვექნება „საჩხუბარი“ და „საწყენი“ სიტუაციები, ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება და უფრო ბედნიერები ვიქნებით.*

**აქტივობა №3 – სავარჯიშო „რა შევიძინე“ (5 წთ.).**

**მიზანი:** ბავშვები მოახდენენ მუშაობის შედეგების შეფასებას, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ვერბალიზაციას.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ იმის შესახებ თუ:

1. რით იყო საინტერესო განხილული საკითხები?
2. რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?
3. როგორ ფიქრობენ, როგორ გამოიყენებენ მიღებულ გამოცდილებას?
4. როგორ შეიძლება დავძლიოთ სტერეოტიპები?

**მოთხრობები:** „საჩუქარი“ და „ეზოს დასუფთავების დღე.“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

**გარემოში** იგულისხმება ფიზიკური გარემო და ის გარე პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ზრდასა და განვითარებაზე.

**გარემოს დაცვა (კონტროლი)** გულისხმობს პასუხისმგებლობას გარემოს რესურსებზე და მათ მართვას.

სიტყვა „გარემო“ შეიძლება გავიგოთ ორგვარად. პირველი: გარემო არის მიწა, ჰაერი და წყალი. მეორე: გარემო არის სივრცე, რომელიც უკავია ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს (სამუშაო გარემო, სახლის გარემო, სკოლის გარემო, სათამაშო მოედნის გარემო, უბნის გარემო).

„მიკროგარემო“ წარმოადგენს უფრო დიდი (მაკრო) გარემოს ქვეკომპონენტს. ამდენად, ქალაქის გარემო წარმოადგენს მიკროგარემოს ქვეყანასთან ან რეგიონთან მიმართებით. გარემოთა შორის ურთიერთკავშირი მუდმივად არსებობს და ვრცელდება ადამიანის მიკროგარემოდან (ის, რაც არის ამ კონკრეტული ადამიანის გარშემო) სათემო, ნაციონალურ, რეგიონულ და გლობალურ დონემდე. ამ ურთიერთკავშირის ანალიზი ხელს უწყობს გარემოს მიმართ ადამიანთა გაზრდილი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.

მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მოთხრობები გვიჩვენებს, რომ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ქმედებამაც კი შეიძლება გამოიწვიოს გარემოსათვის საზიანო შედეგი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოს ბევრი ადამიანი ექცევა უდიერად.

*ჩვენი სიჯანსაღის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სწორედ ის არის, თუ როგორ დავიცავთ გარემოს, რა პასუხისმგებლობას ავიღებთ მის დასაცავად. მოქალაქეობრივი შეგნება კარგად ჩანს გარემოს დაცვასთან მიმართებით; მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს გავაცნობიერებინოთ თითოეული ჩვენგანის მოვალეობა გარემოს დაცვის საკითხში. ავუხსნათ, რომ ჩვენი ეზო, ჩვენი ბაღი, ჩვენი ქალაქი, ჩვენი ქვეყანა და მთელი დედამიწა ყველა ადამიანისთვის საერთო სახლია და მას უნდა გავუფრთხილდეთ.*

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები იძენენ მეტ ცოდნას და იმდიდრებენ ლექსიკას გარემოსა

- და მის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მოსწავლეები კრიტიკული აზროვნების გზით შეიმეცნებენ გარემოს დაცვის მნიშვნელობას;
  - მოსწავლეები ინფორმაციას მიაწოდებენ თავიანთ მეგობრებს, ოჯახებსა და თემებს გარემოს დაცვის მნიშვნელობის შესახებ;
  - მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ გარემოს დაცვა საკუთარი ჯანმრთელობისა და მომავლის დაცვას ნიშნავს;
  - მოსწავლეები ისწავლიან, როგორ ითანამშრომლონ ერთმანეთთან და საზოგადოებასთან იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ჯანმრთელი გარემოს არსებობას და არ დაუშვან გარემოს დაბინძურება;
  - მოსწავლეები დაინახავენ, რომ თანამშრომლობა აადვილებს გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

## I ბაკვეთილი

**მოთხრობა:** „საჩუქარი.“



### ბაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები შეიტყობენ, თუ რას ნიშნავს გარემოს დაცვა და მასზე ზრუნვა;
- მოსწავლეები უკეთ შეიმეცნებენ სხვადასხვა გარემოთა შორის არსებულ ურთიერთკავშირს;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ გარემოს დაცვა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა და მასზე ზრუნვა საკუთარ ჯანმრთელობასა და მომავალზე ზრუნვის ტოლფასია.



**მიცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მოსწავლის ნიგნი, დიდი ვაშლი, დანა, კალმები და დიდი ფურცლები (იმ რაოდენობით, რამდენი ჯგუფიც გვეყოლება ჯგუფური სამუშაოს შესრულების დროს).



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – მისაღმება;
- აქტივობა №2 – სავარჯიშო „ეს ვაშლი დედამინაა“;
- აქტივობა №3 – მოთხრობის გაცნობა;
- აქტივობა №4 – მოთხრობის დამუშავება;
- აქტივობა №5 – კითხვები მოსწავლეთა მიერ მოთხრობის შეფასებისთვის;
- აქტივობა №6 – მოთხრობის დასასრულის დაწერა.

## ბაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1** – მისაღმება. თემის მიწოდება: „დღეს ბუნებაზე და გარემოზე ვისაუბრებთ, ბევრ ახალ და საინტერესო ამბავს გავიგებთ.“

**აქტივობა №2** – სავარჯიშო „ეს ვაშლი დედამინა“ (15 წთ.).

**მიზანი:** ვაჩვენოთ ბავშვებს მიწისა და წყლის შედარებითი მასშტაბები დედამინაზე; მიწის ის შეზღუდული ფართობი, რომელიც საცხოვრებლად და სოფლის მეურნეობისათვის არის ვარგისი. ამ გზით დავანახოთ ბავშვებს, რამდენად მნიშვნელოვანია დედამინის მოფრთხილება.

**ჩატარების პროცედურა:** სავარჯიშოს ასრულებს მასწავლებელი. იგი სთავაზობს ბავშვებს წარმოიდგინონ, რომ ეს ვაშლი ჩვენი პლანეტა – დედამინაა. შემდეგ მასწავლებელი გაჭრის ვაშლს ოთხ თანაბარ ნაწილად. აუხსნის მოსწავლეებს, რომ დედამინის 3/4 ოკეანეა და გადადებს ვაშლის სამ ნაწილს გვერდზე. დარჩენილ ერთ მეოთხედს ისევ გაჭრის ორ ნაწილად და ერთი ნახევრის შესახებ ეტყვის მოსწავლეებს, რომ დედამინის ეს ნაწილი წარმოადგენს პოლარულ მხარეებს, უდაბნოებს, ჭაობებს, მწვერვალებსა და კლდეებს და ამიტომ საცხოვრებლად არ გამოდგება.

დაგვრჩება დედამინის 1/8 ნაწილი (უჩვენებს მოსწავლეებს), ეს დედამინის ის ნაწილია, რომელიც ადამიანებით არის დასახლებული. შემდეგ ამ ნაწილსაც ყოფს ოთხად. მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ 3/4 ნაწილზე გაშენებულია ქალაქები, ავტომაგისტრალები, დასასვენებელი ადგილები, სადაც ადამიანები ვერაფერს დათესავენ და ვერაფერს მოიყვანენ.

მასწავლებელი ამ ნაწილებსაც გადადებს გვერდზე და ხელში დარჩება ვაშლის 1/32 ნაწილი. ამ ნაწილს მასწავლებელი ისე გათლის, რომ სქელი ქერქი დარჩეს, მოსწავლეებს აჩვენებს ამ ქერქს და ეტყვის, რომ სწორედ ეს არის დედამინის ნაწილი, რომელზეც მოჰყავთ მოსავალი და რომელმაც უნდა გამოკვებოს დედამინის მთელი მოსახლეობა.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: პლანეტის 3/4 ოკეანეა, როგორ ფიქრობთ, ეს წყალი სასმელად და საჭმლის მოსამზადებლად გამოდგება? პასუხის შემდეგ ყველა დაასკვნის, რომ სასმელად ვარგისი წყალი, ისევე როგორც საცხოვრებლად ვარგისი მიწა, ცოტაა დედამინაზე.

ბოლოს მასწავლებელი დასვამს კითხვას: „რა მოხდება, ამ მიწა-წყალს თუ არ გავუფრთხილებით?“.

**აქტივობა №3** – მოთხრობის გაცნობა (5 წთ.).

მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ დღეს ისინი გაეცნობიან მოთხრობას „საჩუქარი“; შემდეგ ამ მოთხრობას ხმამაღლა წაიკითხავს.



**აქტივობა №4 – მოთხრობის დამუშავება: ჯგუფური აქტივობა (10 წთ.).**

მასწავლებელი დაყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად, დაავალებს მათ მოთხრობაში გარკვეული პრინციპით შერჩეული მონაკვეთების მოძებნას და ხმამაღლა წაკითხვას (ეს დავალება მოსწავლის წიგნშიც არის მოცემული).

**იპოვეთ მოთხრობაში და გამოყავით:**

1. ის მონაკვეთი, სადაც ჩანს, რომ მაცაცო პაკოს ლიზიკოსთვის თაიგულის ჩუქებას არ ურჩევს;
2. ის მონაკვეთი, საიდანაც ჩანს, რომ აყვავებული ხეხილის ტოტი არ უნდა მოვტეხოთ;
3. ის მონაკვეთი, საიდანაც ჩანს, რომ ნიკუშამ ხეების შესახებ ბევრი რამ იცის;
4. ის მონაკვეთი, სადაც ჩანს, თუ რა გამოსავალი მოძებნა პაკომ.

**თქვენ რომელი საჩუქარი უფრო მოგეწონებოდათ, აყვავებული ხეხილის ტოტები თუ ლიმონის ნერგი? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.**

**მოუძებნეთ მოთხრობას შესაბამისი დასასრული.****აქტივობა №5 – კითხვები მოსწავლეთა მიერ მოთხრობის შეფასებისათვის (5 წთ.).**

მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:

- პაკოს მიერ შერჩეული საჩუქრებიდან რომელი უფრო მოგეწონებოდათ და რატომ?
- რის შესახებ არის ეს მოთხრობა?

**აქტივობა №6 – მოთხრობის დასასრულის დაწერა (10 წთ.).**

მასწავლებელი დაყოფს კლასს 4-5 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებად და დაავალებს მათ, მოიგონონ და დაწერონ მოთხრობის დასასრული.

მოსწავლეები გააცნობენ ერთმანეთს საკუთარ ნაწერებს. შეარჩივენ საუკეთესო დასასრულს.

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

წაკითხონ მოთხრობა „ეზოს დასუფთავების დღე“.

## II გაკვეთილი

**მოთხრობა: „ეზოს დასუფთავების დღე.“**



### გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები დაინახავენ, რომ გარემოს დაცვა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა;
- მოსწავლეები გარემოს დასაცავად ერთმანეთს რეალური ქმედებებისკენ მოუწოდებენ;
- მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ თანამშრომლობა აადვილებს გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.



**მეტადინეოპისთვის საჭირო რესურსები:** მოსწავლის წიგნი, დაფა და ცარცი, კალმები, ფერადი ფანქრები და დიდი ფურცლები (იმ რაოდენობით, რამდენი ჯგუფიც გვეყოლება ჯგუფური სამუშაოს შესრულების დროს).



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – ინდივიდუალური სავარჯიშო თვითშეფასებისთვის;
- აქტივობა №2 – მოთხრობის განხილვა და მსჯელობა;
- აქტივობა №3 – როგორ მივალნიოთ სისუფთავეს;
- აქტივობა №4 – ჩვენი კლასის დევიზი.

## გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – ინდივიდუალური სავარჯიშო თვითშეფასებისთვის (10წთ).**

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ინდივიდუალურად შესავსებ ფურცლებს და უხსნის მათ, რომ დავალება სრულდება მხოლოდ საკუთარი ქმედებების შესაფასებლად და ეს თვითშეფასება დაგვეხმარება ჩვენი ქმედებისა და დამოკიდებულების გააზრებაში.

1. როცა ქუჩაში მივდივარ და ხელში მიჭირავს ნაყინის ქაღალდი, თუ ნაგვის ურნა არ არის ახლომხლო, მე ქაღალდს:
  - ა) ვაგდებ ძირს.
  - ბ) ვდებ ჩანთაში.
  - გ) ვპოულობ ნაგვის ურნას და ქაღალდს შიგ ვაგდებ.

2. ექსკურსიაზე, ტყეში ყოფნისას, დარჩენილ ნაგავს ვაგროვებთ და
  - ა) მიგვაქვს თან და ვყრით ურნაში.
  - ბ) ვტოვებთ ტყეში.
  - გ) საერთოდ არ ვაგროვებთ და არც ვასუფთავებთ გარემოს.
3. მცენარეებს, რომლებიც მაქვს სახლში, ვუვლი:
  - ა) საკუთარი სურვილით.
  - ბ) საერთოდ არ ვუვლი.
  - გ) მშობლების დავალებით.
4. ინფორმაციას გარემოს დაცვის შესახებ ვიღებ:
  - ა) სკოლაში მასწავლებლისგან.
  - ბ) თავად მოვიძიებ.
  - გ) შემთხვევით ვიღებ.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს და ეხმარება მოსწავლეებს თვითშეფასებაში:

- რა დახმარება გაგინათ ამ დავალების შესრულებამ?
- რას და როგორ შეცვლიდით?

#### **აქტივობა №2 – მოთხრობის განხილვა და მსჯელობა (10წთ).**

მასწავლებელი სვამს შეკითხვებს შინ ნაკითხული მოთხრობის განსახილველად:

1. რა მოხდა ერთ დღეს ეზოში?
2. რა დაადგინეს ეზოს ბინადრებმა?
3. ვინ დააგროვა ეზოში ნაგავი?
4. როგორ გადაჭრეს ეზოს ბინადრებმა შექმნილი პრობლემა?
5. რა კავშირი არსებობს გარემოს დაცვასა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის?

**ჩამონერეთ**, რა სახის ნაგავი შეგიმჩნევიათ ეზოში, ქუჩაში, სკოლაში, პარკებსა და სკვერებში.

#### **აქტივობა №3 – როგორ მივალნიოთ სისუფთავეს – ჯგუფური მუშაობა (20 წთ.).**

მასწავლებელი დაყოფს კლასს ჯგუფებად, 4-5 მოსწავლის შემადგენლობით. დაურიგებს მათ ქალაქებს, ფერად ფანქრებს, კალმებს და მისცემს დავალებას: „როგორ დავიცვათ სისუფთავე ჩვენს ქალაქში? როგორ მოვიქცეთ მიზნის მისაღწევად?“

ჩამონერეთ ღონისძიებათა გეგმა. მაგალითად, შეიძლება გამოვაცხადოთ ეზოს დასუფთავების დღე; თავად დავიცვათ ყოველთვის სისუფთავე და ა. შ.

დავალების შესასრულებლად გეძლევათ 10 წთ.


ამის შემდეგ ენყობა პრეზენტაცია.

**აქტივობა №4 – ჯგუფური მუშაობა: ჩვენი კლასის დევიზი (5 წთ.).**

დროის ეკონომიის მიზნით მუშაობა შეიძლება გაგრძელდეს იმავე ჯგუფებში.

მასწავლებელი მისცემს დავალებას: „გაიხსენეთ მოთხრობები „საჩუქარი“ და „ეზოს დასუფთავების დღე“. გამოიყენეთ მიღებული ცოდნა-გამოცდილება და გარემოს დასაცავად შექმენით თქვენი კლასის დევიზი.“

პრეზენტაციის შემდეგ შეირჩევა საუკეთესო დევიზი.



**მოთხრობები:** „გლობუსი“ და „გავანათოთ!“

**სარეკლამო საზოგადოებრივი სახარება:** ორი გაკვეთილი (2 X 45წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

**მოქალაქე** არის პიროვნება, რომელიც სარგებლობს ყველა უფლებით იმ ქვეყანაში, რომელშიც დაიბადა ან რომლის მოქალაქეცაა. პროგრამის კონტექსტში, მოქალაქე არის საზოგადოების (თემის) წევრი.

**კარგი მოქალაქე** არის ადამიანი, რომელსაც ესმის, თუ რა უფლებები, შესაძლებლობები და პრივილეგიები აქვს მას, როგორც საზოგადოების წევრს, კარგად ესმის ისიც, თუ რა პასუხისმგებლობა და მოვალეობა აკისრია მას საზოგადოების მიმართ. კარგი მოქალაქე აქტიურად იცავს და ემსახურება საზოგადოებას და ზრუნავს მის განვითარებაზე.

აუცილებელია, პიროვნებამ გააცნობიეროს „მოქალაქეობის“ ცნების არსი საზოგადოების წევრობის თვალსაზრისით. მართლაც, ადამიანები მიეკუთვნებიან სხვადასხვა საზოგადოებას, გააჩნიათ ტრადიციები და გარკვეული მოლოდინი საზოგადოების წევრთა ქმედებებთან დაკავშირებით.

ქვეყნის, საზოგადოების, სკოლის, ოჯახის ვალია აღზარდოს სრულყოფილი პიროვნება, რომელიც იქნება განათლებული, სოციალური უნარ-ჩვევების მქონე

და ექნება თვითდამკვიდრების სურვილი. იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი, პასუხისმგებლობის მქონე, შეეძლოს ინფორმაციის მოძიება და უნდა ერკვეოდეს საკუთარ უფლება-მოვალეობებში.

სკოლა ქვეყნის მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს. სწორედ სკოლაში უნდა მოხდეს აქტიური მოქალაქის აღზრდა და ჩამოყალიბება. სკოლა მოიცავს საზოგადოების დიდ ნაწილს – მასწავლებლებს, მშობლებს, მოსწავლეებს. ამდენად, სკოლა მხოლოდ ბავშვის აღზრდელად არ გვევლინება; იქ მიმდინარე პროცესები დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებასა და საერთოდ, ქვეყნის ცხოვრებაზე.

ჩვენი მიზანია, აღვზარდოთ მოსწავლე დემოკრატიული ქვეყნის აქტიურ მოქალაქედ, რის მიღწევაშიც სამოქალაქო განათლება დაგვეხმარება, ამიტომ საჭიროა განვსაზღვროთ სამოქალაქო განათლების მიზნები და მისი სწავლების გზები. სამოქალაქო განათლებას ორი ძირითადი მისია აკისრია:

**ინტელექტუალური მისია:**

- ცოდნის შეძენა
- ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების გამომუშავება
- განწყობისა და დამოკიდებულების შექმნა

**სამოქალაქო მისია:**

- პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება
- დამოუკიდებლობის უნარის განვითარება
- არჩევნის უნარის განვითარება

სამოქალაქო განათლების მნიშვნელოვანი საკითხია ტოლერანტი ადამიანის აღზრდა. აქტიურ მოქალაქეს უნდა გააჩნდეს ტოლერანტი ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები შეიძენენ ცოდნას მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ განსხვავებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში პასიურ და აქტიურ მონაწილეობას შორის და განსაზღვრავენ მოსალოდნელ შედეგს ორივე შემთხვევაში;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომელთა დახმარებითაც ყალიბდება ადამიანი კარგ მოქალაქედ (ტოლერანტობა, თანამშრომლობა, აქტიური მოსმენა, კრიტიკული აზროვნება, ნდობის ფაქტორი მუშაობის პროცესში და ა.შ.);

- მოსწავლეები გამოამყვანებენ გაზრდილ პასუხისმგებლობას საზოგადოების კეთილდღეობის მიმართ;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ არსებობს კავშირი მათ ყოველდღიურ საქმიანობასა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს შორის.

### I გაკვეთილი

**მოთხრობა: „გლობუსი.“**



#### გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები გააცნობიერებენ, რას ნიშნავს აქტიური მოქალაქე;
- მოქალაქეობრივ პოზიციაზე დაყრდნობით მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- მოსწავლეები გაიაზრებენ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობას;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ საკუთარი წვლილის შეტანის მნიშვნელობას საზოგადოებისა და, ზოგადად, ქვეყნის კეთილდღეობის საქმეში;
- მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ ზრუნვა და პასუხისმგებლობა ყველა კარგი მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებებია.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მოსწავლის წიგნი, რვეული, დაფა, კალმისტრები, ფანქრები.



#### აქტივობები:

- აქტივობა № 1 – კვლევა ჯგუფებში;
- აქტივობა № 2 – მოთხრობა „გლობუსის“ წაკითხვა;
- აქტივობა № 3 – სავარჯიშო – კარგი მოქალაქის თვისებები;
- აქტივობა № 4 – სავარჯიშო ცოდნის განსამტკიცებლად.

### გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა № 1 – სავარჯიშო „კვლევა ჯგუფებში“**

დაეხმარება მოსწავლეებს გაიაზრონ, რომ აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია მოქალაქეობრივი შეგნების საფუძველია.

მასწავლებელი კლასს ყოფს 5 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს განსახილველად თითო სიტუაცია ეძლევა.

**I ჯგუფი – სიტუაცია – I**

მოსწავლემ მერხზე დაწერა თავისი სახელი, მეორემ მიბაძა ამხანაგს და გვერდზე კაცუნა მიუხატა.

1. როგორ აფასებთ მოსწავლეების ქცევას?
2. რა შედეგი მოჰყვება ასეთ ქცევას?
3. როგორ ექცევიან მოსწავლეები სასკოლო ინვენტარს?
4. რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ სკოლის საკუთრებას?

**II ჯგუფი – სიტუაცია – II**

დედამ ქალიშვილი გაგზავნა პროდუქტების საყიდლად. გოგონამ იყიდა ყველაფერი, ფული გადაიხადა. პროდუქტები წამოიღო და შინ წამოვიდა.

1. რა დაავინწყდა გოგონას?
2. თქვენ როგორ მოიქცეოდით გოგონას ადგილას?
3. რატომ უნდა მოითხოვოთ ჩეკი რაიმეს ყიდვის დროს?
4. როგორ უკავშირდება ეს სიტუაცია მოქალაქეობრივი შეგნების თემას?

**III ჯგუფი – სიტუაცია – III**

ბიჭი დედასთან ერთად ავტობუსით მგზავრობდა. იგი მზესუმზირას მიერთმევდა და ძირს ყრიდა. შორიახლო გოგონა იჯდა. გოგონამ ბიჭს სისუფთავის დაცვისკენ მოუწოდა და ავტობუსიდან ჩავიდა.

1. როგორ შეაფასებთ ამ სიტუაციის მონაწილეთა საქციელს?
2. როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ თავიანთ ქალაქთან?
3. რას მივიღებთ ასეთი საქციელის შედეგად?

**IV ჯგუფი – სიტუაცია – IV**

ნინო ძალიან გახარებული იყო. ის მოხუცს ქუჩაზე გადასვლაში დაეხმარა, თან ტვირთიც აატანინა მესამე სართულზე.

მასწავლებელი ხშირად ესაუბრებოდა ნინოსა და მის თანაკლასელებს ზრდილობასა და მოხუცების პატივისცემაზე. ნინომ მშობლებს სახლში მისვლისთანავე უამბო თავისი საქციელის შესახებ.

სადილის შემდეგ მან თავისი თეფში მაგიდაზე დატოვა, თვითონ კი ტელევიზორის საყურებლად წავიდა.

1. როგორ შეაფასებთ გოგონას საქციელს?
2. როგორი დამოკიდებულება აქვს მას უფროსებისადმი?
3. გოგონას ადგილას რომ ყოფილიყავით, როგორ მოიქცეოდით?

**V ჯგუფი – სიტუაცია – V**

ორი მეგობარი სკოლიდან ბრუნდებოდა. ცხელოდა. მათ ნაყინი იყიდეს. ნაგვის ურნა ვერ დაინახეს. ერთ-ერთმა მათგანმა ნაყინის ქალაღი იქვე, ქუჩაში დააგდო. მეორემ მოძებნა ურნა და ქალაღი ნაგვის ყუთში ჩააგდო.

1. როგორ აფასებთ ბიჭების ქცევას?
2. რასთან არის დაკავშირებული ბიჭების განსხვავებული ქცევა?
3. რომელი მათგანი მოიქცა არასწორად? (დაასაბუთეთ).
4. რა იყო იმის მიზეზი, რომ მეორე ბიჭმა პირველს ხელი არ შეუშალა ნაგვის ძირს დაყრაში?
5. როგორ მოიქცეოდით მეორე ბიჭის ადგილას?

მოსწავლეები 5 წუთის განმავლობაში სხვადასხვა სიტუაციას განიხილავენ. პრეზენტაციისთვის თითოეულ ჯგუფს 2 წუთი ეძლევა. ამის შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას.

**სადისკუსიო კითხვები:**

- რა აერთიანებს თითოეულ სიტუაციას?
- რა უდევს საფუძვლად მოქალაქეობრივ შეგნებას?
- რა თვისებები უნდა ჰქონდეს მოქალაქეს?
- რა ისწავლეთ ამ სიტუაციების გააზრების შემდეგ?

ბოლოს მასწავლებელს გამოაქვს დასკვნა, რომ აქტიური მოქალაქე უნდა ზრუნავდეს გარემოზე – საზოგადოებასა და ბუნებაზე.

აქტიური მოქალაქე მხოლოდ თავად კი არ უნდა ზრუნავდეს გარემოზე, არამედ სხვებსაც უნდა უბიძგოს ანალოგიური ქმედებებისაკენ.

ის პასუხს უნდა აგებდეს საკუთარ საქციელზე.

**აქტივობა № 2 – მოთხრობის კითხვა**

მასწავლებელი მოსწავლის წიგნიდან კითხულობს მოთხრობა „გლობუსს“.

შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს ჩახაზონ რვეულებში და შეავსონ ცხრილები.

პირველი და მეორე ჯგუფი ავსებს I-ლ ცხრილს, ხოლო დანარჩენი სამი

II-ს. მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს.

ბოლოს მასწავლებელი შეაჯამებს პრეზენტაციის შედეგებს და ისაუბრებს მოქალაქეობრივი შეგნების პრინციპებზე.

**აქტივობა № 3 – სავარჯიშო: კარგი მოქალაქის თვისებები.**

**მიზანი:** მოსწავლეები სისტემაში მოიყვანენ თავიანთ ცოდნას კარგი მოქალაქის თვისებების შესახებ.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ფურცლებზე დაწერონ ერთი სიტყ-



ვა, რომელიც მათთვის ასოცირდება კარგი მოქალაქის თვისებასთან. შემდეგ ამაგრებს ამ ფურცლებს დაფაზე.

მასწავლებელი კლასთან ერთად აჯგუფებს ასოციაციებს: ერთნაირს, შინაარსით მსგავსს და ა.შ. ბოლოს მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად ქმნიან სანიმუშო მოქალაქის პორტრეტს.

კარგი იქნება, კლასში გამოიფინოს ამ საკითხზე შექმნილი პლაკატი.

**აქტივობა № 4 – სავარჯიშო ცოდნის განსამტკიცებლად.**

მასწავლებელი მოსწავლეებს საშინაო დავალებას აძლევს. სთხოვს დაწერონ, ჰყავთ თუ არა შინაური ცხოველი, როგორ უვლიან მას, თუ არ ჰყავთ, რომელი ცხოველი სურთ რომ ჰყავდეთ და როგორ მოუვლიან. ჩამოწერონ, რა არის საჭირო ცხოველებისთვის და რა – მათთვის.

1. რა მსგავსება და განსხვავებაა?
2. როგორ ეხმარებიან ოჯახის წევრები, ან თავად როგორ ეხმარებიან მათ?

**II ბაკვეთილი**

**მოთხრობა: „გავანათოთ!“**



**ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ ისინი სხვადასხვა სოციუმს მიეკუთვნებიან, მაგ., ოჯახს, სკოლას, სამეზობლოს;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ სხვადასხვა სოციუმში მათ განსხვავებული როლები აქვთ;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ საერთო საქმეში თავიანთი როლის მნიშვნელობას;
- მოსწავლეები აღმოაჩენენ, რა აყენებს ზიანს მათ გარემოს და დასახავენ ამ ფაქტორების აღმოფხვრის გზებს;
- მოსწავლეები გაიაზრებენ, რომ მათი ქმედებები ზეგავლენას ახდენენ გარემოზე;
- მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ უკეთესი გარემოს შექმნაში;
- მოსწავლეები მოიფიქრებენ, საკუთარი წვლილის შეტანით როგორ გააუმჯობესონ სიტუაცია კლასში, სკოლაში, ეზოში...
- მოსწავლეები გააცნობიერებენ, რომ ყოველი მათგანის გრძნობები, აზრები მნიშვნელოვანია და გავლენას ახდენს კლასის, სკოლისა და სამეზობლოს გარემოზე;
- მოსწავლეები იპოვიან გზას სასიამოვნო და მზრუნველი გარემოს შესაქმნელად კლასში, სკოლაში, სამეზობლოში.



**აქტივობები:**

- აქტივობა № 1 – საშინაო დავალების შემოწმება;
- აქტივობა № 2 – მე ვარ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრი;
- აქტივობა № 3 – საოცნებო კლასი;
- აქტივობა № 4 – მოთხრობის – „გავანათოთ“ წაკითხვა;

**გაკვეთილის მსვლელობა**

**აქტივობა № 1 – საშინაო დავალების შემოწმება.**

მასწავლებელი აკითხებს მოსწავლეებს სხვადასხვა სიტუაციას.

**აქტივობა № 2 – მე ვარ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრი.**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დახატონ სულ მცირე, ოთხვაგონიანი მატარებელი. პირველ ვაგონში ჩახატონ და ჩანერონ ოჯახის რამდენიმე წევრი, მეორე ვაგონში სკოლასთან დაკავშირებული სასიამოვნო საქმიანობები, მესამეში – მასწავლებლები და მეგობრები, მეოთხეში – წრეები, სადაც ისინი დადიან და სხვ.

აჩვენეთ მოსწავლეებს, რამდენ საზოგადოებრივ ჯგუფთან აქვთ მათ ურთიერთობა; რამდენად განსხვავებული და მნიშვნელოვანია მათი როლი.

აუხსენით, თუ რას ნიშნავს სიტყვა საზოგადოება; განიხილეთ ეს ცნება სკოლის კონტექსტში. ასევე აუხსენით, რატომ არის აუცილებელი საზოგადოების წევრების თანამშრომლობა, დახმარება, მხარდაჭერა.

**აქტივობა № 3 – საოცნებო კლასი**

მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, როგორ შექმნან ისეთი სკოლა და საკლასო ოთახი, სადაც თავს ბედნიერად იგრძნობენ. აჩვენეთ მოსწავლეებს მოზაიკა, რომელსაც ნაწილები აკლია. რა აკლია ამ მოზაიკას?

სრულყოფილება ერთიანობაშია. კარგია, როცა არც ერთი ნაწილი არ აკლია. სკოლაში ყოველი მათგანი მოზაიკის ცალკეულ ნაწილს ჰგავს. ყველა უნდა ჩაერთოს, რომ მთლიანი სურათი მივიღოთ.

თითოეულმა მოსწავლემ ერთი სიტყვით უნდა დაწეროს, როგორი კლასი ან სკოლა სურს და მიაკრას ერთ დიდ ფურცელზე.

მოსწავლეებმა უნდა განიხილონ სიტუაცია, რომელიც მათ უკეთესი საკლასო ოთახის შექმნაში დაეხმარება. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რა ფორმით

მიიღებენ მონაწილეობას – ჯგუფურად, თუ ინდივიდუალურად. რატომ არის ზოგჯერ ჯგუფში მუშაობა უმჯობესი? რა გვინცობს ხელს, რომ ერთად უკეთესად ვიმუშაოთ?

**აქტივობა № 4 – მოთხრობის კითხვა**

მასწავლებელი მოხალისეებს შორის კენჭს ყრის და ოთხ „მსახიობს“ არჩევს, რომლებიც საავტორო სკამზე უნდა დასხდნენ და მოთხრობის ნაწილები რიგ-რიგობით წაიკითხონ.

დანარჩენი მოსწავლეები ინდივიდუალურად ავსებენ სქემებს:

პრობლემა	როგორ გადაჭრეს პრობლემა?	რა გამოცდილება მიიღეს პერსონაჟებმა?

პასიური მოქალაქე		აქტიური მოქალაქე	
თვისება	მოქმედება მოთხრობიდან	თვისება	მოქმედება მოთხრობიდან

შემდეგ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას.

**სადისკუსიო კითხვები:**

1. რა არის მოთხრობის მთავარი იდეა?
2. რამდენად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა კარგი მოქალაქეობისათვის?
3. კარგი მოქალაქისთვის დამახასიათებელი რომელი ახალი თვისებები აღმოაჩინეთ?

**მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას:**

ჩამოწერონ ან დახატონ თავიანთ თემში, საზოგადოებაში არსებული პრობლემები (მაგ., ეზო დაბინძურებულია, სპორტული მოედანი არ არსებობს და სხვ.) და წარმატებები (ყოველდღე გააქვთ ნაგავი, მოაწყვეს სკვერი და სხვ.). მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთონ, თავად როგორ გადაჭრიან არსებულ პრობლემებს, პრაქტიკულად როგორ დაეხმარებიან საზოგადოებას.

**მოთხრობა:** „მწვრთნელები.“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ერთი გაკვეთილი (45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

ტერმინი „**სასიცოცხლო უნარ-ჩვევები**“ ნიშნავს ფსიქო-სოციალური და პიროვნებათშორისი ურთიერთობების უნარების ფართო ჯგუფს, რომელსაც შეუძლია დახმარება გაუწიოს ადამიანებს მიიღონ გადაწყვეტილებები, დაამყარონ ეფექტური კომუნიკაცია, განივითარონ დაბრკოლებების გადალახვისა და საკუთარი თავის მართვის შესაძლებლობები. სასიცოცხლო უნარ-ჩვევები ეხმარება ადამიანს იცხოვროს ჯანსაღი და ნაყოფიერი ცხოვრებით. სახელმძღვანელოში კონკრეტულად ვსაუბრობთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე.

მოსწავლეებისათვის აუცილებელია გააცნობიერონ, თუ რამდენად **მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე მომდევნო წლებში**; აქტიურობა და ჯანმრთელობა ხანგრძლივი და სრულყოფილი ცხოვრების საწინდარია. ის ახალგაზრდები, რომლებიც აქტიური და ჯანმრთელი არიან, სავარაუდოდ, უფრო მეტს იღებენ სასწავლო პროცესისაგან და საკუთარი შესაძლებლობების სრულ რეალიზაციას ახდენენ. ჯანმრთელობა პრიორიტეტს წარმოადგენს ყველასთვის, ბავშვების ჩათვლით. მნიშვნელოვანია სწორად კვება, პირადი ჰიგიენა, წინასწარ შემუშავებული დღის რეჟიმი და ფიზიკური აქტივობა.

მასწავლებელმა სკოლაში და მშობელმა ოჯახში უნდა შექმნან ჯანსაღი ემოციური და ფიზიკური გარემო. მათ აღსაზრდელები ჯანსაღი ცხოვრების წესით უნდა დააინტერესონ.

ცხოვრების ჯანსაღი წესის რეალიზებისათვის აუცილებელია თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ქცევის შედეგები და განმტკიცდეს ინდივიდუალური უნარები, რომლებიც ბავშვებს დაეხმარება მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები საკუთარი ცხოვრების წესის შესახებ.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეებს განუვითარდებათ ისეთი პიროვნული თვისებები, როგორცაა საკუთარი თავისადმი პატივისცემა, თვითდისციპლინა, პატიოსნება, პასუხისმგებლობა, კომუნიკაბელობა, ორგანიზებულობა;
- მოსწავლეები გააცნობიერებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსაღი

ცხოვრების წესის არჩევა;

- მოსწავლეები გააცნობიერებენ სწორად კვებისა და ვარჯიშის მნიშვნელობას, ისწავლიან მავნე ჩვევების დაძლევას;
- მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

## 1 ბაკვეთილი

**მოთხრობა: „მწვრთნელები.“**



**ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები ისწავლიან, თუ როგორ იმოქმედონ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ ჯანმრთელობა და კარგად იგრძნონ თავი;
- მოსწავლეები გაიაზრებენ, თუ რა ეხმარება მათ, რომ იყვნენ ჯანმრთელები;
- მოსწავლეები დარწმუნდებიან, რამდენად მნიშვნელოვანია პირადი ჰიგიენის დაცვა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად;



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მოსწავლის წიგნი, რვეული, კალმისტარი, ფანქრები, დაფა, ცარცი.



**აქტივობები:**

- აქტივობა №1 – აზრობრივი რუკის შედგენა: ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- აქტივობა №2 – ჩემი დღის განრიგი;
- აქტივობა №3 – ტექსტის კითხვა;
- აქტივობა №4 – აზრობრივი რუკის შედგენის დასრულება;
- აქტივობა №5 – საშინაო დავალების მიცემა.

**აქტივობა №1 – აზრობრივი რუკის შედგენა: ჯანსაღი ცხოვრების წესი; (10 წთ.).**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი, რომ ჯანმრთელი იყოს (კვება, სპორტი, ურთიერთობები, გონებრივი სამუშაოს ხანგრძლივობა, უსაფრთხოება). შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ან დიდ ფორმატზე ხატავს მოსწავლეს და მოსწავლეებთან ერთად ადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის აზრობრივ რუკას, რომელზეც კარგად ჩანს, თუ რა დაეხმარება მოსწავლეებს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეები განიხილავენ იმ ფაქტორებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე. შესაძლებელია მოხდეს აზრობრივი რუკის სტრუქტურირება. მაგ., ჩემი სხეული, ჩემი გონება, ჩემი ემოცია, ჩემი ურთიერთობები, სპორტი, პირადი ჰიგიენა და სხვა.

კარგი იქნება, თუ მოსწავლეები ჯგუფებში შეადგენენ აზრობრივ რუკებს, შემდეგ კლასში დაკიდებენ და იმსჯელებენ. ბოლოს მასწავლებელი შეაჯამებს ნამუშევრებს და ძირითად საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას. მასწავლებელი უნდა ეცადოს, ჯანსაღი ცხოვრების წესის ყოველ ასპექტს შეეხოს: ფიზიკურს, ინტელექტუალურს, ემოციურსა და სოციალურს.

**კარგი იქნება, თუ მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას.**

**სადისკუსიო კითხვები:**

1. თქვენი აზრით, რას ნიშნავს იყო ჯანმრთელი?
2. დაახასიათეთ ჯანმრთელი და არაჯანმრთელი ადამიანი.
3. როგორ უნდა მოიქცეთ, ჯანმრთელი რომ იყოთ?
4. რა გეხმარებათ ჯანმრთელობის შენარჩუნებაში?

**აქტივობა №2 – ჩემი დღის განრიგი (5 წთ.).**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეიმუშაონ საკუთარი დღის განრიგი.

**აქტივობა №3 – ტექსტის კითხვა (25 წთ.).**

მასწავლებელი კითხულობს მოთხრობა „მწვრთნელების“ I ნაწილს.

შემდეგ მოსწავლეებს უსვამს კითხვებს:

1. სპორტის რომელი სახეობაა მძლეოსნობა?
2. რა არის მწვრთნელის მოვალეობა?
3. რას ნიშნავს ასპარეზობა?
4. რა შეცდომა დაუშვა ლიზიკომ?
5. რა შეიძლება მოხდეს, გაურეცხავ ხილს თუ მიირთმევთ?
6. რა შეიძლება მოხდეს, ჰიგიენის ელემენტარულ ნორმებს თუ არ დაიცავთ?

კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს კითხვას.

მეორე ნაწილის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი კვლავ მართავს დისკუსიას:

1. რატომ ვერ მიიღო მონაწილეობა კოკიმ შეჯიბრში?
2. რა შეცდომა დაუშვა მწვრთნელმა მაცაცომ?
3. თქვენი აზრით, როგორ უნდა ევარჯიშათ „სპორტსმენებს“?

მასწავლებელი კითხულობს მოთხრობის მესამე ნაწილს.

შემდეგ კვლავ აგრძელებს დისკუსიას:

1. რით დაინწყო ეზოს ბინადართა წვრთნა ძია ალექსიმ?
2. როგორ უნდა დავიცვათ პირადი ჰიგიენა?
3. როგორ უნდა მოვიქცეთ, ჯანმრთელები რომ ვიყოთ?

#### **აქტივობა №4 – აზრობრივი რუკის შედგენის დასრულება (5 წთ.).**

მოთხრობის ნაკითხვის შემდეგ მასწავლებელი კვლავ უბრუნდება გაკვეთილის დასაწყისში შექმნილ აზრობრივ რუკას და მოსწავლეების დახმარებით ამატებს ჯანმრთელობისთვის საჭირო ქმედებების ჩამონათვალს.

#### **აქტივობა №5 – საშინაო დავალების მიცემა.**

მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ ბაოს რჩევები (მოცემულია მოსწავლის წიგნში), იმსჯელეთ, შემდეგ კი მიეცით მოსწავლეებს დავალება, მისწერონ ბაოს წერილი.

სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ მოთხრობა „ნარინჯისფერი ამბავი მწვანე ტონში“.

## **თემა 17**

# **განსხვავებული ყუცურებთან ურთიერთობა**

**მოთხრობები:** „ნარინჯისფერი ამბავი მწვანე ტონში“ და „მაცაცო მოგზაურობს“.

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

**კულტურა** შედგება თემის (საზოგადოების) ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და საერთო გამოცდილებისაგან.

**ურთიერთობა** ნიშნავს, განაცხადო ან გადასცე ახალი ამბები ან ინფორმაცია, აწარმოო სოციალური გარიგება, იქონიო გამოკვეთილი ურთიერთობა.

**კულტურათაშორისი ურთიერთობა** წარმოადგენს ურთიერთობას სხვადასხვა კულტურებს შორის.

**კულტურათაშორისი ურთიერთობა** შედარებით ახალი ტერმინია, რომელიც ნიშნავს სხვა კულტურის წარმომადგენელთან ურთიერთობისას კულტურული

განსხვავებისა და მსგავსების აღიარებასა და ცნობას. აგრეთვე იმის გაცნობიერებას, თუ რა ზეგავლენას ახდენს კულტურა ადამიანის ქცევაზე.

კულტურათაშორისი ურთიერთობა მნიშვნელოვანია როგორც კონცეპტუალური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, კონფლიქტი წარმოიშობა ურთიერთგაგების დეფიციტის გამო. კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარი ადამიანებს ეხმარება უკეთ გაუგონ ერთმანეთს, უკეთ გაიაზრონ ერთმანეთის მოსაზრებები და მოტივები.

**ურთიერთობა** დაკავშირებულია კულტურასთან. თითოეულ კულტურას გააჩნია სათანადო წესები ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური (არასიტყვიერი) კომუნიკაციისა. შინაარსის გამოხატვისა და გაზიარების საშუალებები თავისთავად შეიძლება შეზღუდული იყოს ენის ფაქტორის გამო, რადგან ზოგიერთი სიტყვა არსებობს ერთ ენაში, მაგრამ არ არსებობს მეორეში. პიროვნების ურთიერთობის ხერხებიდან ჩანს ის, თუ რომელი კულტურის წარმომადგენელია იგი.

კულტურათაშორისი ურთიერთობის ეფექტურად წარმართვა ნიშნავს ურთიერთობაში მოსალოდნელ დაბრკოლებათა განჭვრეტას და მოთმინებით აღჭურვას ამ დაბრკოლებათა გადასალახად. ეს იმის გაცნობიერებასაც ნიშნავს, რომ კულტურათაშორისი კომუნიკაციის დროს არ არსებობს ურთიერთობის ერთადერთი სწორი მეთოდი და რომ ასეთი ურთიერთობისას მნიშვნელოვანია მოქნილობა და ქცევის მისადაგება. კრიტიკული აზროვნება ადამიანს ეხმარება კულტურული განსხვავებულობის გაცნობიერებასა და აღქმაში, აგრეთვე კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

### **სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები ისწავლიან ეფექტური კულტურათაშორისი ურთიერთობის აგებას და დაინახავენ, თუ რაოდენ სასარგებლოა იგი;
- მოსწავლეები შეძლებენ სხვა კულტურის დაფასებას;
- მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება კრიტიკულად გააანალიზონ კულტურული ნიუანსები, სხვადასხვა მოსაზრებები და (ტოლერანტობის საშუალებით) თავი აარიდონ კულტურულ სტერეოტიპებს;
- მოსწავლეებს ადამიანთა მიმართ მეტი პატივისცემა გაუჩნდებათ რელიგიის, რასის, ეროვნებისა თუ სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად;
- მოსწავლეები უკეთ გააცნობიერებენ, რა არის სტერეოტიპი, მიხვდებიან, რომ სტერეოტიპული აზროვნება ხელს უწყობს კონფლიქტის გამოწვევას და მის ესკალაციას (გაძლიერებას).



## I გაკვეთილი

**მოთხრობა:** „ნარინჯისფერი ამბავი მწვანე ტონში“



### გაკვეთილის მიზნები:

- გავაცნოთ მოსწავლეებს კულტურის აღწერის მოდელი;
- მივცეთ მოსწავლეებს განსხვავებულ კულტურულ გარემოზე დაკვირვების სტიმული;
- დავაფიქროთ მოსწავლეები იმაზე, თუ რა წარმოშობს პრობლემებს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთობის დროს;
- გავაცნობიერებინოთ მოსწავლეებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი ურთიერთობა და განსხვავებული კულტურის პატივისცემა;
- დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, რომ კულტურათაშორისი ურთიერთობა ორივე მხარისათვის სასარგებლოა.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** ოთხი კონტინენტის მიხედვით – აზია, ამერიკა, აფრიკა, ევროპა – ოთხად გაყოფილი და შესაბამისად შეფერადებული (თითოეული კონტინენტი განსხვავებულ ფერში) პლაკატი სავარჯიშოსთვის – „რა მისცეს მსოფლიოს“. ასევე შესაბამის ფერში შეფერადებული ბარათები, რომლებზეც გამოსახულია ის, რაც მისცეს მსოფლიოს ამ კონტინენტებმა; მოთხრობის ტექსტი.



### აქტივობები:

- **აქტივობა №1** – მინი-ლექცია: რა არის კულტურა და კულტურათაშორისი ურთიერთობა;
- **აქტივობა №2** – თამაში: როგორ ესაღმებინან ერთმანეთს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები;
- **აქტივობა №3** – მოთხრობის განხილვა;
- **აქტივობა №4** – სავარჯიშო: „რა მისცეს მსოფლიოს?“

### გაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1** – მინი-ლექცია: რა არის კულტურა და კულტურათა შორის ურთიერთობა (5 წთ.).

მისაღმების და გაკვეთილის თემის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი ატარებს მინი-ლექციას, რა არის კულტურა.

მაგალითად, სრულიად განსხვავებულია ემოციის მართვის კულტურა ქართულ და იაპონურ ტრადიციებში. იაპონელი არასოდეს გამოხატავს სახალხოდ თავის მწუხარებას. ამის გამოხატულებაა ღიმილი, რომელიც სახეზე აფენია მას ხალხის დასანახად გლოვის ჟამსაც კი. თუნდაც ცხოველებთან დამოკიდებულება ავიღოთ სხვადასხვა კულტურაში. ინდურ კულტურაში ზოგიერთი შინაური ცხოველი თაყვანისცემის ობიექტია (მაგალითად, ძროხა), განსხვავებით სხვა, მაგალითად, ქართული კულტურისაგან.

განსხვავებულია მისაღმების მანერაც. მოდით, გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

### **აქტივობა №2 – თამაში: როგორ ესაღმებიან ერთმანეთს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები (10 წთ.).**

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მისაღმების 4 განსხვავებულ მანერას:

- იაპონური – შეტყუებული ხელისგულები მკერდთან და გვერდზე დახრილი თავი;
- ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელების – მხარს ზემოთ აწეული ხელის მტევანი;
- თანამედროვე ევროპული – მარჯვენა ხელის ჩამორთმევა;
- ძველი ქართული (სამეგრელოში გავრცელებული) – მარჯვენა მხარზე ამბორი.

შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ქვეყანას და მოსწავლეები შესაბამისად ესაღმებიან თავიანთ მეწყვილეს (გვერდით მჯდომს).

### **აქტივობა №3 – მოთხრობის „ნარინჯისფერი ამბავი მწვანე ტონში“ განხილვა (15 წთ.).**

მასწავლებელი სვამს მსჯელობის მასტიმულირებელ კითხვებს:

- რა ისწავლეს მწვანე კაცუნებმა ნარინჯისფერი ტურისტისაგან?
- რა საინტერესო ჩვეულება გააცნო მაცაცომ პაკოს?
- რატომ გაუნაწყენდნენ პაკოს კოკი და თუთა?
- რამ გახდა ბავშვებისათვის მისაღები ეს უცნაური ჩვეულება?
- რის შესახებ გვიამბობს ეს მოთხრობა?
- შეგიძლიათ თუ არა გაიხსენოთ და მოიყვანოთ მაგალითები (შესაძლოა პირადი გამოცდილებიდანაც), სადაც ნათლად ჩანს განსხვავება ქართულ კულტურასა და სხვა კულტურებს შორის, ან ისაუბროთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის განსხვავებულ ტრადიციებზე და ა.შ.

**აქტივობა №4 – სავარჯიშო: რა მისცეს მსოფლიოს? (15 წთ.).**

დაფაზე გაკრულია პლაკატი, რომელზეც მითითებულია ოთხი სხვადასხვაფრად შეფერადებული კონტინენტი. პლაკატის ყველაზე უმარტივესი ფორმა ასეთი შეიძლება იყოს:

აზია	ამერიკა	აფრიკა	ევროპა

შესაძლებელია, ამ სქემას ოთხნაწილიანი სფეროს ფორმაც მიეცეთ.

მასწავლებელი ოთხ ჯგუფად ყოფს მოსწავლეებს, ურიგებს მათ ბარათებს, რომლებზეც წერია ან გამოსახულია ის, რაც მისცა ამა თუ იმ კონტინენტმა მსოფლიოს. ბარათები შეფერადებულია კონტინენტების შესაბამისად. ფერი გარკვეული სიგნალია, რაც მოსწავლეებს შესაბამისი ბარათების სწრაფად ამოცნობაში ეხმარება. თითოეული ჯგუფი თითო კონტინენტის შესაბამის ბარათებს აგროვებს. როცა შეაგროვებენ შესაბამისი ფერის ბარათებს, ჯგუფის წარმომადგენლები პლაკატ-სქემას ავსებენ – წერენ მასში იმას, რაც ბარათებში ამოიკითხეს. შესაბამისად შევსებულმა სქემამ ასეთი სახე უნდა მიიღოს:

აზია	ამერიკა	აფრიკა	ევროპა
<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩაი</li> <li>• სანელებლები</li> <li>• შარვალი</li> <li>• დიპლომატია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პომიდორი</li> <li>• სიმინდი</li> <li>• კარტოფილი</li> <li>• ჯაზი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ყავა</li> <li>• ოქრო</li> <li>• პირველი ადამიანი</li> <li>• პირამიდები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კინო</li> <li>• ფოტოაპარატი</li> <li>• კლასიკური მუსიკა</li> <li>• ინგლისური ენა</li> </ul>

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ და მოიყვანონ მაგალითები პირადი გამოცდილებიდან.

## II ბაკვეთილი

**მოთხრობა:** „მაცაცო მოგზაურობს“.



### ბაკვეთილის მიზნები:

- კულტურათაშორისი ურთიერთობის დროს წარმოქმნილი პრობლემების განსაზღვრა;
- განსხვავებულის მიმართ პატივისცემის მნიშვნელობის გაცნობიერება კულტურათაშორისი ურთიერთობების დროს;
- იმის გაცნობიერება, თუ რა უდევს საფუძვლად და რა შედეგი მოსდევს კულტურათაშორის გაუგებრობას;
- იმის გაცნობიერება, რომ წარმატებული ურთიერთობა სხვა კულტურის წარმომადგენლებთან შეუძლებელია ამ კულტურისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებების გათვალისწინების გარეშე.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** მოთხრობის ტექსტი; თამაშის წერილობითი ინსტრუქცია.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 – მოთხრობის წაკითხვა და მსჯელობა ტექსტის შესახებ.
- აქტივობა №2 – თამაში – „კარამბია.“

### ბაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – მოთხრობის „მაცაცო მოგზაურობს“ წაკითხვა და მსჯელობა ტექსტის შესახებ (20 წთ).**

(რა ფორმით მოხდება მოთხრობის ტექსტის გაცნობა, მასწავლებელმა შეიძლება თავად გადაწყვიტოს). შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს მსჯელობის სტიმულირებისათვის:

- რის შესახებ ესაუბრებოდა მაცაცო შოკოლადისფერ ბიჭუნას?
- რა მოეწონა და რა არა შოკოლადისფერ ბიჭუნას მაცაცოს ნაამბობიდან და როგორ გამოხატა მან თავისი დამოკიდებულება?
- როგორ გამოხატა მაცაცომ სუფრასთან ჯდომის დროს შოკოლადისფერი ბიჭუნას ტომის ჩვეულებებისადმი პატივისცემა?
- რამ აღაშფოთა სამშობლოში დაბრუნებული მაცაცო?

- რას მიხვდნენ ბავშვები ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ?
- როგორ დასრულდა ეს ისტორია?

**აქტივობა №2 – თამაში „კარამბია“ (25 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რა პრობლემები წარმოიშობა სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს.

**რესურსები: წერილობითი ინსტრუქცია (დანართი I).**

**თამაშის მსვლელობა:**

1. ჯგუფიდან აარჩიეთ სამი მოსწავლე, რომლებიც „წარგზავნილთა“ (ელჩების) როლს შეასრულებენ ამ თამაშში. სასურველია, ეს სამი მოსწავლე ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს სქესისა და პიროვნული თვისებების მიხედვით. „წარგზავნილები“ გადიან მეორე ოთახში (დერეფანში), იქ იღებენ დაწერილ ინსტრუქციას (იხ. დანართი 1) და მასზე დაყრდნობით ამზადებენ კითხვებს ჯგუფის წევრებისათვის (ამ პროცედურას შეიძლება დაეთმოს 10 წუთი). თითოეული წარგზავნილი დამოუკიდებლად ამზადებს შეკითხვებს.
2. ვიდრე წარგზავნილები დავალებას ასრულებენ, მიეცით ჯგუფს შემდეგი ინსტრუქცია: ჩვენ კარამბიელები ვართ, წარმომადგენლები ქვეყანა კარამბიისაა, რომელსაც მდიდარი ისტორიული წარსული, უზარმაზარი ტერიტორია და ამოუწურავი ბუნებრივი რესურსები გააჩნია. ჩვენთან მოდიან ადამიანები სხვა ქვეყნიდან, რომლებსაც ჩვენი და ჩვენი კულტურის ახლოს გაცნობა სურთ. ჩვენ უნდა დავიცვათ სამი წესი, რომელიც მიღებულია ჩვენს ქვეყანაში:
  - ჩვენ შეგვიძლია საუბარი მხოლოდ ჩვენივე სქესის ადამიანთან (ბიჭს ბიჭთან და გოგონას გოგონასთან), ეს ეხებათ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც.
  - ჩვენს ლექსიკონში არის მხოლოდ ორი სიტყვა – „დიახ“ და „არა“.
  - ჩვენი პასუხი დამოკიდებულია იმაზე, იღიმება თუ არა ის, ვინც კითხვას სვამს. თუ ადამიანი იღიმება, ვპასუხობთ „დიახ“, თუ არ იღიმება, ვპასუხობთ – „არა“.
3. დარწმუნდით, რომ მოსწავლეებმა წესები კარგად აითვისეს.
4. დაიწყეთ თამაში, როცა სხვა ქვეყნის წარმომადგენლები მზად იქნებიან. მოიპატიეთ ისინი სათითაოდ, ისე, რომ თითოეულმა არ იცოდეს, რა კითხვები დასვა მისმა კოლეგამ.
5. გამოკითხვის შემდეგ, თითოეული წარმომადგენს მოკლე ანგარიშს კარამბიელებისა და კარამბიის კულტურის შესახებ.

### მსჯელობა და ანალიზი:

მას შემდეგ, რაც სხვა ქვეყნის წარმომადგენლები გააცნობენ თავიანთ ანგარიშებს, შესთავაზეთ კლასს დისკუსია, რომლისთვისაც შეარჩიეთ ქვემოთ მოცემული კითხვებიდან რამდენიმე (შეგიძლიათ დაფაზე ჩამოწეროთ):

- შეამჩნიეს თუ არა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა რაიმე განსაკუთრებული ქცევა კარამბიელთა ურთიერთობაში?
- რას განიცდიდნენ ისინი კარამბიელებთან ურთიერთობისას?
- თუ ყოფილხართ მსგავს მდგომარეობაში? გვიამბეთ ამის შესახებ.
- რას იტყოდით სხვა ქვეყნის წარმომადგენლების ქცევის შესახებ?
- როგორ ახსნიდით მათ შორის წარმოქმნილ გაუგებრობას?
- რა ისწავლეთ ამ თამაშიდან?

მსჯელობის შემდეგ „კარამბიელებს“ შეუძლიათ ესაუბრონ სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს საკუთარ კულტურაში მიღებული ურთიერთობის წესის შესახებ.

მსჯელობის დროს ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკვანძო მომენტებზე:

- სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ერთსა და იმავე ქცევას სხვადასხვანაირად ხსნიან;
- ადამიანი სხვა კულტურის შეფასებისას საკუთარ კულტურაში მიღებულ ფასეულობებს ეყრდნობა;
- სხვა კულტურულ გარემოში მოხვედრილი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურულ გარემოზე პრაქტიკულად არაფერი არ იცის, მის თავისებურებებს უარყოფითად აფასებს;
- სხვა კულტურის წარმომადგენლის გაუგებარი ქცევა გაღიზიანებას და აგრესიას იწვევს;
- სხვა კულტურის შეცნობისთვის მნიშვნელოვანია დაუმეგობრდე ამ კულტურის ერთ-ერთ წარმომადგენელს, რომელიც მეგზურობას გაგიწევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეები მივიყვანოთ შემდეგ დასკვნებამდე:

- ჩვენ გვინდა, რომ ყველა ჩვენნაირად ფიქრობდეს;
- ჩვენ გამოგვაქვს მცდარი დასკვნები, როცა სხვა კულტურის თავისებურებებს არ ვიცნობთ.

## დანართი 1

### ინსტრუქცია წარგზავნილებისათვის:

თქვენს ქვეყანას კარამბიასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სურს. ამისათვის საჭიროა გაიგოთ, რას წარმოადგენს ეს ქვეყანა და რა თავისებურებები ახასიათებს მის კულტურას. თქვენი ქვეყნის მთავრობამ საპატიო მისია დაგაკისრათ: კარამბიაში ელჩად უნდა გაემგზავროთ. ეს ვიზიტი იქნება პირველი შეხება თქვენი ქვეყნის წარმომადგენლისა ამ ქვეყანასთან. თქვენი ამოცანაა, გაიგოთ რაც შეიძლება მეტი ამ ქვეყნის, მისი მცხოვრებლებისა და კულტურის შესახებ და წარუდგინოთ მოხსენება მთავრობას. კარამბიის მცხოვრებლებს მხოლოდ ისეთი კითხვები უნდა დაუსვათ, რომლებზეც შესაძლებელია გაეცეს პასუხები – „დიახ“ და „არა“. თქვენ შეგიძლიათ დაამთავროთ ვიზიტი მაშინ, როცა მიხვდებით, რომ საკმარისი მასალა გაქვთ მოხსენებისათვის.

თუ რაიმე შეკითხვა გაგიჩნდებათ თამაშის წესებთან დაკავშირებით, დასვით ის თამაშის დანყებად. მოამზადეთ კითხვები კარამბიელებისათვის. არ დაბრუნდეთ საკლასო ოთახში, ვიდრე არ მივიწვევენ.

**მოთხრობა:** „ვარსკვლავი“

**სარეკომენდაციო ხანგრძლივობა:** ორი გაკვეთილი (2 X 45 წთ.).

**ძირითადი ცნებები:**

სამოქალაქო საზოგადოებაში, სადაც აღიარებულია დემოკრატიული ღირებულებები, ყველა ადამიანი **თანასწორია**, ყველა ადამიანი ყოველგვარი განსხვავების გარეშე – წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიური მრწამსის, ენის, სქესის, სოციალური მდგომარეობის – თანაბარუფლებიანია; თანასწორობა ნიშნავს იმას, რომ ამ ნიშნით ყოვლად დაუშვებელია რაიმე უპირატესობის ან შეზღუდვის დანესება. საზოგადოებრივი სარგებელი ყველა ადამიანისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თანასწორობის გარანტი არის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიმართ კეთილგანწყობა და ურთიერთპატივისცემა. თანასწორობის აღიარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედია ტოლერანტული საზოგადოებისა, რომელსაც აქვს უნარი, იყოს სამართლიანი სხვა ადამიანების მრწამსისა და მოსაზრებების მიმართ და სხვა ადამიანი მიიღოს ისეთად, როგორც არის.

**დისკრიმინაცია** არატოლერანტული ქმედების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ეს შეიძლება იყოს ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების მიმართ უსამართლოდ მოპყრობა რაიმე განსხვავების საფუძველზე, დევნა, გადასახლება, აკრძალვა, რეპრესიები, ძალადობრივი ქმედებები. რწმენა იმისა, რომ ჩვენგან განსხვავებული, რაღაცით ჩვენზე უარესია, ცნობიერად თუ არაცნობიერად გვაძლევს ნებისმიერი დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახველი ქცევის გამართლების საშუალებას, რაც არის დისკრიმინაციის საფუძველი.

მნიშვნელოვანია მოსწავლეებში მოვახდინოთ იმ ღირებულებათა ფორმირება, რომლებიც აღმოფხვრის არაჯანსაღ რწმენას საკუთარი უპირატესობის მიმართ, რაც ხშირ შემთხვევაში მათში ასტიმულირებს დამამცირებელ, შეურაცხმყოფელ, ღირსების შემლახველ ქცევას. ეს არ არის მხოლოდ მორალური ვალდებულება, ეს არის სამართლებრივი მოთხოვნა და საზოგადოებრივი სტაბილურობის გარანტი.

**სასწავლო მიზნები:**

- მოსწავლეები გაიგებენ თანასწორობის მნიშვნელობას ადამიანთა შორის ურთიერთობისას;



- მოსწავლეები გააცნობიერებენ დისკრიმინაციის ნეგატიურ შედეგს მთელი საზოგადოებისთვის.

## I ბაკვეთილი

**მოთხრობა:** „ვარსკვლავი.“



**ბაკვეთილის მიზნები:**

- მოსწავლეები განიხილავენ დისკრიმინაციის მაგალითს და იგრძნობენ, თუ რას განიცდიან დისკრიმინირებული ადამიანები;
- მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ უარყოფითი დამოკიდებულება არატოლერანტული ქმედებების მიმართ.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** ფურცლები, კალმები, მარკერები.



**აქტივობები:**

- აქტივობა №1 – თემის გაცნობა, ცნებების განმარტება;
- აქტივობა №2 – სავარჯიშო – „დისკრიმინაციის ექსპერიმენტი“;
- აქტივობა №3 – მოთხრობის დამუშავება მცირე ჯგუფებში;
- აქტივობა №4 – ჯგუფების პრეზენტაციები.

## ბაკვეთილის მსვლელობა

**აქტივობა №1 – მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თემას, განმარტავს ცნებებს (5 წთ.).**

**აქტივობა №2 – სავარჯიშო: დისკრიმინაციის ექსპერიმენტი (20 წთ.).**

**მიზანი:** მოსწავლეები საკუთარ თავზე გამოცდიან დისკრიმინაციის შედეგად გამონვეულ მდგომარეობას და გააცნობიერებენ მის ნეგატიურ ასპექტებს.

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ დისკრიმინაციის ექსპერიმენტში უნდა მიიღონ მონაწილეობა. დაყავით კლასი თანაბრად (+)- ებად, (–) - ებად, მონაწილეებად და დამკვირვებლებად.

დაამზადეთ ქალაქის ნახევი (+) და (-) ნიშნებით. ქალაქები ყუთში ჩაყარეთ და ბავშვებს ამოაღებინეთ. (+) ნიშნიანი ქალაქის მქონე ბავშვები კლასში ფავორიტების (გამორჩეულების) ჯგუფს წარმოადგენენ. (-) ნიშნიანები დისკრიმინირებულები იქნებიან. გაახსენეთ, რომ გადანყვეტილება შემთხვევით იქნა მიღებული და ეს მხოლოდ მოკლე ექსპერიმენტი იქნება. აუცილებელია, ბავშვებმა ეს კარგად გაიგონ.

შემდეგი 5 წუთის განმავლობაში ფავორიტები უპირატესობით სარგებლობენ. ისინი ირჩევენ ადგილს, მათ ყველა კითხვას პასუხს სცემენ, საქებად სიტყვებს ეუბნებიან და ა.შ. (-) ნიშნიანები შეზღუდული არიან, ვერ ირჩევენ ადგილს, მათ ცუდად ეპყრობიან, მათი ნებისმიერი ქმედება გაზვიადებული კრიტიკის საგანი ხდება.

5 წუთის განმავლობაში შეაცვლევინეთ ბავშვებს როლები და კვლავ გაიმეორეთ პროცედურა.

შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ როგორ გრძნობდნენ თავს ორივე შემთხვევაში. ჰკითხეთ ასევე მონაწილეებსა და დამკვირვებლებს, თუ ჰქონიათ შემთხვევები მათ ცუდად მოპყრობოდნენ რაიმე განსხვავების, რაიმე ნიშნის გამო? რამდენად სამართლიანია ვინმე იყოს პრივილეგირებული ან დისკრიმინირებული ამა თუ იმ განსხვავების გამო?

აუცილებელია მასწავლებელმა იმსჯელოს იმის შესახებ, რომ დისკრიმინაციული გამოვლინებანი, იქნება ეს მცირედი, თუ დიდი, შეურაცხმყოფელი და საზიანოა ორივე მხარისათვის, ვინაიდან დისკრიმინაცია ხელს უშლის ადამიანებს შორის ჯანსაღ ურთიერთობებს და აცდენს მხარეებს არსებული პრობლემის გადაჭრის გზიდან. აგრეთვე, ხელს უშლის ტოლერანტული და თანასწორი საზოგადოების განვითარებას. რწმენა იმისა, რომ ჩვენგან განსხვავებული, ჩვენზე რაღაცით უარესია, ცნობიერად თუ არაცნობიერად გვაძლევს ნებისმიერი დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახველი ქცევის გამართლების საშუალებას, რაც დისკრიმინაციის საფუძველია.

### აქტივობა №3 – მოთხრობის დამუშავება მცირე ჯგუფებში (15 წთ.).

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი აცნობს ბავშვებს განსახილველ მოთხრობას „ვარსკვლავი“ და ეუბნება, რომ მათ უნდა წაიკითხონ მოთხრობა ჯგუფებში, განიხილონ და წარმოადგინონ პრეზენტაციები. შემდეგ ყოფს კლასს ოთხ ჯგუფად, ურიგებს მათ მოსწავლის წიგნს, თითოეულ ჯგუფს აძლევს სამუშაო ბარათს, რომელშიც მოცემულია ეპიზოდი მოთხრობიდან და კითხვები მოთხრობის გასააზრებლად:

„იპოვეთ მოთხრობაში ქვემოთ მოცემული ეპიზოდები და გაიაზრეთ მოთხრობაში ასახული პრობლემები შემდეგი კითხვების დახმარებით:“

1. „უკეთესი იქნება, თუკი საერთოდ წახვალ აქედან... მე მგონი, ასე აჯობებს“...  
რა სურდათ ეზოს ბინადრებს? რატომ მიმართა ნიკუშამ მეგობარს ასე? გაიხსენებთ შემთხვევას, როცა უსამართლოდ მიმართეთ ვინმეს? რას გრძნობდით მაშინ?
2. „ამ ქუდის გამო პაკო ყველასგან განსხვავდება.... რაღაც უცნაურად გამოიყურება... სწორედ ამიტომ არ მინდა, რომ უცხოპლანეტელს ჩვენთან ერთად დახვდეს“... (როგორ ფიქრობთ, რატომ სურდა ნიკუშას, რომ პაკო უცხოპლანეტელს არ ენახა? რა რეაგირება მოახდინეს დანარჩენებმა?)
3. „აბა, წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, ვინმესთან მხოლოდ იმიტომ არ იმეგობრო, რომ განსხვავებულად აცვია და სხვებს არა ჰგავს“...  
რა გრძნობები გაუჩნდა პაკოს, როცა ის გარიყეს? როგორი დამოკიდებულება შეიძლება გასჩენოდა პაკოს საკუთარი თავისა და მეგობრების მიმართ?
4. „ყველა უნდა მივიღოთ ისეთად, როგორც ის არის! – ჩუმად თქვა ნიკუშამ და პაკოსთან მივიდა. ვარსკვლავი გაუწოდა და გაუღიმა“. რის შემდეგ მოიქცა ნიკუშა ასე? რატომ მიაჩნდა კოკის, რომ არასწორად იქცეოდნენ? რა გაახსენდა კოკის საკუთარი გამოცდილებიდან?

### რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

#### აქტივობა №4 – ჯგუფების პრეზენტაციები (5 წთ.).

დავალების შესრულების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ პრეზენტაციებს. მასწავლებელი ახდენს შეჯამებას.

## II გაკვეთილი



### გაკვეთილის მიზნები:

- მოსწავლეები გააანალიზებენ ტოლერანტი ადამიანისთვის საჭირო თვისებებსა და უნარებს;
- მოსწავლეები შეაფასებენ მიღებულ ცოდნას.



**მეცადინეობისთვის საჭირო რესურსები:** ფერადი ფურცლები, ფორმატები, მარკერები, კალმები, ფურცლები.



### აქტივობები:

- აქტივობა №1 თამაში „ჯადოსნური მაღაზია“;
- აქტივობა №2 პლაკატის შექმნა - „ტოლერანტობის სამყარო“;
- აქტივობა №3 პროგრამის შეფასება.

## გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა №1 – თამაში „ჯადოსნური მაღაზია“ (15 წთ.).

**ჩატარების პროცედურა:** მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს, რომ ის არის ჯადოსნური მაღაზიის გამყიდველი და მას აქვს ძალიან ღირებული რამ: თვისებები, საჭირო უნარ-ჩვევები, ადამიანური ფასეულობები. თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ, მითხრათ რა გნებავთ, რისთვის გნებავთ, როგორ გამოიყენებთ და რას მთავაზობთ სანაცვლოდ, ან რას მპირდებით? ჩამონათვალი წერია ფერად ბარათებზე და დაკრულია ფორმატზე:

*მოთმინება; მოსმენის უნარი; იუმორის გრძნობა; გულისხმიერება; ნდობა; ერთგულება; გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი; განსხვავებული პიროვნების პატივისცემა; განსხვავებული აზრის პატივისცემა; თავდაჭერის უნარი; კეთილმოსურნეობა; სხვა ადამიანების განუსჯელობა; ცხოვრების ჯანსაღი წესის ჩვევები; თანამშრომლობის უნარი; თანაგრძნობა.*

მყიდველის როლში უნდა აღმოჩნდეს ყველა ბავშვი. თამაშის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აჯამებს აქტივობას. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს თვისებები, უნარ-ჩვევები, ღირებულებები თანდაყოლილი არ არის და შესაძლებელია მათი გამომუშავება და განვითარება. ამის საშუალება კი მათ სწორედ ამ პროგრამაში მონაწილეობით მიეცათ. მასწავლებელი ეუბნება

ბავშვებს, რომ ასეთი ტიპის გაკვეთილები განსაკუთრებულ გავლენას ახდენს პიროვნების აზროვნების ჩამოყალიბებაზე და ეხმარება მას უკუაგდოს ხელის შემშლელი, არაგონივრული აზრები, რაც შემდეგ აისახება მის ქცევაზე; ეს კი არაკონფლიქტური და ტოლერანტული გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

**აქტივობა №2 – პლაკატის შექმნა „ტოლერანტობის სამყარო“ (20 წთ.).**

მასწავლებელი ყოფს კლასს ოთხ ჯგუფად, ურიგებს მათ ფორმატებს, მარკერებს და ავალებს შექმნან პლაკატი – „ტოლერანტობის სამყარო“, მისი ყველანაირი გამოვლინებით. დავალების შესრულების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ პრეზენტაციას.

**აქტივობა №3 – პროგრამის შეფასება (10 წთ.).**

მასწავლებელი ახდენს პროგრამის შედეგების შეფასებას შემდეგი კითხვების დახმარებით:

- რა ისწავლეთ, რა მოგეწონათ, რა არ მოგეწონათ?
- როგორ ფიქრობთ, სად და რისთვის გამოიყენებთ მიღებულ გამოცდილებას?
- რომელი თემები იყო ყველაზე საინტერესო?
- რა სარგებლობა მოგიტანათ პროგრამაში მონაწილეობამ?
- შეიცვალეთ თუ არა თავად ან, შეგეცვალათ თუ არა რაიმეზე წარმოდგენა?

## გამოყენებული ლიტერატურა

1. სტატია „რა არის კრიტიკული აზროვნება“, დევიდ ქლუსტერი, „ნიგნიერი“, პროფესიული საგანმანათლებლო ჟურნალი კითხვის, წერისა და აზროვნების შესახებ, 2002-2004 წლებში გამოქვეყნებული სტატიების ანთოლოგია,
2. „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისთვის“, სახელმძღვანელო II, ჯინი ლ. სთილი, ქერთის ს. მერედითი, ჩარლზ თემფლი.
3. გრეის კრაიგი, განვითარების ფსიქოლოგია, გამომცემლობა: პიტერი, 2002 (Грейс Крайг, Психология Развития, Питер, 2002).
4. ვასნავლოთ ადამიანის უფლებები, სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის, 1998. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, ჰელსინკის ნორვეგიის კომიტეტი.
5. ვასნავლოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, გამომცემლობა „დედაენა“, 1999.
6. Психология подростка. Полное руководство. Под редакцией члена-коореспондента РАО А.А. Реана-СПб Прайм – еврознак, 2003.
7. What is rebt (rational emotive behavior therapy)? – <http://www.rebt.org/> (Albert Ellis Institute)
8. ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვა – მეთოდური სახელმძღვანელო ჯანა ჯავახიშვილისა და ნოდარ სარჯველაძის რედაქციით; ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი, 2007. გამომცემლობა „ნეკერი“.
9. რელიგიური მრავალფეროვნება და კულტურათშორისი განათლება – სახელმძღვანელო სკოლებისათვის – გამოცემის რედაქტორი ჯონ კითსი, ევრო-საბჭო, 2007.
10. გზა უფლებებისაკენ – სახელმძღვანელო მე-8 კლასისთვის: მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის წიგნები; 2002. პირველი გამოცემა (ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო). ზურაბ ბებერაშვილი, ნინო ბესელია, ნინო მახაშვილი, თამარ მეიფარიანი, ლელა მიქიაშვილი, თინათინ ნორაკიძე, ირინე ჯალალანია.
11. კომპასი – დამხმარე სახელმძღვანელო ახალგაზრდების ადამიანის უფლებათა განათლებისათვის: მასწავლებლის წიგნი. 2005. ადამიანის უფლებათა განათლების ცენტრი. პატრიცია ბრანდერი, ბარბარა ოლივეირა, რუი გომესი, იანა ონდრაჩკოვა, ელინ კინი, ალესიო სურიანი, მარი-ლორ ლემინერი, ოლენა სუსლოვა. ქართული თარგმანის რედაქტორი გივი მიქანაძე.
12. ჩვენი უფლებები – ბავშვის უფლებათა კონვენცია და მისი სწავლების მეთოდები. დამხმარე სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების IV კლასის მასწავლებლებისათვის. გიორგი ახვლედიანი, ნანა დალაქიშვილი, თამარ მეიფარიანი, ზაალ კიკვაძე. თბილისი, 2001. წიგნი დაბეჭდილია UNICEF-ის ფინანსური მხარდაჭერით.



